

სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანაცვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2025, №7-9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2025, №7-9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2025, №7-9

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2025, №7-9

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის მიზნები და სახეები

მსჯავრდებულის მიმართ არ არსებობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი 5; 13

2. სასჯელის დანიშვნა

საქართველოს სსკ-ის 53'-ე მუხლის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, რის გამოც, მსჯავრდებულისთვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას 24

ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა დანაშაულის იარაღის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების თაობაზე, არ არსებობს მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის საქართველოს სსკ-ის 53' მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრის საფუძველი (სსკ-ის 108-ე მუხლი) 31

3. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

უვადო სასჯელი, რომელიც თავისი არსით დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის განუსაზღვრელი დროით მოხდასთან, პრეზიდენტის მიერ განკარგულების გამოცემის დღიდან მიიჩნევა სასჯელის ათვლის სანყისად, ვინაიდან ამ დროიდან სასჯელის დასასრული უკვე განჭვრეტილია 39

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა აღსრულდეს მსჯავრდებულის მიმართ არსებულ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით შეფარდებულ და მოუხდელ სასჯელზე 44

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (მსჯავრდებულთა ასევე საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით) 59

განზრახ მკვლელობის მცდელობა 76

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება განზრახ მკვლელობის მცდელობიდან ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაზე 88

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

პირის არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილსა და მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან მასზე სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ 104

4. ეკონომიკური დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან იმავე კოდექსის 178-ე და 120-ე მუხლებზე 119

5. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება ... 136

სისხლის სამართლის პროცესი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის 151

განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულების გამართლება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნარდგენილ ბრალდებებში 170

სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის მიზნები და სახეები

**მსჯავრდებულის მიმართ არ არსებობდა საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით
გათვალისწინებული დანიშნული სასჯელის ნაწილის
პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 195აპ-25

18 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნიკა მენტეშაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. მ. პ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ორი პირის მიმართ) საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას ვისაც ემუქრებიან გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი არაერთგზის, ოჯახის წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 14 ნოემბერს, დაახლოებით, 00:05 საათზე, ქ-ში მდებარე, საცხოვრებელ სახლში, მ. პ-მა, იძალადა თავისი ოჯახის წევრების:

შვილის – ბ. პ-ას და მეუღლის – ე. მ-ის მიმართ, კერძოდ, ხელი დაარტყა მხრის არეში ბ. პ-ას, ხოლო ე. მ-ეს ხელი უბიძგა გულმკერდის არეში და დააჯახა კედელს, რის შედეგადაც ბ. პ-ამ და ე. მ-ემ განიცადეს ფიზიკური ტკივილი.

1.3. 2023 წლის 14 ნოემბერს, დაახლოებით, 00:05 საათზე, ქ-ში, მდებარე, საცხოვრებელ სახლში, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ნასამართლევი მ. პ. დანის დემონსტრირებით სიცოცხლის მოსპობით დამუქრა თავის ოჯახის წევრებს, შვილს, ბ. პ-ას და მეუღლეს, ე. მ-ეს, რომლებმაც მუქარა აღიქვეს რეალურად და გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1 აპრილის განაჩენით, მ. პ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 2 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით – 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი.

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად მ. პ-ს განესაზღვრა – 2 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით – 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების

აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 2 წელი.

მ. პ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2023 წლის 14 ნოემბრიდან.

2.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1 აპრილის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნიკა მენტეშაშვილმა, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მ. პ-სთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელი.

3.2. 2024 წლის 15 ნოემბერს, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, ნიკა მენტეშაშვილმა, საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მ. პ-სთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით და საბოლოო სასჯელის განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, მ. პ-სთვის დანიშნული სასჯელი ღმობიერია და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, ამასთან უკანონოა, ვინაიდან მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელი უნდა დანიშვნოდა განაჩენთა ერთობლიობით. კასატორის პოზიციით, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს არასწორად გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ვინაიდან მ. პ-მა დანაშაული აღიარა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებულები დაიკითხნენ და გააცნობიერა, რომ მის მიმართ შესაძლოა დამდგარიყო გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, მ. პ-ს მიმართ არ არსებობდა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით სასჯელის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ, ასევე არ იმსჯელა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის განაჩენით დანიშნულ პირობით მსჯავრზე, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლოს საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

5.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ვინაიდან მოცემული განაჩენი დაცვის მხარეს არ გაუსაჩივრებია, ხოლო ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრებულია მხოლოდ სასჯელის ნაწილში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მ. პ.-ს ბრალეულობასთან დაკავშირებით, მიიჩნევა დადასტურებულად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მ. პ.-ს მიერ მსჯავრდებურობას და დანაშაულების ჩადენას.

5.3. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით მ. პ.-ს მიმართ დანიშნული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა.

5.4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

5.5. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

5.6. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრდ ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადე-

ნაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული იქნეს ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, სამივე პირობა კუმულაციურად უნდა არსებობდეს.

5.7. როგორც საქმის მასალებით ირკვევა მ. პ-მა ბრალის წარდგენის შემდეგ გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემაზე განაცხადა უარი (ბრალდებულის 2023 წლის 16 ნოემბრის გამოკითხვის ოქმის თანახმად, – „საქმის ამ ეტაპზე უარს ვაცხადებ ჩვენების მიცემაზე და გამოვიყენებ დუმილის უფლებას“) და გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლება. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, არ დასტურდება, მსჯავრდებულ მ. პ-ს მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობის ფაქტი, შესაბამისად, მის მიმართ არ არსებობდა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძვლები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება.

5.8. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის საფუძველი, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.9. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს, ან ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქმავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

5.10. წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. პ-მა ახალი დანაშაული ჩაიდინა 2023 წლის 14 ნოემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის მოქმედების პერიოდში. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა გაეუქმებინა მ. პ-ს მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი და სასჯელი განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას ბათუმის საქალაქო სასა-

მართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის განაჩენი გასაჩივრებული იყო სააპელაციო წესით.

5.11. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

5.12. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში), 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში) ან 381¹ მუხლით, ან იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა ოჯახური დანაშაული (გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-7 მუხლით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულისა), ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

5.13. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია დაზარალებულთა თანხმობები, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამნისტიით გათვალისწინებული შეღავათი, ამასთან, მსჯავრდებულის პირად საქმეში განთავსებული განცხადებით ირკვევა, რომ იგი დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით აცხადებს თანხმობას. შესაბამისად, არსებობს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით ამნისტიის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის გავრცელების საფუძველი.

5.14. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენ-

ში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნიკა მენთეშაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. პ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 2 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 9 თვითა და 20 დღით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 8 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მ. პ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 9 თვითა და 20 დღით;

4. მსჯავრდებულ მ. პ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავებიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის დრო – 2023 წლის 14 ნოემბრიდან 2024 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით;

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

6. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მ. პ-ს მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი 4 თვითა და 10 დღით (იმ ვადით, რა ვადითაც პირს ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი) და აეკრძალოს: დაზარალებულებთან – ე. მ-ესა და ბ. პ-ასთან – ნებისმიერი სახის კომუნიკაციის დამყარება, ნებისმიერი სახის ელექტრონული მონაცემების გამოყენებით, როგორც ვერბალურად, ასევე, მიმონერის გზით, სოციალური ქსელების ან სხვა ნებისმიერი საშუალების გამოყენებით; მათ საცხოვრებელ, სამუშაო, ან სხვა ადგილთან მიახლოება, სადაც დაზარალებულები იმყოფებიან, ასევე, პირადად დაზარალებულებთან მიახლოება.

7. დამცავი ორდერი ძალაში შედის მ. პ-ს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე;

8. მ. პ-ს განემარტოს, რომ მის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით;

9. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება – სამზარეულოს დანა – განადგურდეს;

10. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მსჯავრდებულის მიმართ არ არსებობდა საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით
გათვალისწინებული დანიშნული სასჯელის ნაწილის
პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№397აპ-25

8 აგვისტო, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატო. ს-სა და გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ შალვა ნიკვაშვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ე. ა-ს, – დაბადებულს – ბრალად დაედო: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. 2023 წლის 21 მაისს, დაახლოებით, 20:25 საათზე, ლ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ყ-ს საჯარო სკოლის ეზოში, ე. ა-მ, ურთიერთშელაპარაკებისას წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ე. ქ-ს დანის გამოყენებით, ზურგის არეში მიაყენა ჭრილობა, რის შედეგადაც, ე. ქ-მ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება.

2. ე. ა-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

3. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის განაჩენით ე. ა-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 122-ე მუხლზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ა-ს ე. ქ-სათვის ჯანმრთელობა

განზრახ მძიმედ არ დაუზიანებია, არამედ – იგი იმყოფებოდა აუცი-
ლებელი მოგერიების მდგომარეობაში, რომლის ფარგლებს გადაცილე-
ბით მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება დაზარალებულს.

5. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის გა-
ნაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გურჯაანის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორმა – შალვა ნიკვაშვილმა, რომელიც ითხოვდა გა-
ნაჩენის შეცვლას, ე. ა-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინე-
ბული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის, შესაბამისი სანქციის
ფარგლებში, განსაზღვრას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენით გურჯაანის რაიონული
სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის განაჩენი შეიცვალა: ე. ა. ცნობილ
იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე
მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-
ვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფ-
ლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-
სის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 2 წელი და 8 თვე განესაზ-
ღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო – 1 წელი
და 4 თვე ჩათვალა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

7. ე. ა-ს სასჯელი აეთვალა განაჩენის აღსრულების მიზნით მისი
დაკავებიდან – 2025 წლის 21 მარტიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩა-
ეთვალა დაკავების დრო – 2023 წლის 22 მაისიდან 2023 წლის 23 მაისის
ჩათვლით.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაა-
საჩივრეს, ერთი მხრივ, მსჯავრდებულ ე. ა-ის ინტერესების დამცველ-
მა, ადვოკატმა ო. ს-მ, ხოლო, მეორე მხრივ, გურჯაანის რაიონული
პროკურატურის პროკურორმა შალვა ნიკვაშვილმა.

9. კასატორი – დაცვის მხარე – თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლას, ე. ა-ს დამნაშავედ
ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით
გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და კანონიერი და სა-
მართლიანი სასჯელის შეფარდებას, რამეთუ მიიჩნევს, რომ სააპელა-
ციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავ-
ებით, არასრულფასოვნად შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებე-
ბი და მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიანიჭა. ე.
ა-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-
ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული განზრახი დანაშაული-
სათვის, თუმცა გამოკვლეული სამხილებით არ დასტურდება, რომ

მსჯავრდებულს სურდა დაზარალებულისათვის რაიმე ზიანის მიყენება. არაფერი მიუთითებს, რომ ე. ა. იყო კონფლიქტის ინიციატორი, არამედ პირიქით – დადგენილია, რომ დაპირისპირება დაიწყო დაზარალებულმა, ჯერ არასრულწლოვანი ო. ს-ს ცემით, ხოლო შემდგომ მსჯავრდებულის მიმართ გამოხატული აგრესია, რასაც მოჰყვა სწორედ ე. ა-ს საპასუხო რეაქცია. დაზარალებულის ჩვენების საპირისპიროდ, მონმეების: ო. ს-სა და ო. ჯ-ს, ისევე, როგორც – თავად მსჯავრდებულ ე. ა-ს ჩვენებითა და ო. ს-ს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ მთვრალმა ე. კ-მ უმიზეზოდ სცემა 15 წლის ო. ს-ს, ხელებისა და ფეხების დარტმით მიაყენა მას მსუბუქი დაზიანება, შემდეგ კი გინებითა და მუქარით გაემართა ე. ა-საკენ, ცდილობდა მისთვის ხელის დარტმას, მსჯავრდებულმა კი, თავდამსხმელის ასაკიდან და ფიზიკური აღნაგობიდან გამომდინარე, აირიდა მისი დარტყმა, მოექცა გვერდით, ამოიღო ჯიბიდან დანა და თავდაცვის მიზნით, დაარტყა ზურგის არეში. შესაბამისად, მსჯავრდებული თავად იყო თავდასხმის ობიექტი და მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ თავდამსხმელი არ ყოფილა შეიარაღებული, ე. ა-ს თავდაცვა იყო აშკარად შეუსაბამო თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან და გამოკვეთილია აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება. აღსანიშნავია მსჯავრდებულის დანაშაულის შემდგომი ქცევა: იგი ბრალის აღიარებით გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში და ითანამშრომლა გამოძიებასთან – მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში, მიუთითა შემთხვევის ადგილსა და დანაშაულის იარაღზე.

10. კასატორი – ბრალდების მხარე – თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს ე. ა-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მიუხედავად მსჯავრდებულის ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ე. ა-ს პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ასევე – ის ფაქტი, რომ იგი არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და, შესაბამისად, ლმობიერი სასჯელი შეუფარდა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მის მიზნებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამ-

ნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცემებს ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. განსახილველ შემთხვევაში კი, ნათლად ჩანს, რომ მსჯავრდებულს არათუ ზიანი აუნაზღაურებია, ბოდიშიც კი არ მოუხდია დაზარალებულისათვის, რის გამოც, ე. ქ-ს მის მიმართ პრეტენზია აქვს და ითხოვს მკაცრად დასჯას. ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენის თანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან, რაც განსახილველ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი, რამეთუ მსჯავრდებული არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ აღიარებდა წარდგენილ ბრალდებას, არამედ – ამტკიცებდა, რომ დაზარალებულს განზრახ მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მიაყენა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, ე. ა-ს შეფარდებული სასჯელის ნაწილობრივ პირობითად ჩათვლით უკანონო სასჯელი განუსაზღვრა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას და, ამავდროულად, არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების ხასიათსა და დამნაშავის პიროვნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ე. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ს-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ შალვა ნიკვაშვილის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და სასამართლოსაც უტყუარად დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ 2023 წლის 21 მაისს, დაახლოებით, 20:25 საათზე, ლ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ყ-ს საჯარო სკოლის ეზოში, ე. ა-მ ე. ქ-ს დანის გამოყენებით, ზურგის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ზარისხის დაზიანება.

3. ბრალდების მხარის მტკიცებით: ე. ა-მ ურთიერთშელაპარაკები-

სას წარმოშობილი კონფლიქტის დროს, განზრახ მიაყენა დანით სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება ე. ქ-ს, ხოლო დაცვის მხარის ვერსიით – ე. ა-ი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რომლის ფარგლებს გადაცილებით დააზიანა თავდამსხმელი.

4. საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ დანაშაულის კონსტრუქცია მოიცავს სამ აუცილებელ ელემენტს – ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს: პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს თუ არა შესაბამისი შემადგენლობის ნიშნებს. თუკი დადგინდება შემადგენლობის არსებობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მათ შორის – აუცილებელი მოგერიების ვითარება და შემადგენლობის შემცველი ქმედება განხორციელდა თუ არა ასეთი მოგერიების კანონით განსაზღვრულ ფარგლებში (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №424აპ-16, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 3).

5. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხარეები არ დავობენ იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ქ-ს სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება დანით მიაყენა სწორედ ე. ა-მ, თუმცა დაცვის მხარის მტკიცებით, მსჯავრდებული იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ თავდამსხმელი არ ყოფილა შეიარაღებული, მსჯავრდებულის თავდაცვა იყო აშკარად შეუსაბამო თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, შესაბამისად, ე. ა-მ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და მის ქმედებაში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების – შედამდგენლობა.

6. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს: ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, ბრალდებული არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა, ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018

ნლის 20 თებერვლის №527აპ-17 განაჩენის სამოტივაციო ნაწილი, პუნ-
ქტი 29).

7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იარაღის (დანის), დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებების რაოდენობისა და ხარისხის (სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის 2 ჭრილობა), ასევე – მათი ლოკალიზაციის (ზურგის არე) გათვალისწინებით, ცალსახად გამოირიცხულია, რომ ე. ა-ი გაუფრთხილებლად მოქმედებდა და ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მას სურდა ე. ქ-ს ჯანმრთელობის მძიმედ დაზიანება ან, როგორც მინიმუმ, ითვისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

9. ამის შემდეგ სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი მთავარი საკითხია: არსებობდა თუ არა საფუძველი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების აუცილებელ მოგერიებად სამართლებრივი შეფასებისათვის, სხვაგვარად რომ ითქვას, ე. ა-ს ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი იწვევს თუ არა ისეთ გონივრულ ეჭვს, რაც შეიძლება ნაკლები ბრალეულობის გამოკვეთის საფუძველი გახდეს, როგორც ეს დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საკვანძო არგუმენტად არის მიჩნეული.

10. საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია: პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამონეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შე-

იდლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №593აპ-15 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4).

11. საკასაციო სასამართლო, დაპირისპირებული მხარეების – დაზარალებულისა და მსჯავრდებულის – ურთიერთგამომრიცხველი განმარტებების კვალდაკვალ, მხედველობაში იღებს შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების – ო. ს-სა და ო. ჯ-ს – ჩვენებებს, რომლებიც ცხადყოფს, რომ მსჯავრდებულის ქმედება – დაზარალებულისათვის დანით დაზიანებების მიყენება – არ ყოფილა არც საკუთარი და არც სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება – აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რამეთუ ო. ს-ს ჩვენების მიხედვით, ე. ქ., მხოლოდ მას შემდეგ გაემართა გინებით ე. ა-საკენ, როდესაც მასთან ფიზიკური ანგარიშსწორება ამოწურა და მსჯავრდებულს დაემუქრა ცემით, რისიც შეეშინდა ე. ა-ს და ზურგში დაარტყა მას დანა; ო. ჯ-ს თქმით კი, ე. ქ., მას შემდეგ, რაც ო. ს-ს სცემა, გინებით წავიდა ე. ა-საკენ, ემუქრებოდა, რომ სცემდა და ერთი-ორჯერ ხელიც მოუქნია, თუმცა დარტყმა ვერ მოასწრო, რადგან მსჯავრდებულმა დანა ამოიღო და დაჭრა. შესაბამისად, არცერთი თვითმხილველი მოწმის ჩვენებით არ დგინდება დაზარალებულის მიერ მსჯავრდებულზე ფიზიკური ძალადობის ან თავდასხმის ფაქტი, რის კვალდაკვალაც, შესაძლო იქნებოდა განსჯა უკიდურესობით გამოწვეულ, აუცილებელ თავდაცვით ქმედებასა და თავდასხმის შესაძლო მოგერიების ფარგლებზე. სადავო საკითხის მართებულად შესაფასებლად მითუფრო საყურადღებოა დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებების ლოკალიზაცია – ზურგის არე – რაც, თავის მხრივ, ასევე ნათლად გამორიცხავს, რომ ჭრილობების მიყენებისას, ე. ქ. თავს ესხმოდა ე. ა-ს, რამეთუ შეუძლებელია დანით ზურგში ჭრილობების მიყენებით თავდასხმის მოგერიება.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ა-ს მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – კანონიერია და, ქმედების სამართლებრივი შეფასების ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების შეცვლის რაიმე საფუძველი, განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება.

13. ბრალდების მხარის მიერ სადავო სასჯელთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გა-

ნაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ სასჯელთან დაკავშირებული კონსტიტუციური შეზღუდვის არსი არის პროპორციული სასჯელის დაკისრება მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავეს ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), დამნაშავეს პერსონალური მახასიათებლები და საქმის კონკრეტული გარემოებები იმისთვის, რათა განისაზღვროს, როგორი სასჯელი იქნება შესაბამისი პირის რეაბილიტაციისა და საზოგადოების დაცვისთვის ამ კონკრეტული დამნაშავეს შეკავების გზით. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეასრულებს სასჯელი თავის მიზნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-97).

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, კასატორის – ბრალდების მხარის – მოთხოვნა, ე. ა. სათვის შეფარდებული სასჯელის გამკაცრებასთან დაკავშირებით, კანონიერი და დასაბუთებულია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-

ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის შეუფარდა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 2 წელი და 8 თვე განუსაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი – 1 წელი 4 თვე, ჩაუთვალა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით, რასაც არ აქვს კანონიერი გამართლება, რამეთუ ე. ა-ს ქმედებაში არ არის გამოკვეთილი სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლის კანონიერი საფუძველი, კერძოდ:

16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი.

17. განსახილველი სისხლის სამართლის საქმის მასალები ცხადყოფს, რომ ე. ა-ი საქმის სასამართლო განხილვის არცერთ ეტაპზე, არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გაცხადებული პოზიციით არ აღიარებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მისთვის მსჯავრდმერაცხილ დანაშაულს – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას – არამედ ამტკიცებდა, რომ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით დასჯადი ქმედებაა, რომლის არსებობა სასამართლოს არ დაუდგენია და, შესაბამისად, მსჯავრდებულის მტკიცება ვერ შეფასდება ჩადენილი დანაშაულის აღიარებად, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

18. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ კანონი აღჭურავს სასამართლოს როგორც საკმარისი, ეფექტური პროცესუალური გარანტიებით, ისე – მატერიალური ნორმებით, რომლებიც კონკრეტული სასჯელებისა თუ საშელავათო პირობების გამოყენებას შესაძლებელს ხდის მხოლოდ მაშინ და იმ პირობებით, რამდენადაც ეს კანონით არის განსაზღვრული და ობიექტურად აუცილებელია, რაც ერთი მხრივ,

ემსახურება კანონის მიზნების რეალურად განხორციელებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლის სასჯელების თვითნებურად გამოყენებას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება №525აპ-24 საქმეზე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 8).

19. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ე. ა-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით შეფარდებული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის კანონიერი საფუძველი და, შესაბამისად, ე. ა-ს თავისუფლება უნდა აღეკვეთოს პირობითი მსჯავრის გამოყენების გარეშე.

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისებრივად და არსებითად გაცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ, ვერ შეუწყობს ხელს ვერც სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებას და ვერც საზოგადოების წევრების ჰარმონიულ თანაარსებობას, შედეგად, ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

21. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებების, ასევე – მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (დაზარალებულისათვის დაზიანებების მიყენების ფაქტის აღიარება, რასაც სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სასამართლომ; ბრალის აღიარებით გამოცხადდება და გამოძიებასთან თანამშრომლობა; დაზარალებულის ვიქტიმური ქცევა) გარემოებებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ე. ა-სათვის ჩადენილი დანაშაულის სანქციით გათვალისწინებული, მინიმალური სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, არის სამართლიანი და სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ე. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ს-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ შალვა ნიკვაშვილის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს, მსჯავრდებულ ე. ა-ს სასჯელის დამძიმების კუთხით, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ე. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ს-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ შალვა ნიკვაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენი შეიცვალოს:

4. ე. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიესაჯოს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ე. ა-ს სასჯელი აეთვალოს 2025 წლის 21 მარტიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩათვალოს დაკავების დროს – 2023 წლის 22 მაისიდან 2023 წლის 23 მაისის ჩათვლით;

6. სხვა – მათ შორის: გირაოს, ყადაღისა და ნივთმტკიცებების – ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასჯელის დანიშვნა

საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, რის გამოც, მსჯავრდებულისთვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მოსაზრებელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას

№239აკ-25

22 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

განაჩენი საქართველოს სახელით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავეის რაიონული პროკურორის სტაჟიორ მთვარისა შველიძისა და მსჯავრდებულ დ. ნ-ის ადვოკატის, ლ. ჯ-ას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 12 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. დ. ნ-ეს – ბრალად ედებოდა ყაჩაღობა, ესე იგი, თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ბინაში უკანონო შეღწევით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

1.2. დ. ნ-ის ქმედება გამოიხატა შემდეგით: 2024 წლის 8 მაისს, ღამის საათებში, დ. ნ-ემ, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, უკანონოდ შეაღწია რ-ი, ე. მდებარე, დ. ვ-ისა და მ. ჯ-ის საცხოვრებელ სახლში. რამდენიმე საათის განმავლობაში, და-

ელოდა დ. ვ-ის მიერ სახლის დატოვებას და, დაახლოებით, 08:30 საათზე, უკანონოდ დაეუფლა ბინაში არსებულ, 52 ლარის ღირებულების სამკაულებს, ასევე, თავს დაესხა საძინებელ ოთახში მყოფ მ. ჯ-ს, რომელსაც მისი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით, „ეკოლის“ მოდელის ხმოვანი პისტოლეტის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მოსთხოვა ფულადი თანხისა და ძვირფასეულობის გადაცემა. დ. ნ-ე შეეცადა მ. ჯ-ისთვის ხელების შებორკვას, ასევე, სხეულის სხვადასხვა არეში დაარტყა თანნაქონი იარაღი, თუმცა დაზარალებულმა მოახერხა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რის შემდეგაც, დ. ნ-ემ დატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა. დ. ნ-ის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად, მ. ჯ-მა განიცადა ფიზიკური ტკივილი, ასევე მიიღო მორალური და ქონებრივი ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენით, დ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც აეთვალა 2024 წლის 9 მაისიდან.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ლელა ჭეშმარიტაშვილმა – სააპელაციო საჩივრით მოითხოვა დ. ნ-ისთვის დანიშნული სასჯელის გამკაცრება, ხოლო მსჯავრდებულის ადვოკატმა, ლ. ჯ-ამ – სასჯელის შემსუბუქება და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედის პირობითად ჩათვლა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 12 თებერვლის განაჩენით, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

3.2.1. რუსთავის რაიონული პროკურატურის სტაჟიორი – მთვარისაშვილი – საკასაციო საჩივრით ითხოვს დ. ნ-ისთვის დანიშნული სასჯელის დამძიმებას, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით: დანიშნული სასჯელის ზომა მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან შეუსაბამოა (მსჯავრდებული ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გეგმავდა დანაშაულს, რა დროსაც შეისწავლა დაზარალებულის ოჯახის წევრების გრაფიკი, მათი სახლიდან გას-

ვლის პერიოდი, საცხოვრებელი ადგილი და მიმდებარე ტერიტორია); სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა დანაშაულის ჩადენა ძალადობით, მცირენალოვანი ბავშვის თანდასწრებითა და იარაღის მსგავსი საგნის გამოყენებით; აღნიშნულმა დანაშაულმა ფსიქოლოგიურად მძიმედ იმოქმედა და ზარალებულსა და მის მცირენალოვან შვილზე.

3.2.2. ადვოკატი – ლ. ჯ-ა – საკასაციო საჩივრით ითხოვს დ. ნ-ისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედის პირობითად ჩათვლას, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით: ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულმა საწყის ეტაპზევე აღიარა ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და უდავოდ გახადა საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას; დ. ნ-ეს ჰყავს სამი მცირენალოვანი შვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა, განიხილა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის სტაჟიორის – მთვარისა შველიძის – საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ დ. ნ-ის ადვოკატის – ლ. ჯ-ას – საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 12 თებერვლის განაჩენი მხარეთა მიერ მხოლოდ სასჯელის ნაწილშია გასაჩივრებული. ამდენად, მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს დ. ნ-ის მიერ მისთვის მსჯავრდშერაცხილი დანაშაულის ჩადენა, რის გამოც, არ არსებობს ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა.

3. ჩადენილი დანაშაულისათვის დ. ნ-ის მიმართ გამოყენებული სასჯელის კანონიერებისა და სამართლიანობის კონტექსტში შემოწმებამდე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას სასჯელის მიზნებზე გაამახვილებს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი და-

ნაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“. გარდა ამისა, სასჯელის მიზანია დანაშაულის პრევენცია, როგორც სპეციალური, ისე ზოგადი, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს დამნაშავისთვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას, რადგან საკუთარ თავზე დანაშაულის სამართლებრივი შედეგების განცდა, გამაფრთხილებლად იმოქმედებს მის სამომავლო ქცევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ქმედებისთვის პირის დასჯის დემონსტრირებას ექნება შემაკავებელი ეფექტი, დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველის მიმართ.

4. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, სხვა ნორმატიული აქტების, მათ შორის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების, მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

5. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38). მართლმსაჯულების განხორციელება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის №1/7/851 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუთაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7).

6. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს,

კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მიხედვით კი, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, რის გამოც, მსჯავრდებულისთვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

7. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რითაც დამნაშავედ იქნა ცნობილი დ. ნ-ე, მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თორმეტ წლამდე.

8. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული საკუთრების უფლება სახელმწიფოს ავალდებულებს, ამ უფლების დარღვევის შემთხვევებზე ჰქონდეს სათანადო რეაგირება, რაც, მათ შორის, დამნაშავისთვის კანონიერი და სამართლიანი სასჯელის დანიშვნას მოიაზრებს. მოცემულ შემთხვევაში, დ. ნ-ისთვის დანიშნული სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე მსჯელობისას, სასამართლო საკანონმდებლო მოთხოვნების კვალდაკვალ, შეაფასებს, როგორც მოცემული საქმის გარემოებებს, ისე – მსჯავრდებულის პიროვნებას და თავისი დისკრეციის ფარგლებში, შეარჩევს სასჯელის ისეთ სახესა და ზომას, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

9. საკასაციო პალატა სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს დ. ნ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივსა და მიზანს (ანგარებით სხვისი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებას), ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას (ჩადენილია მომეტებული საშიშროების მატარებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი დანაშაული), ქმედების სახესა და ხერხს (დ. ნ-ე ხმოვანი იარაღის დემონსტრირებით დაესხა თავს დაზარალებულს და დანაშაული ჩაიდინა მისი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით), მართლსაწინააღმდეგო შედეგს (დაზარალებულს და დანაშაულის შემსწრე მის მცირეწლოვან შვილს მიადგათ ფსიქოლოგიური ტრავმა), ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (დ. ნ-ის მტკიცე სურვილს ჩაედინა და-

ნაშაული, რაც გამოიხატა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დანაშაულის დაგეგმვასა და დაზარალებულის ოჯახის წევრების ყოველდღიური გრაფიკის შესწავლაში), დამნაშავის წარსულ ცხოვრებას (დ. ნ-ე არ არის ნასამართლელი), ყოფაქცევას ქმედების შემდეგ (დ. ნ-ემ აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და უდავოდ გახადა საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას).

10. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დამცველის მოთხოვნას დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედის პირობითად ჩათვლასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი თავისუფლების აღკვეთის საშუალებათა მოხდის წესთან მიმართებით, არ არის იმპერატიული, არამედ მოსამართლეს აღჭურავს უფლებამოსილებით, ცალკეულ შემთხვევებში, ამ მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, დამნაშავის მიმართ გამოიყენოს შეღავათი – სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის სახით. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად რიგი შემამსუბუქებელი გარემოებებისა, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების, მოტივის, მიზნის, მართლსაწინააღმდეგო შედეგის და ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების გათვალისწინებით, სასამართლო მართებულად არ მიიჩნევს დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლას. სასამართლო დ. ნ-ეს შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, დაუნიშნავს მინიმალურ სასჯელს, რაც, დანაშაულის არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, შეადგენს 9 წელს. აღნიშნულ ვადაზე ნაკლები ხანგრძლივობის სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, უგულებელყოფილი იქნება კანონის მოთხოვნები.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის რაიონული პროკურატურის სტაჟიორის – მთვარისა შველიძის – საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ დ. ნ-ის ადვოკატის – ლ. ჯ-ას – საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის სტაჟიორის – მთვარისა

შველიძის – საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ დ. ნ-ის ადვოკატის – ლ. ჯ-ას – საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 12 თებერვლის განაჩენი;

4. დ. ნ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

5. დ. ნ-ეს სასჯელის ვადა აეთვალოს 2024 წლის 9 მაისიდან;

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დ. ნ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

7. საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად: ანაწმენდები, სუნის ნიმუშები, სუნის კვლები, ნერწყვის ნიმუშები, ანაბეჭდები, ხამუთები, ნაჭრის ხელთათმანი, ტყავის ხელთათმანი, სახრახსნისი, სახსრების დამცავიანი ხელთათმანი, სამი ცალი ნილაბი – განადგურდეს;

50 ცალი ვაზნა, „ეკოლის“ მოდელის ხმოვანი პისტოლეტი, ერთი მჭიდით და 7 ცალი ვაზნით – გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს;

„აიფონის“ ფირმის მობილური ტელეფონი, შარვალი, კეპი, მაისური, სანვიმარი, მოსასხამის შალითა, ციფრული მაჯის საათი, მაჯის საათი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი ყელსაბამები, დანა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საბნის კონვერტი, ხის ტანსაცმლის საკიდი, ხელჩანთა და მასში მოთავსებული ნივთები – დაუბრუნდეს მათ მფლობელებს/მესაკუთრეებს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირებს;

დისკები შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება
შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა დანაშაულის იარაღის
ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების თაობაზე,
არ არსებობს მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნის
თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის საქართველოს
სსკ-ის 53¹ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრის
საფუძველი (სსკ-ის 108-ე მუხლი)**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№259აპ-25

6 აგვისტო, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით: ზ. ბ-ს ბრალად ედება ბოდა განზრახ მკვლელობის მცდელობა – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 19, 108-ე მუხლით.

ზ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2024 წლის 29 იანვარს, დაახლოებით 21:00 საათზე, ქ. თ., ბ... ქუჩაზე ზ. ბ-ს მართვის ქვეშ მყოფ „HONDA FITI“ მარკის ავტომანქანით, რომლის სახელმწიფო ნომერიცაა N... გადაადგილდებოდნენ გ. პ. და თ. ლ.. თ. ლ-სთან სიტყვიერი შელაპარაკების შემდგომ ზ. ბ-მა გააჩერა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა და თ. ლ-ს მოკვლის განზრახვით, მისი კუთვნილი დანის გამოყენებით მიაყენა მრავლობითი შემავალი ჭრილობები გულმკერდის არესა და კუჭის მიდამოში და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი მიატოვა შემთხვევის ადგილზე. თ. ლ-ს სიცოცხლე შენარჩუნებულ იქნა დროული სასწრაფო სამედიცინო დახმარების შედეგად.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 ივლისის განაჩენით:

2.1. ზ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2. ზ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2024 წლის 2 თებერვლიდან.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ზ. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. ლ-მ და მოითხოვა ცვლილება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 ივლისის განაჩენში, ზ. ბ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით კვალიფიკაცია და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებულ ზ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი თ. ჯ. ითხოვს ცვლილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენში, მსჯავრდებულ ზ. ბ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით კვალიფიკაციას და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, par. 30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, par. 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece* (No.2) no. 12686/03, paras. 37, 41, ECtHR, 20/03/2009).

2. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა დაცვის მხარემ. კასატორი დაცვის მხარე სადავოდ ხდის ზ. ბ-სთვის ბრალად წარდგენილი ქმედების მხოლოდ კვალიფიკაციას და ითხოვს ზ. ბ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას.

2.1. „შეჯიბრებითობის პრინციპი ...არცერთ შემთხვევაში არ ათავი-

სუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-21). „შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება ისიც, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ“ (იქვე, II-22).

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ზ. ბ.-ს მიერ თ. ლ.-სათვის დანის გამოყენებით მრავლობითი ჭრილობების, მათ შორის, შემავალი ჭრილობების გულმკერდის არესა და კუჭის მიდამოში მიყენების ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში კასატორი დაცვის მხარე სადავოდ ხდის ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას, ანუ ზ. ბ.-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს განზრახ მკვლელობის მცდელობას (საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით), თუ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას (საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლი).

5. კასატორის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ ზ. ბ. შემთხვევადე არ იცნობდა თ. ლ.-ს და არ ჰქონდა მისი მოკვლის მიზეზი, ისინი არავის გაუშველებია და ზ. ბ.-ს არაფერი უშლიდა ხელს მოეკლა თ. ლ. (ასეთი განზრახვის არსებობის შემთხვევაში), ზ. ბ.-მა გ. ს.-ც უთხრა, რომ არ სურდა თ. ლ.-ს მოკვლა და უნდოდა მისი დასჯა და შესაბამისად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით, – სასამართლო ითვალისწინებს, მათ შორის, შემდეგსაც:

6. ქმედების საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით კვალიფიკაცია მოითხოვს, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ, განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 12 თებერვლის განაჩენი №142აპ-13, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 ივნისის №158აპ-21 განჩინება). პირის განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობის

სა და მართლწინააღმდეგობის შეგნების კომპონენტები. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი იძლეოდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განაჩენი №213აპ-20 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განაჩენი №527აპ-17). განზრახვის დასადგენად შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი განაჩენები: 2019 წლის 18 ოქტომბრის №309აპ-19, 2018 წლის 17 მაისის №680აპ-17, 2016 წლის 29 სექტემბრის №227აპ-16).

7. საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობის როგორც პირდაპირი, ასევე – არაპირდაპირი განზრახვით ჩადენისთვის.

8. საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

9. დაუსაბუთებელია დაცვის მხარის პოზიცია, რომ ვინაიდან მსჯავრდებულმა ზ. ბ-მა დაჭრის შემდეგ თ. ლ-ს უთხრა მიეხედა თავისი თავისათვის (რასაც თავის მხრივ ადასტურებს დაზარალებულიც), აღნიშნული სრულად გამორიცხავს მისი მხრიდან მკვლელობის განზრახვას.

10. სასამართლო ითვალისწინებს ზ. ბ-ს ქმედებას (დაზარალებულისათვის დანით მრავლობითი ჭრილობების მიყენება), მიყენებული დაზიანებების ხასიათს (მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი 2024 წლის 15 აპრილის სამედიცინო ექსპერტიზის №.. დასკვნით დგინდება, რომ დაზარალებულ თ. ლ-ს ჰქონდა, მათ შორის, შემავალი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის ღრუში (ელენთის, კუჭის, განივი კოლინჯის და წვრილი ნაწლავების დაზიანებით). მარჯვენა ქვედა ეპიგასტრალური სისხლძარღვების დაზიანებით, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ტრავმული პნევმოთორაქსი, დაზიანებები ცალ-ცალკე და ერთობლიობაში მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც

სიცოცხლისათვის სახიფათოს), მოვლენათა განვითარებას, ზ. ბ-ს ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროს და შემთხვევის ვითარებას (ზ. ბ-მა თ. ლ. დახმარების აღმოჩენის გარეშე დატოვა ქუჩაში) და აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული ზ. ბ. ვერ იქნებოდა დარწმუნებული რომ დაზარალებულისათვის მათ შორის გულმკერდისა და მუცლის ღრუში დაზიანებების მიყენების შემდეგ, იმ ადგილიდან სადაც არავინ იმყოფებოდა, დაზარალებული შეძლებდა შპს „ბ. დ-ე“ მისვლას და დახმარების თხოვნას, მას გაენოქა დროული სამედიცინო დახმარება და შენარჩუნებული იქნებოდა მისი სიცოცხლე.

11. დაზარალებულის მტკიცება, რომ ზ. ბ. იყო მისთვის უცნობი პირი, მანამდე რაიმე სახის კონტაქტი მასთან არ ჰქონია, და კონფლიქტი ქუჩაში ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების (შარდვის) გამო მოუვიდა, დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს. კერძოდ,

11.1. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი ოდოროლოგიური ექსპერტიზის №...დასკვნის თანახმად, 2024 წლის 29 იანვარს, ოდოროლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენილი ავტომანქანა „HONDA FIT“-დან (სახელმწიფო ნომერი №..) ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები იდენტიურია გ. პ-სგან, ზ. ბ-სგან და თ. ლ-სგან აღებული სუნის ნიმუშების. სარწმუნოებას მოკლებულია ასევე დაზარალებულის მტკიცება, რომ შემთხვევის დღეს გ. პ. არ უნახავს და მასთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონია. სამართლო ითვალისწინებს მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი სატელეფონო კომუნიკაციის ოპერატორებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას (გ. პ-ს სარგებლობაში არსებულ ტელეფონის ნომერსა და თ. ლ-ს ტელეფონის ნომერს შორის ფიქსირდება ოთხი ზარი), კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 მაისის განაჩენი, რომლითაც დადგენილი იქნა გ. პ-ს შემთხვევის ადგილზე ყოფნა და მას მსჯავრი დაედო დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის.

12. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებენ, რომ 2024 წლის 29 იანვარს მომხდარი კონფლიქტის მიზეზი იყო 2024 წლის 28 იანვარს დ. თ-ს და უცხო პირებს შორის მომხდარი კონფლიქტი/ ფიზიკური დაპირისპირება, – სასამართლო ეთანხმება დაცვის მხარეს და ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი მტკიცებულებით (მათ შორის: სატელეფონო კომუნიკაციის ოპერატორებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით (რომლითაც დგინდება მომხდარი შემთხვევის დღეს სატელეფონო კავშირი თ. ლ-ს და გ. პ-ს, ზ. ბ-სა და თ. ს შორის, მათი ტელეფონების მომსახურე ანძები და სავარაუდო გადაადგილების მარშრუტი), მონმე ზ. ბ-ს გამოკითხვის ოქმით (რომელიც

უთითებს, რომ ზ. ბ-ს და გ. პ-ს უნდა მიეყვანათ საქმის გასარჩევად ის პირი, რომელმაც ჩაიდინა ფიზიკური ძალადობა დ. თ-ს მიმართ), თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 მაისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გ. პ-ს მიმართ) არ დგინდება, რომ დაზარალებული თ. ლ. მონაწილეობდა დ. თ-ს მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობაში და სწორედ ამ მიზეზით მოხდა კონფლიქტი მასსა და ზ. ბ-ს შორის.

13. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ. ბ-მა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა დანის გამოყენებით (თუმცა გამოძიების ფარგლებში დანა ვერ იქნა ამოღებული), ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით ზ. ბ-ს სასჯელი განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

14. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

14.1. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

15. მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენით, ზ. ბ-ს სასჯელის ხანგრძლივობა განსაზღვრულია საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ,

15.1. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ზ. ბ-მა ჩაიდინა დანის გამოყენებით (რასაც მხარეებიც არ ხდიან სადავოდ), თუმცა გამოძიების ფარგლებში დანაშაულის იარაღი დანა არ იქნა ამოღებული.

15.2. გასაჩივრებულ განაჩენში, სასამართლოს ნამსჯელი და განმარტებული აქვს, რომ ვინაიდან ზ. ბ-მა დანაშაული ჩაიდინა იარაღის – დანის – გამოყენებით, საქართველოს სსკ-ის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის განსაზღვრისას „მინიმალურ სასჯელზე სულ მცირე 1 წლით თავისუფლების აღკვეთის დამატება კანონის იმპერატიული დათქმავა, რომლის შესრულება სასჯელის შეფარდებისას, სავალდებულოა და [კანონმდებლობა] არ ითვალისწინებს გამონაკლის

შემთხვევებს“.

15.3. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოსაყენებლად (დანაშაულის ჩადენა იარაღის გამოყენებით), აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის მასალებში წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა გამოყენებული დანის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების ფაქტის დასადაგენად (მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი განჩინებები: 2022 წლის 21 თებერვლის №761აპ-21; 2023 წლის 20 მარტის №1283აპ-22; 2024 წლის 12 იანვრის №796აპ-23; 2024 წლის 27 თებერვლის №1171აპ-23).

15.4. შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა დანაშაულის იარაღის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების თაობაზე, – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის და *in dubio pro reo* პრინციპის გათვალისწინებით, არ არსებობს ზ. ბ-სათვის სასჯელის დანიშვნისას თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის საქართველოს სსკ-ის 53¹ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრის საფუძველი.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და ზ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით მსჯავრდშერაცხილი დანაშაულის ჩადენისათვის უნდა განესაზღვროს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

17. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით) ზ. ბ-სათვის საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით მსჯავრდშერაცხილი დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელზე არ ვრცელდება ამნისტია.

18. საქართველოს სსსკ-ის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, მათ შორის, აღინიშნება ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა;

18.1. გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, ნივთმტკიცებათა ბედის გადაწყვეტისას არ არის ნამსჯელი, მათ შორის, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ამოღებულ: დაზარალებულ თ. ლ-ს სამედიცინო დოკუმენტაციასა და 1 დისკზე, რომლებიც მითითებულია სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხაში;

18.2. სისხლის სამართლის საქმეზე დართული ყველა ნივთმტკიცე-

ბის ბედი უნდა გადაწყდეს საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, დაზარალებულ თ. ლ-ს სამედიცინო დოკუმენტაცია და 1 დისკი, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს და შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ქვედა ინსტანციის სასამართლოებისგან განსხვავებით არ ახდენს საქმის სრული მოცულობით გადასინჯვას საქმეში არსებული ყველა ფაქტების და მტკიცებულებების შეფასებას რომელსაც ემყარებოდა განაჩენი, უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლები შეზღუდულია სამართლის კონკრეტული საკითხებით“ (Kuparadze v. Georgia, no.30743/09, par. 76 ECtHR, 21/09/2017). იმავდროულად, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ მოითხოვს კასატორების ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, par. 31, ECtHR, 11/10/2011), გულისხმობს კონკრეტული და მკაფიო პასუხების გაცემას კასატორიების იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგებისთვის (იხ.. Lobzhanidze and Peradze v. Georgia, nos. 21447/11, 35839/11, par.66, ECtHR, 27/02/2020).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ზ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება: ზ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3. დაზარალებულ თ. ლ-ს სამედიცინო დოკუმენტაცია და 1 დისკი, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს და შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

4. ზ. ბ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2024 წლის 2 თებერვლიდან;

5. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ამენისტია, შეწყალება, ნასამართლობა

**უვადო სასჯელი, რომელიც თავისი არსით
დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის
განუსაზღვრელი დროით მოხდასთან, პრაზიდენტის მიერ
განკარგულების გამოცემის დღიდან მიიჩნევა სასჯელის
ათვის საწყისად, ვინაიდან ამ დროიდან სასჯელის
დასასრული უკვე განჭვრეტილია**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№98¹-25

1 აგვისტო, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ნ. სანდოძე**

განიხილა მსჯავრდებულ ე. ნ-ის საჩივარი თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს 2025 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის განაჩენით:

ე. ნ-ი, დაბადებული ... წლის ... აგვისტოს, ცნობილ იქნა დამნაშავედ
საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“, „ვ“ „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით
(2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახედ და ზო-
მად შეეფარდა – უვადო თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა და-
კავებიდან – 2005 წლის 16 აპრილიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2007 წლის 12 მაისის განაჩენით:

მსჯავრდებულ ე. ნ-ის ადვოკატ ა. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკ-
მაყოფილდა ნაწილობრივ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სის-
ხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის განაჩენი
შეიცვალა:

ე. ნ-ს მოეხსნა ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-
ის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი
რედაქცია);

ე. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხ-

ლის „დ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – უვადო თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა დაკავებიდან – 2005 წლის 16 აპრილიდან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით:

მსჯავრდებულ ე. ნ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 მაისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით:

მსჯავრდებულ ე. ნ-ის მიმართ არ იქნა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელი.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის შუამდგომლობა, მის მიმართ დანიშნული სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის – შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის შუამდგომლობა მის მიმართ დანიშნული სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის – შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის შუამდგომლობა მის მიმართ დანიშნული სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის – შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

8. საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 2 მაისის განკარგულებით, ე. ნ-ი შეწყალებულია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 მაისის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების თარიღად მიეთითა – 2044 წლის 2 მაისი.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის შუამდგომლობა, მის მიმართ დანიშნუ-

ლი სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის – შინაპატიმრობით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 29 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის ადვოკატის, თ. ა-ის, სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 8 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 6 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის შუამდგომლობა მის მიმართ დანიშნული სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის პირობით ვადამდე თავისუფლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ ე. ნ-ის ადვოკატის – ა. კ-ის – საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 6 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 4 ივლისის განჩინებით:

მსჯავრდებულ ე. ნ-ის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი;

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ ე. ნ-ს $\frac{1}{4}$ -ით შეუმცირდა საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 2 მაისის №02/05/04 განკარგულებით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თარიღი – 2044 წლის 2 მაისი და მსჯავრდებული ე. ნ-ი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან უნდა გათავისუფლდეს – 2039 წლის 2 მაისს.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 4 ივლისის განჩინება გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ე. ნ-მა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა. ე. ნ-ის მოსაზრებით, მხოლოდ შეწყალების შემდგომ არსებულ პერიოდზე ამნისტიის გავრცელება, მანამდე არსებული პერიოდის უგულებელყოფით, სცდება ამავე ამნისტიის კანონის მიზნებსა და პათოსს. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ე. ნ-ის მთლიანი პატიმრობის პერიოდით, რაც მისი მითითებით, შეადგენს 39 წელსა და 16 დღეს.

16. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულმა ე. ნ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. თ-ამ, მხარი დაუჭირეს საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება; ამავე სხდომაზე პროკუ-

რორმა სოსო ხუციშვილმა მხარი არ დაუჭირა დაცვის მხარის საჩივარს და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 4 ივლისის განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

2. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ე. ნ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 მაისის განაჩენით მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

3. 2024 წლის 2 მაისს, ე. ნ-ი საქართველოს პრეზიდენტმა შეინიშნა განკარგულებით (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 მაისის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების თარიღად განუსაზღვრა – 2044 წლის 2 მაისი.

4. აღნიშნულის შემდეგ, კერძოდ, 2025 წლის 4 ივნისს, მსჯავრდებულმა მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მის მიმართ დანიშნულ სასჯელზე მოითხოვა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული შეღავათის გავრცელება.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ ე. ნ-ს 1/4-ით შეუმცირა საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 2 მაისის განკარგულებით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თარიღი – 2044 წლის 2 მაისი (კერძოდ, პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულების თარიღიდან დარჩენილი მოსახდელი სასჯელი 20 წელი) და მსჯავრდებულ ე. ნ-ს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ვადად განუსაზღვრა – 2039 წლის 2 მაისი.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების დროს მართებულად იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს N81-23 გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკით; კერძოდ, მოცემული განჩინების მიხედვით, უვადო სასჯელი, რომელიც თავისი არსით დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის განუსაზღვრელი დროით მოხდასთან, პრეზიდენტის მიერ განკარგულების გამოცემის დროიდან იღებს პროგნოზირებულ სახეს და მის საფუძველზე, მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა, ფაქტობრივად, იცვლება და განსხვავდება იმ ვითარებისაგან, როდესაც მისთვის ცნობი-

ლი არ იყო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღი. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ათვლის საწყისად მიიჩნევს სწორედ პრეზიდენტის განკარგულების მიღების დღეს, ვინაიდან ამ დროიდან სასჯელის დასასრული უკვე განჭვრეტადი გახდა.

7. ე. ნ-ი მიუთითებს, რომ მხოლოდ შეწყალების შემდგომ არსებულ პერიოდზე ამნისტიის გავრცელება, მანამდე არსებული პერიოდის უგულებელყოფით, სცდება ამავე ამნისტიის კანონის მიზნებსა და პათოსს. აღნიშნულის საპასუხოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსგავსი მსჯელობა არ გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, ვინაიდან მოცემული ნორმის შინაარსის თანახმად, შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

8. მოცემულ შემთხვევაში, სასჯელი ე. ნ-ის მიმართ პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე არ შეცვლილა, არამედ განისაზღვრა მხოლოდ მისი მოხდისგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღი – 2044 წლის 2 მაისი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ განკარგულების გამოცემიდან (02/05/2024), გათავისუფლების თარიღამდე (02/05/2044) არსებული პერიოდი მართებულად შეამცირა 1/4-ით და განსაზღვრა 2039 წლის 2 მაისით.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ე. ნ-ის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, გასაჩივრებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 4 ივლისის განჩინება კანონიერია და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ე. ნ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 4 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**„ამენისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა
აღსრულდეს მსჯავრდებულის მიმართ არსებულ თითოეულ
სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით
პიჯარდებულ და მოუხდელ სასჯელზე**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№296აპ-25

4 აგვისტო, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ გოგა კაკოჩაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით: ლ. ნ-ს, – პირადი ნომერი: ... – ბრალად ედებოდა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

ლ. ნ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2024 წლის 12 აპრილს, ღამის საათებში, ქ. ...-ში, დ. უ-ს ქ. №-ში მდებარე მაღაზია „ს.“ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევი ლ. ნ. თავს დაესხა თ. ბ-ს – დანის დემონსტრირებით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოსთხოვა სალაროს გახსნა და ფულის გადაცემა, რის შედეგადაც სალაროდან დაეუფლა მაღაზიის კუთვნილ 420 ლარს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 10 ივლისის განაჩენით:

2.1. ლ. ნ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებზე;

2.2. ლ. ნ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი;

2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.5. ლ. ნ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2024 წლის 13 აპრილიდან.

3. სასამართლომ დაადგინა:

2024 წლის 12 აპრილს, ღამის საათებში, ქ. ...-ში, დ. უ-ს ქ-ის №...-ში მდებარე მაღაზია „ს“ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევა ლ. ნ-მ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შეაღწია სალაროს ტერიტორიაზე, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, თ. ბ-ს მოსთხოვა სალაროს გახსნა და ფულის გადაცემა. თ. ბ-მა გახსნა სალარო, რომლიდანაც ლ. ნ. აშკარად დაეუფლა მაღაზიის კუთვნილ 420 ლარს.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გოგა კაკოჩიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ცვლილება გასაჩივრებულ განაჩენში, ლ. ნ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირება და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

4.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა მსჯავრდებულ ლ. ნ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. ჭ-მ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 10 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 თებერ-

ვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 10 ივლისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

5.1. ლ. ნ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებზე;

5.2. ლ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდა ერთი მეექვსედით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.3. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით (საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – განაჩენთა ერთობლიობით) დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქმა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.4. ლ. ნ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2024 წლის 13 აპრილიდან.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გოგა კაკოჩაშვილმა, რომელიც ითხოვს ლ. ნ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, რომელიც ითხოვს ლ. ნ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დაკვალიფიცირებას და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

2. ყაჩაღობა ორობიექტიანი დანაშაულია და ერთდროულად ხელყოფს როგორც ადამიანის საკუთრების უფლებას, ასევე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას. ყაჩაღობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ყაჩაღობის დროს პირის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულის მოძრავი ნივთის დაუფლება მისაკუთრების მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პირი იყენებს თავდასხმას (რომელიც ხორციელდება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთივე ძალადობის გამოყენების მუქარით). იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლისათვის/ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა უნდა იყოს როგორც იმშუთიერი, ასევე რეალური. მუქარის რეალურობის შეფასებისათვის გამოიყენება ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები. მოცემულ შემთხვევაში, ვიდეოჩანანერში არ ჩანს ლ. ნ-ს მიერ დანის დემონსტრირება/გამოყენება, მხოლოდ დაზარალებული უთითებს დანაზე, თავდასხმისას სავარაუდოდ გამოყენებული დანა არ იქნა ამოღებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში, ლ. ნ-ს განმარტებით მას ხელში ეკავა მანქანის გასაღები.

3. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი ვიდეოჩანანერით, მოვლენათა განვითარების დინამიკით (მათ შორის, მაგალითად, ლ. ნ-ს მიერ, სალაროსთან, დანის გამოყენებით დამუქრების მიუხედავად, დაზარალებული მას უწევს აქტიურ წინააღმდეგობას, ძალით გაჰყავს სალაროს მიმდებარე ტერიტორიიდან), ასევე დაზარალებულ თ. ბ-ის მიერ სასამართლოში მოწმის სახით მიცემული ჩვენებით არ დასტურდება, რომ დაზარალებულმა რეალურად აღიქვა ძალადობის მუქარა და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ლ. ნ-ს მიერ იმ ინტენსივობის ძალადობა ან/და ძალადობის მუქარა, რომელიც ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია. ამასთან, ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივარშია ჩამოყალიბებული. გასაჩივრებულ განაჩენში კი დეტალური მსჯელობაა წარმოდგენილი ბრალდების მხარის ყველა არგუმენტზე, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

4. „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ

დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

5. სასამართლო ითვალისწინებს ზედა ინსტანციის სასამართლობის უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, par. 30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, par. 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece* (No.2) no. 12686/03, paras. 37, 41, ECtHR, 20/03/2009).

6. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა და ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად მსჯავრდებულის (მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულის) მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო.

7. ლ. ნ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდებულებად აღიარებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გამოყენებაზე ნამსჯელია სააპელაციო სასამართლოს განაჩენით და შესაბამისად, სასამართლო დამატებით აღარ იმსჯელებს.

8. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლ. ნ-ს სასჯელი განსაზღვრული აქვს განაჩენთა ერთობლიობის წესით.

8.1. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება ვერ იქნება დამოკიდებული განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესის (შთანთქმის, ნაწილობრივ შეკრების ან სრულად შეკრების) გამოყენებაზე, ვინაიდან სასჯელის შთანთქმა, იმავდროულად, არ გულისხმობს, მის გაუქმებას (იხ. მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის

15 ნოემბრის №791-24 განჩინება; 2025 წლის 14 ივლისის №11აპ-25 განაჩენი). „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა აღსრულდეს მსჯავრდებულის მიმართ არსებულ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით შეფარდებულ და მოუხდელ სასჯელზე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო იმსჯელებს ლ. ნ-ს მიმართ გამოტანილ წინარე განაჩენებზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გავრცელებაზე.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენით:

9.1. ლ. ნ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის საფუძველზე;

9.2. ლ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა – 1 წლით;

9.3. ლ. ნ-ს დაეკისრა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება 23:00 საათიდან 07:00 საათამდე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენით:

10.1. დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

10.2. ლ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელიდან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

10.3. ლ. ნ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან 2021 წლის 15 აპრილიდან.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებით:

11.1. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენმა №1/2308-21 სრულად შეთანქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენით 1/4171-20 დანიშნული სასჯელი, შინაპატიმრობა 1 წელი;

11.2. საბოლოოდ, ლ. ნ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, შეეცვალა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 3 წელი;

11.3. ლ. ნ-ს სასჯელის ვადა აეთვალა 2021 წლის 15 აპრილიდან.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით:

12.1. დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება;

12.2. ლ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად;

12.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 3 წელი;

12.4. მსჯავრდებულ ლ. ნ-ს გამოსაცდელი ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის მომენტიდან – 2023 წლის 13 სექტემბრიდან.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით:

13.1. დამტკიცდა პროკურორსა და ლ. ნ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება;

13.2. ლ. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების

საფუძველზე, ჩათვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი;

13.3. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

13.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ ლ. ნ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე, 67-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენით ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1⁻-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, ერთი მეხუთედით უნდა შემცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი არასრულწლოვანს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით ამ კანონის მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

14.1. ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1⁻-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრადშერაცხილ დანაშაულზე არ ვრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია, მას ასევე არ ჩაუდენია ამავე კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1⁻-ელი ნაწილის „ა“

ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 1 წელი შინაპატიმრობა უნდა შემცირდეს 1/5-ით და განესაზღვროს 9 თვითა და 18 დღით შინაპატიმრობა.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, სასჯელისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით კი ერთი მეექვსედით უნდა შემცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

15.1. ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე მითითებას არ შეიცავს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი-მე-3 მუხლები, მას ასევე არ ჩაუდენია ამავე კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული. შესაბამისად, ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი უნდა შემცირდეს 1/6-ით.

15.2. იმავდროულად, ლ. ნ-ს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა დღეის მდგომარეობით მოხდილი აქვს სრულად და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას უკვე მოხდილ სასჯელებზე გაავრცელოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბრის №1022აპ-24 განაჩენი; 2024 წლის 4 დეკემბრის №1218აპ-24 განაჩენი; 2024 წლის 21 ნოემბრის №1331-24 განჩინება).

15.3. შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს ამავე განაჩენით ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაუ-

ლისათვის განსაზღვრულ პირობით მსჯავრზე (3 წელი), რაც უნდა შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 2 წელი და 6 თვე პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განაჩენთა ერთობლიობის წესით დაენიშნა სასჯელი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელი.

16.1. შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გათვალისწინებით, ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებაში. კერძოდ,

16.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულმა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებულმა სასჯელმა სრულად უნდა შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული სასჯელი.

16.3. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელიდან მოუხდელი და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული სასჯელი – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

16.3.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ლ. ნ-ს განსაზღვრული ჰქონდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, დღეის მდგომარეობით სრულად მოხდილია და შესაბამისად მასზე არ ვრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი (როგორც მოხდით სასჯელზე).

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასჯელზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთაზე (რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან (ამ კანო-

ნით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლით (გარდა ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარებისა)) გამომდინარე ამნისტია არ ვრცელდება.

17.1. შესაბამისად, ამ განაჩენით საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელს ნაწილობრივ უნდა დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელიდან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული, 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩათვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს – 2 წელი და 10 თვე.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით, ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასჯელზე – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობითად) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიდან (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლით (გარდა ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარებისა)) გამომდინარე ამნისტია არ ვრცელდება.

18.1. ამავე განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი. ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მიემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელის 1/3. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა მიემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელის პროპორციული (1/3) წილი – 11 თვე და 10 დღე

და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ლ. ნ-ს განესაზღვროს – 3 წელი, 11 თვე და 10 დღე თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64, 67-ე მუხლების საფუძველზე უნდა ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 თებერვლის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო (2025 წლის 25 თებერვლის) განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით, 11 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ გოგა კაკოჩაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.1. ლ. ნ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე და მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე;

2.2. ლ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს 1/6-ით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.3.1. ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 1 წელი შინაპატიმრობა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით შემცირდეს 1/5-ით და განესაზღვროს – 9 თვითა და 18 დღით შინაპატიმრობა;

2.3.2. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

2.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.4.1. ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით;

2.4.2. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

2.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებაში შევიდეს ცვლილება:

2.5.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულმა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებულმა სასჯელმა სრულად შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული სასჯელი.

2.5.2. საბოლოოდ, ლ. ნ-ს განესაზღვროს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელიდან მოუხდელი და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული სასჯელი – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით.

2.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.6.1. ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასჯელზე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთაზე,

რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი არ ვრცელდება;

2.6.2. საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 სექტემბრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელიდან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული, 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, და საბოლოოდ, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს – 2 წელი და 10 თვე.

2.6.3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

2.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.7.1. ლ. ნ-სათვის საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასჯელზე – 3 წლით თავისუფლების აღკვეთაზე, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი არ ვრცელდება;

2.7.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელის პროპორციული (1/3) წილი – 11 თვე და 10 დღე. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით ლ. ნ-ს განესაზღვროს – 3 წელი, 11 თვე და 10 დღე თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე, 67-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით;

2.8. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 მარტის განაჩენით (საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – განაჩენთა ერთობლიობით) დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქმას წინა განაჩენით დანიშ-

ნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 11 თვე და 10 დღე თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ლ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.9. ლ. ნ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2024 წლის 13 აპრილიდან;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 25 თებერვლის განაჩენი ლ. ნ-ს მიმართ სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაულის სიცოცხლის წინააღმდეგ

**განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ოჯახის
წევრის მიმართ, განღერის ნიშნით შეუწყნარებლობის
მოტივით (მსჯავრდებულმა ასევე საქართველოს სსკ-ის
126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11¹, 118-ე
მუხლის მე-2 ნაწილით)**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 125აპ-25

14 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
ნ. სანდოძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქვემო ქართლის საოლქო პრო-
კურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ თინათინ სტუ-
რუას და მსჯავრდებულ ლ. შ-ის ადვოკატის – ნ. დ-ის – საკასაციო სა-
ჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 10 დეკემ-
ბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ლ. შ-ს – ბრალად ედება:

ა) ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადო-
ბა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სა-
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართვე-
ლოს სსკ-ის) 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედე-
გი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით, მისივე ოჯახის წევ-
რის მიმართ, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, დანაშაუ-
ლი, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგით:

2022 წლის 26 ივნისს, ღამის საათებში, რ-ში, ლ. შ-მა, გენდერის ნიშ-
ნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახში მისი, როგორც მამაკაცის
უპირატესი როლის დემონსტრირების მიზნით, არასრულწლოვანი გე-

რის, – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გ. შ-ის თანდასწრებით, იძალადა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი შ. ტ-ის მიმართ, კერძოდ, იმის გამო, რომ საუბრის დროს შ. ტ-ემ მას ხელი დაურტყა მაგიდაზე, ყელზე მოუჭირა ორივე ხელი. შედეგად, შ. ტ-ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

ბ) ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ოჯახის წევრის მიმართ, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგით:

2022 წლის 26 ივნისს, ღამის საათებში, რ-ში, ლ. შ-მა, შურისძიების მოტივით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა არასრულწლოვან გერს, ..., შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გ. შ-ს, რომელთანაც ასევე ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას. კერძოდ, მაშინ, როდესაც ლ. შ-ი ყელზე უჭერდა ხელს გ. შ-ის დედას, მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ შ. ტ-ეს, გ. შ-ი მივიდა მათთან და ცდილობდა დედის დაცვას, რა დროსაც ლ. შ-მა მას ხელი მოუჭირა მარცხენა ხელზე. შედეგად, გ. შ-მა მიიღო ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანგრძლივად მოშლით – მარცხენა სხივის ძვლის მოტეხილობის სახით.

გ) განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით, რაც გამოიხატა შემდეგით:

2... წლის 6 აგვისტოს, ღამის საათებში, რ-ში, ლ. შ-მა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მესაკუთრული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მოკვლის განზრახვით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ შ. ტ-ეს, დანის მსგავსი საგნით სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენა ხუთი ჭრილობა, კერძოდ, ლ. შ-ი თვლიდა, რომ შ. ტ-ეს სკოლაში, რომელშიც იგი დასაქმებული იყო დამლაგებლის პოზიციაზე, ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა სხვა მამაკაცებთან, რის გამოც, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა მასზე, მიმართავდა სიტყვებით: „არც მე და არც სხვას!“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შ. ტ-ემ გადანწყვიტა მასთან დაშორება და 2... აგვისტოს ბოლოს, ლ. შ-ი წავიდა მათი საერთო საცხოვრებელი სახლიდან. ვინაიდან, ლ. შ-ს შ. ტ-ე თავის საკუთრებად მიაჩნდა, სახლიდან წასვლის შემდეგაც სწერდა შეტყობინებებს; ეუბნებოდა, რომ, თუ მასთან არ იქნებოდა, მოკლავდა, შვილსაც მოუკლავდა. 2... 6 აგვისტოს, შ. ტ-ის სპეციალური საჭიროების მქონე შვილის – გ. შ-ის – დაბადების დღეზე, ტელეფონით დაუკავშირდა შ. ტ-ეს, სურდა სახლში დაბრუნება და მოითხოვდა მისგან, ეთქვა, თუ

რომელი ტორტი მიეტანა. უარის მიღების შემდეგ, დაელოდა სტუმრებისა და ოჯახის წევრების წასვლას, აივნიდან შევიდა შ. ტ-ის საცხოვრებელ ბინაში და მოკვლის განზრახვით, დანის მსგავს საგანს უქნევდა სხეულის სხვადასხვა არეში. შ. ტ-ე სკამის გამოყენებით, ცდილობდა დაეცვა თავი და ხელში აღებულ სკამს იფარებდა სხეულის წინა ნაწილზე. წინააღმდეგობის მიუხედავად, ლ. შ-მა შეძლო და 5-ჯერ დარტყა დანის მსგავსი საგანი შ. ტ-ეს სხეულის სხვადასხვა არეში, კერძოდ, ჯერ ცდილობდა წაერთმია სხეულზე აფარებული სკამი, მარცხენა ხელი მოჰკიდა სკამს და მარცხენა ბარძაყის არეში დაარტყა დანის მსგავსი საგანი, რის შემდეგაც, იგივე საგანი დაარტყა მარცხენა ხელის მტევანში, თუმცა შ. ტ-ე სკამს ხელს არ უშვებდა და ცდილობდა სკამი გულმკერდზე აეფარებინა. ლ. შ-მა მაინც შეძლო და სამჯერ დაარტყა დანის მსგავსი საგანი გულმკერდის არეში, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. შ. ტ-ე მიყენებული დაზიანებების გამო, საავადმყოფოში გადაიყვანეს და განუხილ სამედიცინო დახმარების შედეგად, მისი გადარჩენა მოხერხდა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 24 აპრილის განაჩენით:

2.1.1. ლ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

2.1.2. ლ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

2.1.3. ლ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

2.1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ლ. შ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლით, რაც აეთვალა 2... 8 აგვისტოდან.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 24 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ქვემო ქართლის საოლქო პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ლ. შ-ისთვის დანიშნული სასჯელის გამკაცრება, ხოლო მსჯავრდებულ ლ. შ-ის

ადგოკატმა – მისი დასაცავი პირის უდანაშაულოდ ცნობა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 10 დეკემბრის განაჩენით:

3.1.1. მსჯავრდებულ ლ. შ-ის ადგოკატის – დ. გ-ის – და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორის – თინათინ სტურუას – სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა;

3.1.2. შეიცვალა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 24 აპრილის განაჩენი;

3.1.3. ლ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, შეუმცირდა 1/6-ით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 8 თვით;

3.1.4. ლ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, შეუმცირდა 1/6-ით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და 2 თვით;

3.1.5. ლ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

3.1.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ლ. შ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლით, რაც აეთვალა 2... 8 აგვისტოდან;

3.1.7. ლ. შ-ის მიმართ 9 თვით გამოიცა დამცავი ორდერი შემდეგი პირობებით: ლ. შ-ს აეკრძალა დაზარალებულებთან, მათ შორის, მათ საცხოვრებელთან, სამსახურსა და იმ სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ;

3.1.8. დამცავი ორდერის ვადის ათვლის თარიღად განისაზღვრა ლ. შ-ის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების დღე.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარემა.

3.2.1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორი – თინათინ სტურუა – საკასაციო საჩივრით

ითხოვს ლ. შ-ისთვის დანიშნული სასჯელის გამკაცრებას. პროკურორის პოზიციით, ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან შეუსაბამობის გათვალისწინებით, მსუბუქია ლ. შ-ისთვის დანიშნული სასჯელი, რომლის პირობებშიც, ვერ მიიღწევა საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნები.

3.2.2. ადვოკატი – ნ. დ-ე – საკასაციო საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ ლ. შ-ის უდანაშაულოდ ცნობას. ადვოკატის პოზიციით: განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენისთვის საკმარისი უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა; ლ. შ-ის ბრალდება ეფუძნება დაზარალებულ შ. ტ-ის არადამაჯერებელ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას; მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ლ. შ-ი და შ. ტ-ე თანაცხოვრობდნენ, რის გამოც, მაკვალიფიცირებული ნიშანი – ოჯახის წევრის მიმართ – არ დასტურდება; ლ. შ-ს შ. ტ-ის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია; მიყენებული მსუბუქი და ზიანება მკვლელობის მცდელობის ბრალდებასთან შეუსაბამოა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა, განიხილა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორის – თინათინ სტურუას – და მსჯავრდებულ ლ. შ-ის ადვოკატის – ნ. დ-ის – საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 10 დეკემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა – შ. ტ-ემ – განმარტა, რომ ლ. შ-თან დაახლოებით, ხუთი წელი იყო არარეგისტრირებულ ქორწინებაში. პირველი ქორწინებიდან ჰყავს ორი შვილი, რომელთაგან ერთი – გ. შ-ი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. თავად სკოლაში მუშაობს დამლაგებლად, რაზეც ლ. შ-ი ეჭვიანობდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ამასთან, უკონტროლებდა ჩაცმის სტილს; ეუბნებოდა, არ ჩაეცვა მოკლე კაბა. ლ. შ-ი ხშირად სვამდა, რის შემდეგაც, ფიზიკურად ძალადობდა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. თანაცხოვრების საწყის ეტაპზე ურთიერთობაში პრობლემები არ ჰქონიათ, თუმცა ბოლო პერიოდში სიტუაცია შეიცვალა. დაახლოებით, 2022 წელს, ნ. შ-ის მიერ გამოძახებულმა პატრულმა იხსნა ლ. შ-ის მოკვლისგან. 2022 წლის ზაფხულში, ლ. შ-მა იეჭვიანა და იმის გამო, რომ თავად საუბრისას ხელი დაურტყა მაგიდაზე, ყელზე მოუჭირა ორივე ხელი, რა დროსაც იგრძნო ტკივილი. ლ. შ-მა მასთან გასაშველებლად მისულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლო-

ვან გ. შ-ს მოსტეხა ხელი, რაც დადასტურდა კიდევ სამედიცინო დაწესებულებაში მისი გადაყვანის შემდეგ. ძალადობის ფაქტის შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, რადგან ლ. შ-თან ცხოვრების გაგრძელებას გეგმავდა და პოლიციის გამოძახება და ლ. შ-ის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა არ სურდა. 2... ივლისის ბოლოს, ის და ლ. შ-ი დაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი პერიოდულად იმიზეზებდა რალაცებს და მაინც მიდიოდა მასთან. მოგვიანებით, ხშირად ემუქრებოდა, ეუბნებოდა: „– მოვალ და ნახავ რას გიზამ!“ ერთ დღეს, სიტყვიერი კონფლიქტისას ისევ დაემუქრა. იმ ღამესვე შევიდა ლ. შ-ის „ფეისბუქზე“ და წაიკითხა დედამისთან გაგზავნილი შეტყობინებები, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რამდენიმე დღეში აპირებდა მოწმის მოკვლას. 2... 6 აგვისტოს, იყო მისი შვილის – გ. შ-ის – დაბადების დღე. გვიან ღამით, სახლში მარტო მყოფმა, შენიშნა ბინაში აივნიდან შესული ლ. შ-ი, რომელმაც ჯიბიდან დანისმაგვარი საგანი ამოიღო. იმ მომენტში მიხვდა, რომ ლ. შ-ი დანაპირების შესრულებას აპირებდა, რის გამოც, თავდაცვის მიზნით, სკამი აიღო და გულზე მიიხუტა, თუმცა ლ. შ-მა დანა თავდაპირველად ფეხში, შემდეგ ხელში, ბოლოს კი, გულში სამჯერ დაარტყა, რის შემდეგაც სისხლმა გამოასხა. ამის შემდეგ ლ. შ-ი წავიდა სახლიდან, თუმცა ეს იმიტომ არ გაუკეთებია, რომ მისი მოკვლა გადაიფიქრა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მარტო დატოვა, როდესაც სისხლისგან იცლებოდა. მოწმემ მყისიერად დარეკა 112-ში და ითხოვა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ოპერატორს ისიც უთხრა, რომ თუ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს ცოცხალი აღარ დახვდებოდა, ლ. შ-ს მიუძღვოდა მის სიკვდილში ბრალი. შემდეგ დისშვილს დაურეკა და იგივე უთხრა. სანამ მისი ახლობლები მივიდოდნენ, სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც მივიდა და გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა. თავსგადაამხდარი ამბის გამო, განიცდის ძლიერ ფსიქოლოგიურ სტრესს.

3. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, შ. ტ-ეს ... ობიექტური შემოწმებითა და ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ... სტაციონარული მკურნალობის სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, დაუდგინდა: ჭრილობები გულმკერდის, მარცხენა ზედა და ქვედა კიდურების მიდამოში, სისხლნაჟღენთი და ნაჭდევი მარცხენა საქმის კიდურის მიდამოში, რაც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. სისხლნაჟღენთი და ნაჭდევი მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ხოლო ჭრილობების მიმყენებელი საგანი ვერ განისაზღვრა, ვინაიდან ობიექტური შემოწმების დროს ქირურგიულად დამუშავებულია – გაკერილია და პირველადი მორ-

ფოლოგიური სურათი არის წაშლილი, ხოლო სამედიცინო დოკუმენტაციაში მორფოლოგიური აღწერილობა არასრულია.

4. დაზარალებულმა გ. შ-მა დაადასტურა, რომ შ. ტ-ე, მისი დედაა, ლ. შ-ი კი – მამასავით ჰყავს. ლ- დედამისზე ხშირად ეჭვიანობდა, რადგან ფიქრობდა, რომ საყვარელი ჰყავდა. 2022 წლის ზაფხულში, ერთ-ერთი დაპირისპირების დროს, ლ. შ-ი შ. ტ-ეს ყელში უჭერდა ხელს, რა დროსაც შეეცადა მათ გაშველებას, თუმცა იმ დროს ლ. შ-მა ხელი მოსტეხა. მოტეხილობა ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა. 2... 6 აგვისტოს, სალამოს, ეზოში იყო ბავშვებთან ერთად, რა დროსაც მისმა დეიდაშვილებმა უთხრეს, რომ „რალაც“ მოხდა. სახლში დაბრუნებულს სისხლის გუბე დახვდა.

5. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დგინდება, რომ გ. შ-ი მკურნალობდა სტაციონარულად 2... წ. დიაგნოზით: მარცხენა სხივის ძვლის მოტეხილობა, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ შემთხვევის პერიოდს და მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს, ჯანმრთელობის ხანგრძლივად მოშლით.

6. ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ დათვალიერდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-დან გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც ასახავდა დაზარალებულ შ. ტ-ის კომუნიკაციას ოპერატორთან. აუდიოფაილის (სახელწოდებით – №... 0... 2... სთ.) გახსნისას ისმის ქალბატონების დიალოგი. ოპერატორის კითხვაზე, რა მისამართზე ესაჭიროება დახმარება, ქალბატონი ხშირი სუნთქვითა და კვნესით პასუხობს: „ლ-ში, დამჭრეს, ლ., დროზე, არ ვიცი, დამჭრეს, რ. ლ., ველარ ვსუნთქავ, დამჭრეს, აააააა, მარტო ვარ სახლში დროზე, რ-ი, ლ., დამჭრეს, დიახ, ლ. დროზე სასწრაფო“. აუდიო ფაილის (სახელწოდებით – ...) გახსნისას ისმის ქალბატონების დიალოგი: „112-დან გირეკავთ, ქალბატონო საუბარი შეგიძლიათ? გვარი, სახელი მითხარით თქვენი. მისამართი ლ... ბრძანეთ რ-ში? სადარბაზო, სართული მერამდენია ქალბატონო? ოთახი 5... ბრძანეთ? ამ ნომერზე შეძლებენ თქვენთან დაკავშირებას? სახელი თქვენი, გვარი? რამდენი წლის ხართ? რა მოხდა რომ მომიყვეთ, ვინ დაგჭრათ, ვინ იყო ეს ბატონი ან ქალბატონი, რითი ბრძანდებით დაჭრილი, გადაცემულია დაელოდეთ“. ქალბატონი პასუხობს: „ააჰ, მარტო ვარ, მომხედეთ გეხვენები დაჭრილი ვარ, ოხ, დიახ, მარტო ვარ, მ- სადარბაზო, მეორე სართული, დიახ, დიახ, დიახ, თუ გული არ წამივიდა, შ., ყველგან დამჭრა დროზე. ვაიმე, ტ-ე, ვაიმე, დედა რალა ვქნა, 4..., სანამ მობრუნდა ისევ, აჰ, აჰ, ვაიმე, რომ მოვლენ მერე მოვყვები გული წამივა 5 წუთში აღარ ვერა, ყოფილი ქმარი, ვინც იყო რავი ჯანდაბა მაგას, დანით ალბათ, არ ვიცი, რალაცა ეკავა ბასრი სულ სისხლად ვილ-

ვრები, მალეთ რა გთხოვთ. სული მეხუთება“.

7. გარდა ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებთან შესაბამისობისა, დაზარალებულ შ. ტ-ის ჩვენება თანხვედბა მოწმეების – ნ. შ-ისა და ლ. მ-ის – ჩვენებებს. მოწმე ლ. მ-მა დაადასტურა, რომ ლ. შ-ი ეჭვიანობდა და ძალადობდა შ. ტ-ზე. ხშირად შესწრებია ნასვამი ლ. შ-ის მიერ შ. ტ-ის სიტყვიერ შეურაცხყოფას. ერთ დღეს, როდესაც შ. ტ-ესთან სახლში იმყოფებოდა, სახლში მისულ ლ. შ-ს რაღაც სიტყვა ან ხუმრობა მოეჩვენა არასწორად, რის გამოც, სიტყვიერად შეურაცხყო შ. ტ-ე. ამ უკანასკნელმა კი, გაბრაზების ნიადაგზე, მაგიდაზე ხელი დაარტყა და მისაღებოთაში გავიდა, სადაც გაჰყვა ლ. შ-იც. შემდეგ გაიგო გ. შ-ის ყვირილი: „დედას ხელი გაუშვი!“. როდესაც გავიდა, დაინახა, რომ შ. დივანზე იჯდა, ლ. შ-ი ზემოდან ეჯდა და ხელებს ყელში უჭერდა. თვითონ და გ. შ-ი ექაჩებოდნენ. იმ მომენტში ლ. შ-მა გ-ს მოჰკიდა მარცხენა ხელზე და მოსტება. 2... აგვისტოს, შ-სთან მიდიოდა, რა დროსაც გზად, მაღაზიასთან, ლ. შ-ი დაინახა. შ-სთან რომ ავიდა, ლ-მ ორჯერ დარეკა. მეორე ზარს თვითონ უპასუხა და უთხრა, რომ შ-ს მასთან ურთიერთობა არ სურდა, რაზეც ეს უკანასკნელი გაბრაზდა და ტელეფონი გაუთიშა, შემდეგ მთელი დღე უკანა ეზოში დადიოდა. ამ დღეს გ. შ-ის დაბადების დღე იყო. მოწმე დაახლოებით, 20:30 საათზე, წავიდა შ. ტ-ის სახლიდან. იმ დღეს, შ-სთან ერთად მისი შვილი ნ. შ-იც იყო, თუმცა ისიც აპირებდა წასვლას. დაახლოებით, 03:00 საათზე, გამომძიებელმა დაურეკა და უთხრა მომხდარი ამბავი. თავდაპირველად იკითხა, ლ. შ-ს ხომ არ ჰყავდა შ. ტ-ე მოკლული. ეს კითხვა იმიტომ გაუჩნდა, რომ ლ. ხშირად დამუქრებია შ-ს მოკვლით, რის გამოც, შ. ტ-ე მუდმივ შიშს განიცდიდა.

8. მოწმე ნ. შ-ის ჩვენებით დასტურდება, რომ არის შ. ტ-ის შვილი. თავად დედასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ძმასთან – გ. შ-სა და დედამისის პარტნიორთან – ლ. შ-თან – ერთად ცხოვრობდა რ-ში, ლ-ში. თავდაპირველად ამ უკანასკნელს დედამისთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, თუმცა შემდეგ, ეჭვიანობის ნიადაგზე, ურთიერთობა დაეძაბა. ლ. შ-ის მხრიდან ძალადობას პირადად შესწრებია, თუმცა გ. შ-ისთვის ხელის მოტეხვის მომენტში სახლში არ იმყოფებოდა. ეს ფაქტი მოგვიანებით შეიტყო. 2... აგვისტოში, გ. შ-ის დაბადების დღეზე მისი დეიდაშვილები, თავად და შ. ტ-ის მეგობარი – ლ. მ-ი – იმყოფებოდნენ რ-ში, ლ-ში. შემდეგ წავიდნენ გარეთ და შ. ტ-ე მარტო დარჩა სახლში. 23:00 საათის შემდეგ, მობილური ტელეფონი რომ შეამოწმა, ნახა დედამისის დანარეკი 5-6 უპასუხო ზარი. იმ მომენტში მასთან მიიღბინა დეიდაშვილმა და უთხრა, სახლში სწრაფად მისულიყო, რადგან ლ. შ-ს დაჭრილი ჰყავდა შ. ტ-ე. სახლში ყველა ადგილზე სისხლის წვეთები იყო. შ. ტ-ე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებმა გადაიყვანეს საავადმყოფოში. ჩვენების მიცემისას მოწმემ დაადასტურა, რომ ამ

ფაქტიდან რამდენიმე დღით ადრე, ლ. შ-ი ემუქრებოდა შ. ტ-ეს, რის გამოც, ეს უკანასკნელი შიშს განიცდიდა.

9. სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში მონაწილე პირები, რომლებმაც დაადასტურეს მათი მონაწილეობით შედგენილი დოკუმენტების სისწორე. მხარეთა შეთანხმების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პრეიუდიციად იქნა მიჩნეული მონმეების: თ. ა-ის, ი. ზ-ის, გ. კ-ის, კ. კ-ას, ტ. ს-ის, მ. ლ-ის, ა. კ-ის, ა. ა-ის, ლ. ვ-ის, ზ. ა-ის, ს. დ-ის, დ. ჭ-ის, გ. ს-ს, ბ. რ-ას, ს-ის, ნ. კ-ის, რ. ნ-ის, ნ. ჯ-ის, უ. გ-ის, ე. გ-ის, თ. ს-ას, მ. მ-ის, ს. რ-ის, ლ-ის, დ. მ-ას, ზ. ტ-ის, მ. კ-ისა და რ. ჟ-ის მონაწილეობით შედგენილი ოქმები. შესაბამისად, აღნიშნული პირები სასამართლოში არ დაკითხულან.

10. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დაზარალებულების მხრიდან ლ. შ-ის მიმართ ნეგატიური სუბიექტური დამოკიდებულება, რაც მისთვის დანაშაულის დაბრალევის ერთგვარი მოტივი გახდებოდა, არ დადგენილა. პირიქით, დაზარალებულების შემწყნარებლური დამოკიდებულების აღმნიშვნელია მათი ნოტარიულად დამონმებული განცხადებები ლ. შ-ის სამართლებრივი მდგომარეობის შემსუბუქებასთან დაკავშირებით; აგრეთვე, ის ფაქტი, რომ დაზარალებული შ. ტ-ე მაქსიმალურად ცდილობდა, არ ემხილა დანაშაულში მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ლ. შ-ი. კითხვაზე – რატომ არ განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ პოლიციასთან დროულად – განმარტა, რომ არ სურდა ლ. შ-ის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რადგან მასთან თანაცხოვრების გაგრძელებას გეგმავდა. ამ მოცემულობაში მსჯავრდებულის ცრუ მხილების მოტივი სრულად გამოირიცხება. შესაბამისად, ძალადობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მოგვიანებით გაცხადებაზე დამცველის აპელირება სუსტ არგუმენტად ფასდება.

11. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაზარალებულის ჩვენება დეტალური, თანმიმდევრული და სხვა მტკიცებულებებთან თანხვედნილია. ძალადობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტებს დაზარალებულ შ. ტ-ის გარდა, ადასტურებენ ფაქტის უშუალო შემსწრენი – გ. შ-ი და ლ. მ-ი. მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც. ამასთან, დაზარალებულის განმარტება ლ. ტ-ის ქმედებებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ტანჯვასთან დაკავშირებით, თანხვედრა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნას. რაც შეეხება მკვლელობის მცდელობას, აღნიშნული დადასტურებულია დაზარალებულის ჩვენებითა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, რომელიც ასახავდა და-

ზარალებულ შ. ტ-ის კომუნიკაციას ოპერატორთან. საგულისხმოა, რომ დაზარალებულ შ. ტ-ის ჩვენება შეესაბამება მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, საცხოვრებელი ბინის დათვალიერების ოქმსა და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასაც. კერძოდ, ბინის დათვალიერებისას ამოღებულ სკამს აღენიშნებოდა ბასრი საგნით მიყენებული დაზიანებები, რაც ადასტურებს დაზარალებულის განმარტებას, რომ მან ლ. შ-ისგან თავის დასაცავად გამოიყენა სკამი. ამას ისიც მოწმობს, რომ აღნიშნულ სკამზე არსებული მუქი ლაქები ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ადამიანის სისხლია, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის შ. ტ-ეს.

12. ამდენად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ლ. შ-მა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი გ. შ-ის თანდასწრებით, ყელში ხელების მოჭერით იძალადა და შ. ტ-ზე, რის შედეგადაც, ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. მან ამავე დროს ხელი მოუჭირა გ. შ-ს მარცხენა ხელზე. შედეგად, გ. შ-მა მიიღო ნაკლებად მძიმე დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივად მოშლით – მარცხენა სხივის ძვლის მოტეხილობის სახით.

13. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასევე უტყუარად დასტურდება ლ. შ-ის მიერ შ. ტ-ის მოკვლის განზრახვა. მართალია, დამცველი დაზარალებულისთვის მიყენებული დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, გამორიცხავდა ლ. შ-ის ქმედებაში მკვლელობის განზრახვის არსებობას და სასამართლოს სთავაზობდა ლ. შ-ის ქმედების შედეგის მიხედვით დაკვალიფიცირების ალტერნატიულ ვერსიას, თუმცა აღნიშნული მოსაზრება და მისი გამამყარებელი არგუმენტი მყიფეა, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საქართველოს უზენაესის სასამართლოს განმარტებით: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მკვლელობის მცდელობისაგან განზრახვის მიმართულებით განსხვავდება, კერძოდ: თუ პირმა მოკვლის მიზნით დააზიანა სხვა პირის ჯანმრთელობა, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ასეთ შემთხვევაში გამოკვეთილია მკვლელობის მცდელობა და არა – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. ანუ სწორედ განზრახვის ელემენტი განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ.“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის №309აპ-19 განაჩენი).

15. სასამართლო, ამ მიმართებით, ყურადღებას რამდენიმე გარემოებაზე, უწინარესად კი, ლ. შ-ის ქმედების ხასიათზე, დაზიანებათა რაოდენობასა და ლოკალიზაციაზე გაამახვილებს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება, რომ ბინაში აივნიდან მალულად შესულმა ლ. შ-მა დაზარალებულ შ. ტ-ის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ უკანასკნელს სხეულის სხვადასხვა არეში 5-ჯერ დარტყა დანის მსგავსი საგანი. დანაშაულის სისრულეში მოყვანის მტკიცე და ურყევ ნებაზე მიუთითებს მისივე მცდელობა – შ. ტ-ისთვის წაეთმია სხეულზე თავდაცვის მიზნით აფარებული სკამი. დაზარალებულის თავდაცვითი ქცევის მიუხედავად, ლ. შ-მა მაინც შეძლო და სამჯერ დაარტყა დანის მსგავსი საგანი გულმკერდის არეში, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დანაშაულის ადგილზე უმეთვალყურეოდ დატოვა დაზარალებული, რომელსაც სხეულიდან დიდი რაოდენობით სისხლი სდიოდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. შ-მა დაზარალებულ შ. ტ-ეს მოკვლის მიზნით დაუზიანა ჯანმრთელობა, თუმცა სასიკვდილო შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებლად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროული რეაგირების შედეგად, რის გამოც, მის ქმედებაში იკვეთება მკვლელობის მცდელობის და არა – ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვა.

16. დაცვის მხარე ასევე სადავოდ ხდისა და მსჯავრდებულის მიერ ბრალდწარდგენილი დანაშაულების ჩადენას, ოჯახის წევრის მიმართ, ვინაიდან მსჯავრდებული რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მ. ხ-თან. საკასაციო პალატა, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად მიუთითებს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ლ. შ-ი ცხოვრობდა და ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწეოდა შ. ტ-სთან. აღნიშნული ფაქტი გარდა დაზარალებულისა, მისმა შვილებმაც და სხვა მოწმეებმაც დაადასტურეს. ამასთან, ლ. შ-თან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მ. ხ-ის განმარტება, რომ ლ. შ-თან ერთად აღარ ცხოვრობდა, შეესაბამება კიდევ დაზარალებულის ნათქვამს. შვილებთან და რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთან კომუნიკაცია არ გამოორიცხავს სხვა პირთან თანაცხოვრებას, რასაც, განსახილველ შემთხვევაში, ჰქონდა ადგილი. ამგვარ მოცემულობაში, როდესაც მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტები სათანადო მყარი მტკიცებულებებით ვერ ბათილდება, საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ლ. შ-ი, შ. ტ-ე და გ. შ-ი ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, რის გამოც, მსჯავრდშეარაცხილი ქმედებების ოჯახურ დანაშაულად კვალიფიკაცია საფუძვლიანია.

17. უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი იმ შემთხვევაში გვაქვს სახეზე, თუ

მტკიცებულებებით დასტურდება მამაკაცის მიერ ქალის თავისუფლების შეზღუდვის, დადგენილ სტერეოტიპულ ჩარჩოებში მოქცევისა და კონტროლის ფაქტები და სწორედ ეს საბაზი არის წამყვანი ფაქტორი დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებისას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 ივნისის №203-აპ-22 განჩინება). მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებული ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ ლ. შ-ი არ აძლევდა თავისუფლად ცხოვრების შესაძლებლობას, უკმაყოფილებას გამოთქვამდა მის მუშაობასთან დაკავშირებით და უკონტროლებდა ჩაცმის სტილს. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ ლ. შ-მა შ. ტ-ის მიმართ დანაშაულის ორივე ეპიზოდი ჩაიდინა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

18. ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილის 2025 წლის 4 აპრილიდან მოქმედი რედაქცია, „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის“ ნაცვლად, სასჯელის დამაძიმებელ გარემოებად მიიჩნევს დანაშაულის ჩადენას „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის მოტივით“. იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტში, ნაცვლად გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობისა, მიეთითა – განზრახ მკვლელობა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შეუწყნარებლობის გამო. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მუხლებიდან „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის“ ამოღება არ გულისხმობს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისადმი შეუწყნარებლობის მოტივით“ ჩადენილი დანაშაულებისთვის დამაძიმებელი გარემოების სამართლებრივი სტატუსის მოხსნას. აღნიშნული ცვლილება უმთავრესად ემსახურება ტერმინის „გენდერის“ შეცვლას „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის“ კონსტიტუციური ტერმინით. შესაბამისად, „გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი“, ავტომატურად არ გამოიწვევს განაჩენების გადასინჯვას და სასჯელის შეცვლას, რადგან პირის მიერ ჩადენილი ქმედება და მისი მოტივი არა სიტყვასიტყვით, არამედ შინაარსობრივად უნდა შეფასდეს. შემთხვევები, რომლებშიც დადგინდება, რომ დანაშაული ჩადენილია, მათ შორის, ქალის მორჩილებაში ყოლისა და მისი ქმედებების კონტროლის, აგრეთვე – ქალის დაქვემდებარებული როლის წარმოჩენის სურვილით (მოცემულ საქმეში ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი), რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას, ტერმინოლოგიური სხვაობის მიუხედავად, აღიარებული უნდა იქნეს დამაძიმებელ გარემოებად, ახალი საკანონმდებლო წესდების პირობებშიც.

19. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის

მე-4 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38). მართლმსაჯულება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რათა მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის №1/7/851 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7).

20. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის (2025 წლის 4 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით კი, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რის გამოც, მსჯავრდებულისთვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. ეს წესი არ გაითვალისწინება, თუ ზემოაღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებზე, როგორც დანაშაუ-

ლის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, მითითებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში.

21. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ თითოეული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი სრულად შეესაბამება ლ. შ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მის პიროვნებას.

22. ლ. შ-ისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონს, რომელიც ცალკეული დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის შეღავათს ითვალისწინებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის (მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულის) მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით, გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო.

23. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლი ერთმნიშვნელოვნად განერს იმ დანაშაულთა ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია. ასეთია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. შესაბამისად, აღნიშნულ ეპიზოდთან მიმართებით, არ არსებობს დასახელებული ამნისტიის კანონის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

24. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში), 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში) ან 381¹-ე მუხლით, ან იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა ოჯახური დანაშაული (გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-7 მუხლით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულისა), ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი ერთი მეექვსედით შეუმცირდება, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ

პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა.

25. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ლ. შ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები ექცევა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ოჯახურ დანაშაულებში. იმავდროულად, წარმოდგენილია დაზარალებულების თანხმობა ამნისტიის გავრცელებაზე, თუმცა საქმის მასალებში არ მოიპოვება თავად მსჯავრდებულის განმარტება დამცავი ორდერის გამოცემაზე.

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით (დანიშნული სასჯელის ერთი მეექვსედით შემცირებით) სარგებლობისთვის, კანონის კუმულაციური მოთხოვნა, ერთი მხრივ, ამნისტიის გამოყენებაზე დაზარალებულის თანხმობისა და, მეორე მხრივ, დამცავი ორდერის გამოცემაზე მსჯავრდებულის თანხმობის სახით, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება და ისეთ შემთხვევებს მიემართება, როდესაც მსჯავრდებული დანიშნული სასჯელის შემცირების შედეგად ტოვებს საპატიმრო დაწესებულებას. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, „დამცავი ორდერი უნდა გამოიცეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახურ დანაშაულზე მსჯავრდებული პირი, ამნისტიის კანონის გამოყენებით სასჯელის შემცირების შედეგად გათავისუფლდება პენიტენციური დაწესებულებიდან“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 14 ნოემბრის №731-24 განჩინება).

27. განსახილველ შემთხვევაში, დამცავი ორდერის გამოცემა არამართებულია, რადგან ლ. შ-ისთვის დანიშნული და ამნისტიის შედეგად შემცირებული სასჯელები, შთანთქმა იმ დანაშაულისთვის დანიშნულმა სასჯელმა, რაც ამნისტიის შედეგად არ შემცირებულა და, იმავდროულად, ამნისტიის შედეგად შემცირებულ ვადაში მსჯავრდებული არ თავისუფლდება პენიტენციური დაწესებულებიდან. ამგვარ მოცემულობაში, დაზარალებულის დაცვის დროებითი ზომების მიღება და დამცავი ორდერის გამოცემაზე მსჯავრდებულის თანხმობის მოთხოვნა, აზრსმოკლებულია. დანიშნული სასჯელის ერთი მეექვსედით შემცირებისთვის ამნისტიის გამოყენებაზე დაზარალებულების თანხმობაც კმარა. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნა-

წილით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, დამცავი ორდერის გამოცემაზე ლ. შ-ის თანხმობის არარსებობის მიუხედავად, უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 9 თვით გამოცემული დამცავი ორდერი უნდა გაუქმდეს.

28. ვინაიდან არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ არასრულწლოვანი დაზარალებულის – გ. შ-ის, აგრეთვე მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის არ არის განმარტებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესახებ, საკასაციო სასამართლო, მითითებული ნორმის საფუძველზე, დასახელებულ პირებს აცნობებს განსახილველი საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგს და განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების თაობაზე.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორ თინათინ სტურუას და მსჯავრდებულ ლ. შ-ის ადვოკატ ნ. დ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 10 დეკემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორ თინათინ სტურუას და მსჯავრდებულ ლ. შ-ის ადვოკატ ნ. დ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 10 დეკემბრის განაჩენი;

3. ლ. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს 1/6-ით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვე-

თა 1 წლით და 8 თვით;

4. ლ. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს 1/6-ით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და 2 თვით;

5. ლ. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ლ. შ-ს სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

7. ლ. შ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს – 2... 8 აგვისტოდან;

8. გაუქმდეს ლ. შ-ის მიმართ გამოცემული დამცავი ორდერი;

9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ლ. შ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

10. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დაზარალებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს ეცნობოთ საქმის სასამართლოში განხილვის შედეგები და განემარტოთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება;

11. საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

შ. ტ-ის ტანსაცმელი, პირსახოცები, გადასაფარებელი და ტელეფონი, ლ. შ-ის ტელეფონი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული სკამი – დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს;

ლაქები, ანანმენდები, სუნის, ნერწყვისა და სისხლის ნიმუშები – განადგურდეს;

დისკები შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განაჩენი
საპარტოვლოს სახელით

№253აპ-25

24 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ქ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-ისა და გ. ბ-ის – საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 6 ნოემბრის განაჩენით ა. ქ-ა, დ., ნასამართლევი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით – განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2023 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით, 21:00 საათზე ქ. რ-ი, გ. საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზ. გ-ასა და ბ. ბ-ს შორის კამათისას, ბ. ბ-ს მხარი დაუჭირა მეგობარმა – ა. ქ-ამ, ხოლო ზ. გ-ას – მისმა ახლობელმა, ა. გ-მ, რა დროსაც ა. ქ-ამ მოკვლის განზრახვით ორჯერ დაარტყა დანა ა. გ-ს, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები გულმკერდისა და მუცლის ღრუს ნაკვეთი ჭრილობების სახით, თუმცა, ა. ქ-ს გან დამოუკიდებელი მიზეზით, განუული სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ა. გ. გადარჩა მიყენებული დაზიანებების შედეგად სიკვდილს.

2. აღნიშნული ქმედებისათვის ა. ქ-ას საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ა. ქ-ას, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღ-

კვეთა, რაც აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 16 თებერვლიდან.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. ადვოკატებმა – გ. ნ-მა და გ. ბ-ემ – სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს რუსთავეის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 6 ნოემბრის განაჩენის შეცვლა და ა. ქ-ას ქმედების საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან 19,117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენით რუსთავეის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 6 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორები – ადვოკატები: გ. ნ-ი და გ. ბ-ე – საკასაციო საჩივრით ითხოვენ ა. ქ-ას ქმედების საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას; საქმის დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემას, ასევე – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის ერთი მეექვსედით შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მტკიცებულებების შეფასების თაობაზე ნამოჭრილი ყველა სადავო საკითხი საკმარისი დამაჯერებლობითა და გულმოდგინებით არის შესწავლილი და პასუხგაცემული სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებულ განაჩენში.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და აღნიშნავს, რომ ის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმეში, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზების დასკვნები, ვიდეოჩანაწერები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და საქმეში არსებული სხვა მასალები – გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით ადასტურებს ა. ქ-ას მიერ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ ა. ქ-ამ ა. გ-ს ჭრილობები მიაყენა მოკვლის განზრახვით, რასაც ადასტურებს როგორც ჭრილობების ლოკალიზაცია, ისე – ფაქტის შემსწრე მოწმეების ჩვენებები. კერძოდ:

4. 2023 წლის 15 თებერვალს რ-ი, გ. კორპუსის ეზოში ზ. გ-ასა და ბ. ბ-

ს შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკება ცალსახადაა დადასტურებული თავად ამ მოწმეების, ასევე – მოწმეების: ნ. მ-ისა და ზ. გ-ას – ჩვენებით. დადგენილია, რომ ზ. გ-ასა და ბ. ბ-ს შორის დანყებულ კონფლიქტში ჩაერთნენ ა. ქ-ა და ა. გ. მოწმეების – ნ. მ-ის, ზ. გ-ასა და ზ. გ-ას – ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ზ. გ-ა განარიდეს შემთხვევის ადგილიდან, თუმცა კონფლიქტი ამით არ ამოიწურა. როგორც მოწმე ზ. გ-ას ჩვენებით დადგინდა, ის და ა. გ- ჩასხდნენ ა. გ-ს კუთვნილ ავტომანქანაში და აპირებდნენ შემთხვევის ადგილის დატოვებას, რადროსაც ბ. ბ-ი უკან დაედევნა ავტომანქანას და ურტყამდა ავტომანქანის უკანა ნაწილს. სწორედ ამ მომენტიდან ა. გ. გადმოვიდა ავტომანქანიდან და თანნაქონი მკვრივ-ბლაგვი საგნით ბ. ბ-ს თავის არეში მიაყენა დაზიანება (სამედიცინო ექსპერტიზის 2023 წლის 20 თებერვლის № – დასკვნით, ბ. ბ-ს გარეგანი დათვალერებით მარცხენა შუბლ-საფეთქლის მიდამოში აღენიშნება დაჟეჟილი ჭრილობა, რომელიც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად და მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით). მოწმეების – ნ. მ-ისა და ზ. გ-ას – ჩვენებები ა. გ-ს მიერ ბ. ბ-ისათვის დაზიანების მიყენების ნაწილში თანხვედნილია და არ ვლინდება არსებითი წინააღმდეგობები. ამასთან, ორივე მოწმე ერთმნიშვნელოვნად და ნათლად აღწერს ბ. ბ-ისათვის დაზიანების მიყენების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, რაც უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობისათვის არის მნიშვნელოვანი, კერძოდ: მოწმეების ჩვენებებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ბ. ბ-ს დაზიანება მიაყენა ა. გ-მ, ა. ქ-ა გაემართა მისკენ. მოწმეებმა: ზ. გ-ამ და ნ. მ-მა – დაინახეს ა. გ-სთან მიახლოებული ა. ქ-ა, რომელსაც ხელში ეჭირა დანა და დანიანი ხელი მოიქნია ა. გ-ს მიმართულებით, დანის მოქნევის შემდეგ კი, მოწმეთა განმარტებით, ა. ქ-ამ დატოვა შემთხვევის ადგილი, ხოლო ა. გ., რომელიც ტანთცმული ქურთუკის შიდა მხარეს იკიდებდა ხელს, ზ. გ-ასთან ერთად ჩაჯდა თავის ავტომანქანაში და მათ დატოვეს შემთხვევის ადგილი. მოწმე ზ. გ-ამ მოგვიანებით, უკვე ავტომანქანაში ჩაჯდომის შემდეგ, შეიტყო, რომ ა. გ. იყო დაჭრილი, რის გამოც, იგი მიიყვანა რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში. დაცვის მხარის მოწმე ბ. ბ-მა დადასტურა, რომ ა. გ-ს ე.წ. „ბიტის“ თავში ჩარტყმის მერე გონება დაკარგა, თუმცა, უკვე გამოფხიზლებული, ის ა. ქ-ამ წაიყვანა შემთხვევის ადგილიდან. მოწმე ბ. ბ-მა ასევე დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა მოწმე ნ. მ-იც. ამდენად, ა. ქ-ას, ზ. გ-ას, ნ. მ-ის შემთხვევის ადგილზე ყოფნა დადასტურებულია არა მხოლოდ ბრალდების მოწმეების, არამედ – დაცვის მხარის მოწმის ჩვენებითაც. თვითმხილველი მოწმეების: ნ. მ-ისა და ზ. გ-ას – ინციდენტისას იქ ყოფნა დასტურდება ა. გ-ს პალატაში ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული აუდიოჩანაწერთაც, რომელშიც თავად ა. გ. აცხადებს, რომ ჩაჯდა მანქანაში, მაგრამ

მანქანას დაუწყო ნიხლების რტყმევა, გადმოხტა მანქანიდან და ბ. (ბ. ბ-ი) მიდიოდა მისკენ, ბ-ს თავში ჩაარტყა და შემდეგ დანა დაარტყეს; დანა რატომ დაარტყეს, არ იცის; ასევე საუბრობს, რომ ნ. მ-ი და ზ. გ-აც იქ იყვნენ. შესაბამისად, დაცვის მხარის არგუმენტები, რომ მოწმეების – ზ. გ-ასა და ნ. მ-ის – მიერ სასამართლოსათვის მონოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ქარწყლება თავად ამ მოწმეთა ჩვენებებითა და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული აუდიოჩანაწერით. ასევე, რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერებით ცალსახად დგინდება, რომ ა. გ. სწორედ ზ. გ-ამ მიიყვანა საავადმყოფოში, რომელშიც მოგვიანებით მივიდნენ ზ. გ-ა და ნ. მ-ი.

5. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, რომ, თითქოსდა, მოწმეები გამოძიების ან დაზარალებულის მხრიდან განიცდიდნენ ზეწოლას და ნ. მ-ს ა-ისთვის უნდა დაედო ხელი, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ თავად მოწმეებმა: ნ. მ-მა, ზ. და ზ. გ-ებმა – არ დაადასტურეს დაზარალებულის ოჯახის ან ვინმეს მხრიდან ზეწოლა. ასევე, მოწმე ჯ. ჯ-ის ასეთი განაცხადის დროისათვის მითითებულ მოწმეებს გამოკითხვის ოქმებში უკვე მიწოდებული ჰქონდათ ა. ქ-ას მამხილებელი ინფორმაცია. მოწმე ზ. გ-ამ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ ა. ქ-ას მიერ ა. გ-სათვის დანის დარტყმას პირადად არ შესწრებია, თუმცა მისი ოჯახის წევრები – ნ. მ-ი და ზ. გ-ა – არიან ამ ფაქტის თვითმხილველნი და სწორედ მათი გადმოცემით გაიგო მომხდარის შესახებ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოწმე ჯ. ჯ-ემ კატეგორიულად უარყო თავად ბ. ბ-თან რაიმე ურთიერთობა და ამ ფაქტის შესახებ საუბარი, როდესაც მოწმე ბ. ბ-მა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ამ საქმესთან მიმართებით ისაუბრა ჯ. ჯ-ესთან. ამდენად, დაცვის მხარის არგუმენტი, რომ თითქოს ბრალდების მხარის მოწმეები დაზარალებულის ან გამოძიების მხრიდან იმყოფებოდნენ ზეწოლის ქვეშ, ემსახურება ბრალდების მხარის პირდაპირი ხასიათის მოწმეთა ჩვენებების დისკრედიტაციას და არ დასტურდება რაიმე ფაქტითა თუ მტკიცებულებით.

6. კასატორები საჩივარში ხაზს უსვამენ მოწმეთა მიერ გამოძიების დროს მიწოდებულ ინფორმაციაში (გამოკითხვის ოქმებში) არსებული შესაძლო შეუსაბამოების შესახებ. სასამართლო მიუთითებს, რომ, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება, იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი; პირი მოწმის სტატუსს და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. იმავე მუხლის 24-ე ნაწილის მიხედვით, მოწმის ჩვენება მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაციაა სისხლის სამართლის საქმის გარემოე-

ბათა შესახებ. შესაბამისად, ის გარემოებები თუ ინფორმაციები რა მოცულობითა და რა თანმიმდევრობით მიაწოდეს მოწმეებმა გამოძიებლებსა და ადვოკატს, არ წარმოადგენს სასამართლოსათვის სახელმძღვანელო მტკიცების საგანს. ყველა ზემოაღნიშნული მოწმე, რომელთა ჩვენებებიც მტკიცებულებითი მნიშვნელობისაა, უშუალოდ წარსდგა სასამართლოს წინაშე. სასამართლოსათვის ის ინფორმაციაა სახელმძღვანელო, რომელიც მოწმეებმა, შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის ფარგლებში, მხარეთა მიერ მრავალმხრივ დასმული კითხვების რეჟიმში მიაწოდეს სასამართლოს. სწორედაც რომ სასამართლოს წინაშე მოწმის უშუალო და ზეპირი დაკითხვა სძენს მოწმის ჩვენებას მტკიცებულებით ძალას, რამეთუ ამ დროს სასამართლო ორივე მხარის ჩართულობით იღებს სრულყოფილ და არაფრაგმენტულ ინფორმაციას იმ ფაქტების შესახებ, რომლებსაც მოწმეები თვითონ შეესწრნენ ან რომელთა გადმოცემაც შეუძლიათ დაადასტურონ.

7. სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მოწმეებმა – ნ. მ-მა და ზ. გ-ამ – სრულად აღიდგინეს და დეტალურად გადმოსცეს შემთხვევის დღეს განვითარებული მოვლენები. მათ ჩვენებებში, ასევე, ამ ჩვენებათა სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებისას არ გამოკვეთილა არსებითი წინააღმდეგობები, რომელთაც შეეძლოთ სასამართლოს შთაბეჭდილებაზე ზემოქმედება მოწმეთა არასანდოობასთან მიმართებით. ამასთან, ჩვენების უტყუარობის ხარისხს განსაზღვრავს სასამართლოში გადმოცემულ ინფორმაციებსა და სხვა მტკიცებულებებთან მისი შესაბამისობა და არა – სრული თანხვედრა. სწორედ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების შინაარსის გაანალიზებისა და საქმის სხვა მტკიცებულებებთან შეპირისპირების შედეგადაა შესაძლებელი რაიმე ფაქტის უტყუარად მტკიცება ან უარყოფა. მოცემულ შემთხვევაში, მოწმეებმა ცალსახად მიუთითეს, რომ ა. გ-ს გულმკერდის/მუცლის არეში დანა მოუქნია სწორედ ა. ქ-ამ. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს მართლაც აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი ორი ნაკვეთ-ნაჩვენებელი დაზიანება, რომელთაგან ერთ-ერთი მიყენებულია გულმკერდის მიდამოში რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო.

8. რაც შეეხება განზრახვას, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადანყვებილებაში აღნიშნა, რომ: „ორი სამართლებრივი მოცემულობის გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინევნით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა – განზრახვის ელემენტი, რომლის (ანუ განზრახვის) მიმართულებაც განას-

ხვატებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში, დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზები და დამნაშავის ქცევა მოქმედების ჩადენის შემდეგ“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის №227აპ-16 და 2018 წლის 17 მაისის №680აპ-17 გადაწყვეტილებები). „ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის – დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა“ (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს №527აპ-17 გადაწყვეტილება).

9. საკასაციო პალატა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ეთანხმება ქვედა ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებას და, მოცემული სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გასაანალიზებლად, ერთობლივად აფასებს: რა იარაღით არის ჩადენილი დანაშაული; როგორია მიყენებულ დაზიანებათა სიმრავლე, ლოკალიზაცია, მათი სიმძიმის ხარისხი; ქმედების შეწყვეტის მიზეზები.

10. ცალსახად დადგენილია, რომ ა. გ.-ს დაზიანებები მიყენებული აქვს ისეთი საგნით, რომელსაც ნამდვილად გააჩნია მჩხვლეტავ-მჭრელი თვისება და, მოწმეთა (ნ. მ-ისა და ზ. გ.-ას) ჩვენებების თანახმად, ეს იარაღია დანა. პირი, რომელიც ცოცხალი ობიექტის – ადამიანის – წინააღმდეგ იყენებს მჩხვლეტავ-მჭრელ საგანს (დანას), ცხადია, აცნობიერებს მისი დაზიანების – დაჭრის – შესაძლებლობას. მოწმეების – ნ. მ-სა და ზ. გ.-ას – ჩვენებებით ირკვევა, რომ ა. ქ-ამ, ყოველგვარი წინააღობის გარეშე, პირდაპირ და უშუალოდ მოუქნია დანა ა. გ.-ს მუცლის/გულ-მკერდის არეში. ფაქტია, რომ, სამედიცინო ექსპერტიზის 2023 წლის 18 აპრილის №... დასკვნის თანახმად, ა. გ.-ს აღენიშნებოდა: ნაჩხვლენაკვეთი ჭრილობა გულმკერდის მიდამოში, არხის მიმართულებით – წინიდან უკან, ქვევიდან ზევით, გულის პერანგისა და მარცხენა პლევრის დაზიანებით, მიყენებული რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, რომელიც მიეკუთვნება სხეულის დაზიანება-

თა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო; ნაჩხვლეტი ქრილობა მუცლის მიდამოში, მიყენებული რაიმე მჩხვლეტავი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, რომელიც მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ შემთხვევის თარიღს და დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან – უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება.

11. სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მოწმეთა ჩვენებები, რომლებმაც ცალსახად დაადასტურეს, რომ ა. ქ-ას ქმედებები უშუალოდ იყო მიმართული ა. გ-ს სხეულის ისეთი ადგილისაკენ, სადაც დანით დაზიანების მიყენება ნებისმიერი ობიექტურ დამკვირვებელს გაუჩნდა სიცოცხლისათვის საფრთხის გამოწვევის მოლოდინს, მეორე მხრივ, საყურადღებოა თავად დაზიანებების თავისებურება და ის გარემოება, რომ გულმკერდის არეში მიყენებული დაზიანება ზედაპირული კი არ არის, არამედ აზიანებს გულის პერანგსა და პლევრას, რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს ბრალდებულის მიერ დარტყმის მიმართულებასა და სიძლიერეზე. სწორედ ეს დაზიანებები მიანიშნებს მსჯავრდებულის მიზანმიმართულ და გააზრებულ ქმედებაზე. ამასთან, ქრილობები მიყენებულია გულმკერდისა და მუცლის მიდამოებში, რაც, მათი ლოკალიზაციიდან გამომდინარე, ნათლად მიუთითებს, რომ ა. ქ-ას მოქმედებებით რისკი იმისა, რომ დაზიანებულიყო ადამიანის სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოები, მაღალი იყო.

12. საგულისხმოა ვითარება, რომელშიც ზემოაღნიშნული დაზიანებები იქნა მიყენებული, კერძოდ: თვითმხილველ მოწმეთა (ზ. გ-ას, ბ. ბ-ის, ნ. მ-ისა და ზ. გ-ას) ჩვენებებით ცალსახად დგინდება, რომ ა. ქ-ა და ა. გ. ჩაერთნენ ზ. გ-ასა და ბ. ბ-ს შორის წამოწყებულ კონფლიქტში, როგორც ურთიერთდაპირისპირებული მხარეები. ასევე ირკვევა, რომ ა. ქ-ას მხრიდან ა. გ-ს მიმართ მიზანმიმართულ დანის მოქმედებას წინ უსწრებდა ა. გ-ს მიერ ბ. ბ-ისათვის თავში ბლაგვი საგნის დარტყმა, რაც დაინახა ა. ქ-ამ. სწორედ ეს ფაქტი გახდა კიდეც მისი შურისძიების მოტივის განმსაზღვრელი ფაქტორი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით ასევე დიდი ყურადღება ექცევა დამნაშავის ქცევას უშუალოდ ქმედების განხორციელების შემდეგ და დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზებს. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ა. ქ-ამ დანის გულმკერდისა და მუცლის არეში დარტყმის შემდეგ დატოვა შემთხვევის ადგილი. ბრალდებულმა დაზარალებულს წარმატებით დაარტყა დანა სხეულის ისეთ არეში, რაც, გარდაუვლად თუ არა, შესაძლებლობის მაღალი ხარისხით მოასწავებდა საფრთხეს არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ – მისი სიცოცხლისათვის. გარდა ამისა, დადგენილია, რომ დანაშაულს ჰყავდა არაერთი თვითმხილველი პირი. შესაბამის-

სად, ა. ქ-ა არ ყოფილა მარტო დაზარალებულის პირისპირ, რათა მას დაუბრკოლებლად, იმავე სპონტანურობის ეფექტით, შეძლებოდა დაზარალებულისათვის დამატებითი ჭრილობების მიყენება. ამასთან, იგი დარწმუნებული იყო, რომ ა. გ-ს უკვე მიაყენა სერიოზული დაზიანებები, შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები კი აღარ მისცემდნენ თავდასხმის გაგრძელების საშუალებას. სწორედ ამიტომ ა. ქ-ა ბ. ბ-თან ერთად გაეცალა იქაურობას და თან წაიღო დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა. საგულისხმოა, რომ, სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ა. ქ-ა არ იმყოფებოდა ბრალის გამომრიცხავი გარემოების – შეურაცხაობის – მდგომარეობაში.

13. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბრალდებულის სურვილი არის ის ელემენტი, რომელიც განასხვავებს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, განზრახ მკვლელობასა და ჯანმრთელობის დაზიანებას. ზემოთ განხილული გარემოებები: ცოცხალი ადამიანის წინააღმდეგ გამოყენებული იარაღის სახე, ჭრილობების რაოდენობა და ლოკალიზაცია, მათი სიმძიმე, მიყენების ვითარება და მოტივაცია, რელევანტურია იმის განსასაზღვრად, თუ რა იყო ბრალდებულის ნება – ადამიანის დაზიანება თუ მისი სიკვდილი. ფაქტობრივი გარემოებები მოწმობს, რომ ა. ქ-ას ქცევა ა. გ-სთვის უშუალოდ დანით დაზიანებების მიყენების მომენტში არ ყოფილა გაუაზრებელი და მას წინ უსწრებდა კონკრეტული, იმწუთიერად აღძრული მისწრაფება – შურისძიების მოტივი. ამდენად, განზრახვისა და მისი ხარისხის დადგენისათვის განმსაზღვრელი ყველა ზემოჩამოთვლილი გარემოება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მსჯავრდებულის ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებაზე, შედეგის დადგომის შესაძლებლობის შეგნებულად დაშვებასა და მისი დადგომის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაზე.

14. კასატორები საკასაციო საჩივარში უთითებენ, რომ ა. ქ-ასაც ჰქონდა დაზიანებები, რომლებიც მას „ბიტი“ (ან ჯოხით) მიაყენა ა. გ-მ. აღნიშნული მოსაზრება არ დასტურდება საქმეში არსებული რაიმე, თუნდაც ირიბი, მტკიცებულებით. პირიქით, საქმეში არსებული მასალებით, რომლებიც უშუალოდ დანის დარტყმის ფაქტს შეეხება, დადგენილია, რომ, ა. გ-მ, დაინახა რა ა. ქ-ა დანით ხელში, შეჩერდა და უკან დაიხია. ის დაზიანებები კი, რომლებიც აღწერილია სამედიცინო ექსპერტიზის 2023 წლის 17 თებერვლის №... დასკვნაში (ნაჭდევი მარჯვენა ყვრიმალისა და წარბზე და მუცლის ღრუს რეგიონში), სრულიად შესაძლებელია, ა. ქ-ას მიეღო ზ. გ-ასთან მომხდარი კონფლიქტის დროს.

15. კასატორები ყურადღებას ამახვილებენ მოწმეთა ჩვენებების სანდოობაზე. სასამართლომ განმარტა: „მოწმის ჩვენების ფორმირება, როგორც წესი, შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს: მოწმის მიერ ამა თუ იმ ფაქტის აღქმა, ათვისება; აღქმული ფაქტის დამახსოვრება

და დაკითხვისას ამ ფაქტის კვლავ წარმოქმნა (რეპროდუქცია). სხვადასხვა მოწმე ყოველივე იმას, რაც დაინახა, მოისმინა და ასე შემდეგ, ერთნაირი სიზუსტითა და სისრულით როდი აღიქვამს, არამედ განსხვავებულად. შესაბამისად, ხშირია შემთხვევა, როდესაც საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელიმე ერთი ფაქტის შესახებ მისი აღმქმელი მოწმეები ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევიან, თუმცა ისინი კეთილსინდისიერნი არიან და ნამდვილად სურთ მხოლოდ სიმართლის ჩვენება. მოწმის მიერ გარკვეული შემთხვევის სწორედ აღქმაზე შეიძლება გავლენა იქონიოს იმ მდგომარეობამ, რომელშიც იმყოფება მოწმე. დადგენილია, რომ ალელვებასა და შიშს შეუძლია მოწმეში გაზვიადებული შთაბეჭდილების გამოწვევა. მოწმის მიერ ამა თუ იმ შემთხვევის აღქმაზე, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ობიექტურმა ფაქტორებმა. ასეთ ობიექტურ ფაქტორებად მიჩნეულია მანძილი მოწმესა და იმ ადგილს შორის, საიდანაც მან აღიქვა ესა თუ ის შემთხვევა, დღისით თუ ღამით დაინახა, როგორ ამინდში და ა.შ.. მოწმის ჩვენების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ფაქტის აღქმისა და ჩვენების მიცემის მომენტებს შორის განვლილი დროის ხანგრძლივობა. რამდენად ხანგრძლივია ეს დრო, იმდენად მეტია ვარაუდი, რომ მოწმემ ბევრი რამ ვერ შეინარჩუნა მეხსიერებაში, დაავიწყდა. გასათვალისწინებელია მოწმის დაკითხვის გარემო-ვითარებაც. ზოგჯერ მოწმე მისთვის უჩვეულო ვითარებაში დაკითხვისას, განსაკუთრებით სასამართლოში საქმის განხილვისას, ღელავს და შესაძლოა, ალელვებულ მდგომარეობაში მყოფმა, ზოგი რამ აღქმულისა დაამახინჯოს ან კიდევ მეტად გაამახვილოს ყურადღება საქმისათვის უმნიშვნელო დეტალზე, ხოლო მთავარზე და არსებითზე – ნაკლებად. ამასთან, გასათვალისწინებელია შემთხვევის ადგილზე შექმნილი არეულობა, რის გამოც, შესაძლოა, მოწმეს ვერ დაენახა გარკვეული დეტალი, ზოგიერთ მათგანს კი სრული სიზუსტით არ ახსოვდეს მომხდარი ფაქტის დეტალები. “მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, მცირეოდენი განსხვავებანი ცალკეულ დეტალებში მართლაც არსებობს, თუმცა ეს შეუსაბამობები არ ეხება მტკიცების მთავარ საგანს, რომელშიც მოიაზრება: მომხდარი ფაქტის ნამდვილობა, დრო და ადგილი, ინციდენტში მონაწილე პირები, მათი მოქმედებანი და დამდგარი შედეგი, ასევე, ინციდენტის მონაწილეთა ქმედების ობიექტური და სუბიექტური კავშირი დამდგარ შედეგებთან. „ზოგადად, არაარსებით დეტალებთან დაკავშირებით, ყოველთვის შეიძლება არსებობდეს გარკვეული განსხვავებანი ჩვენებებს შორის, რადგან მოწმეთა ჩვენებების შინაარსის ე.წ. „მათემატიკური სიზუსტით“ ურთიერთდამთხვევა შეუძლებელია“. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ დგინდება ისეთი არსებითი წინააღმდეგობა, რაც გამოკვეთდა მოწმეთა ჩვე-

ნებების სანდოობასა და დამაჯერებლობაში დაეჭვების დასაბუთებულ საფუძველს.

16. დაცვის მხარემ, თავისი პოზიციის გასამყარებლად, მიუთითა არაერთ გადანყვეტილებაზე, რომელთა გათვალისწინებითაც მოითხოვა ა. ქ-ას ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დაკვალიფიცილება. აღნიშნულის საპირწონედ საკასაციო პალატას შეუძლია, მიუთითოს უზენაესი სასამართლოს სხვა, არაერთ გადანყვეტილებაზე (მაგ., №668აპ-23, №426აპ-22, №213აპ-20, №710აპ-23, №1401აპ-23 და ა.შ.), რომლითაც, მსგავსი გარემოებების არსებობისას, მსჯავრდებულის ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირდა, თუმცა, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ საქმესთან მიმართებით ზემოჩამოთვლილი გადანყვეტილებები არარელევანტურია და, მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირების კუთხით, ვერ გახდება განაჩენის შეცვლის საფუძველი.

17. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულ ა. ქ-ას მიერ საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ხოლო დანიშნული სასჯელი – საქმის გარემოებებსა და მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლებზე დაყრდნობით, პროპორციული და სამართლიანია. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რადგან ევროპული სასამართლოს განმარტებით: განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები საქმეებზე: ელ მასრი მაკედონიის წინააღმდეგ (El-Masri v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, (GC), 13.12.2012) და hasani გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hassan v. the UK, ECtHR, (GC), 16.09.2014). შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორთა მოთხოვნა ა. ქ-ას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზეც.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 მარტის განაჩენით ა. ქ-ა ცნობილ იქნა დამნა-

შავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი და, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

19. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შემცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ქ-ას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენით შეფარდებულ 12 წლით თავისუფლების აღკვეთაზე დამატებული 2 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შემცირდეს ერთი მეექვსედით, რადგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილზე არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და, ამასთან, დასახელებული მუხლი არ ექცევა ამნისტიის კანონის მე-7 მუხლში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ა. ქ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-ისა და გ. ბ-ის – საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 3 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. ა. ქ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი 3 (სამი) წლით;

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 8 (რვა) თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. ა. ქ-ას, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვროს 13 (ცამეტი) წლითა და 8 (რვა) თვით თავისუფლების აღკვეთა;

7. მსჯავრდებულ ა. ქ-ას სასჯელი აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 16 თებერვლიდან;

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ა. ქ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

9. ნივთიერი მტკიცებულებები:

4 ცალი მონითალო ფერის ანაწმენდი, ა. ქ-ას ნერწყვის ნიმუში, ა. გ-ს სისხლის, თმის და ფრჩხილის ნიმუშები – საქმეზე საბოლოო გადანაცვებილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

ა. გ-ს ტანსაცმელი, ა. ქ-ას ქურთუკი და შარვალი – დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს;

სასამართლოს №... განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალის ამსახველი დისკი, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ზ. გ-ასთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ამსახველი ფოტომასალა 2 (ორ) ცალ კომპაქტდისკზე, რომელიც ერთვის საქმეს, დარჩეს მასში და შენახული იქნეს საქმის შენახვის ვადით;

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიციერება განზრახ მკვლელობის მცდელობიდან ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაზე

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№507აპ-25

28 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 19 მარტის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ნ. გ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 19, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2022 წლის 17 აპრილს, დაახლოებით, 19:20 საათზე, ქ. თ-ში მდებარე კაფე „ლ-ი“ იმყოფებოდა ი. ე-ე, რომელსაც ახლდნენ მისი მეგობრები – ა-ე და ლ-ე. ი. ე-ეს შელაპარაკება მოუხდა კაფეში მყოფ ნ. გ-ესთან, რის შემდეგ, ორივემ გადაინაცვლა იქვე, მ. კ-ში მდებარე სასტუმრო „რ.“ მიწისქვეშა ავტოსადგომის ტერიტორიაზე, სადაც ნ. გ-ემ თანაქონი 7,6X25 მმ. კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან, შურისძიების მოტივით, მოკვლის განზრახვით, გაისროლა ი. ე-ის მიმართ, თუმცა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. დაზარალებულ ი. ე-

ეს „კ.“ ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება. მას მარჯვენა მხრის მიდამოში აღენიშნებოდა 0,5X0,5 სანტიმეტრის, ცეცხლნასროლი დაზიანება.

1.3. ნ. გ-ემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 7,6X25 მმ. კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა – 1930 წლის ნიმუშის, 7,6X25 მმ. კალიბრიანი ვაზნა, განკუთვნილი ტოკარევის TT, TT-C მოდელის პისტოლეტებისთვის, რომელთაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. მათი გამოყენებით, ნ. გ-ემ, 2022 წლის 17 აპრილს, თბილისში, მ.კ-ში მდებარე სასტუმრო „რ.“ მინისქვეშა ავტოსადგომის ტერიტორიაზე ჩაიღინა ი. ე-ის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 10 სექტემბრის განაჩენით:

2.2. ნ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

2.3. ნ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

2.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 10 სექტემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. მსჯავრდებულ ნ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. ა-ემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის

დადგენა, ხოლო ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ-მ მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ნ. გ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისთვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 19 მარტის განაჩენით, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 10 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. მსჯავრდებულ ნ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. ა-ემ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. დაცვის მხარემ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 19 მარტის განაჩენის გაუქმება და ნ. გ-ის უდანაშაულოდ ცნობა.

3.3. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარზე ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ-მ წარმოადგინა შესაგებელი და მოითხოვა, რომ არ დაკმაყოფილდეს დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. დაცვის მხარის შეფასებით, გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ნ. გ-ის მიერ მსჯავრდმერადცხილი დანაშაულების ჩადენა. კასატორი საკასაციო საჩივარში ყურადღებას ამახვილებს მონშეთა ჩვენებებზე, მათ შორის, იმ ნაწილზე, სადაც ისინი აღწერენ საგამოძიებო მოქმედების – ფოტოსურათით ამოცნობის ჩატარების პროცედურას. კასატორი ასევე ყურადღებას მიაქცევს მონშეთა განმარტებას იმის შესახებ, რომ სხდომის დარბაზში ბრალდებულის სტატუსით მყოფი პირი არ იყო თავდამსხმელი. დაცვის მხარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, უთითებს ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. საკასაციო საჩივრის ავტორი ასევე ყურადღებას მიაქცევს ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის არაკატეგორიულ ხასიათს.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა

დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში საქართველოს სსსკ-ის) 301-ე მუხლის პირველი ნაწილი საკასაციო საჩივრის ავტორს უწესებს მოთხოვნის, როგორც მკაფიოდ ფორმულირების (კერძოდ, რა მოცულობით ასაჩივრებს განაჩენს და მის რა მოცულობით გაუქმებას ან შეცვლას ითხოვს), ისე – სათანადოდ დასაბუთების ვალდებულებას, რაც გულისხმობს იმის წარმოჩენას, თუ რომელი სამართლებრივი საკითხი/საკითხები გადაწყდა უკანონოდ გასაჩივრებული განაჩენის დამდგენი სასამართლოს მიერ და რა ადასტურებს მას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც საკასაციო საჩივრის ავტორი ითხოვს მსჯავრდებული პირის გამართლებას, იგი იმავდროულად, ვალდებულია, წარმოადგინოს არგუმენტირებული მსჯელობა და მყარად დაასაბუთოს თითოეული მუხლით/მუხლის ნაწილით პირის მსჯავრდების უკანონობა.

5.3. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ავტორი ძირითადად ციტირებს მოწმეთა ჩვენებებს, ასევე, უთითებს ჰაბიტუს-კოპიური ექსპერტიზის დასკვნასა და ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებზე, თუმცა, კასატორი შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით და საკასაციო საჩივარში არ ავითარებს ანალიტიკურ მსჯელობას, არ წარმოაჩენს მისივე დასკვნებს, შეფასებებსა და არგუმენტაციას, თუ რა დარღვევები გამოვლინდა სამართალწარმოების პროცესში, რა გავლენას ახდენს მის მიერ იდენტიფიცირებული დარღვევები ამა თუ იმ მტკიცებულების იურიდიულ ძალაზე და ზოგადად – სამართალწარმოების შედეგზე, მათ შორის – მტკიცებულებათა საკმარისობის თვალსაზრისით, აგრეთვე, რით გამოიხატება გასაჩივრებული განაჩენის დებულებათა მცდარობა.

5.4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საჩივარში მითითებულ მტკიცებულებებზე (მოწმეთა ჩვენებებზე, ექსპერტიზის დასკვნაზე) და მათ შორის, მათი შინაარსის მხედველობაში მიღებით, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების გათვალისწინების კვალდაკვალ, შემოწმებს გასაჩივრებული განაჩენით პირის მსჯავრდების კანონიერებას.

5.5. მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოად-

გენს და სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით (მათ შორის, დაზარალებულ ი. ე-ის, მონმეების: ლ-ის, ა-ის, გ. კ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, რა დროსაც ამოღებულ იქნა ერთი მასრა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 21 აპრილის №... ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 23 ივნისის №..... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, შემთხვევის ადგილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ამსახველი ვიდეოჩანაწერებით, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 26 დეკემბრის №..... ვიდეოექსპერტიზის დასკვნით) დადასტურებულია, რომ 2022 წლის 17 აპრილს, საღამოს, დაახლოებით, 19:20 საათზე, ქ. თ-ში მდებარე კაფე „ლ-ი“ იმყოფებოდა ი. ე-ე, რომელსაც ახლდნენ მისი მეგობრები – ა-ე და ლ-ე. ამის შემდეგ მ. კ-ში მდებარე სასტუმრო „რ.“ მიწისქვეშა ავტოსადგომის ტერიტორიაზე, ი. ე-ეს, 7,6X25 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, მარჯვენა მხრის მიდამოში (გარეთა ზედაპირზე, ზემო მესამედში), მიაყენეს 0,5X0,5 სანტიმეტრის ცეცხლსასროლი ჭრილობა – ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამდენი პირის ვინაობა, კერძოდ, არის თუ არა ის გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებული პირი – ნ. გ-ე.

5.6. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ნ. გ-ის მიერ მისთვის მსჯავრდებულობის დანაშაულების ჩადენა. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ნ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის მსჯავრდებულობის ქმედებების ჩადენას.

5.7. საკასაციო სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს, გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტის არც რაოდენობრივ მახასიათებელს და არ განსაზღვრავს არც

იმას, თუ რა სახის მტკიცებულებების ერთობლიობაა საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის. საჭირო მტკიცებულებების სახე და რაოდენობა დამოკიდებულია თითოეული განსახილველი საქმის სპეციფიკაზე. გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად მტკიცებულებათა საკმარისობის განსაზღვრისას მტკიცებულება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ადასტურებს თითოეული მათგანი, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში კონკრეტული პირისთვის წარდგენილ ბრალდებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 თებერვლის №904აპ-24 განაჩენი). ევროპული სასამართლოს განმარტებით, „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით მტკიცება შესაძლებელია გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, მკაფიო, შეთანხმებული და დასაბუთებული დასკვნებისა ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდებიდან (იხ. *Bouyid v. Belgium*, no. 23380/09, § 82, ECtHR, 28/09/2015; *El-Masri v. The Former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no.39630/09, §151, ECtHR, 13/12/2012; *Hassan v the UK*, [GC], no. 29750/09, §48, ECtHR, 16/09/2014; *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, § 92, ECtHR, 2010).

5.8. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა ი. ე-ემ და თვითმხილველმა მოწმეებმა – ა-ემ, ლ-ემ და გ. კ-ემ სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემისას, მართალია, დაადასტურეს მოხდარი დანაშაულებრივი ფაქტი და აღწერეს შემთხვევის ადგილზე (კაფე „ლ-ას“ ტერიტორიასა და შემდგომ, სასტუმრო „რ.“ ავტოსადგომზე) განვითარებული მოვლენები, მაგრამ არ მიუთითეს აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებაში ნ. გ-ის მონაწილეობის შესახებ. ამასთან, განმარტეს, რომ ბრალდებულის სტატუსით სასამართლოში მყოფი ნ. გ-ე მათთვის სრულიად უცნობია და არ არის ის პირი, რომელიც გამოძიების ეტაპზე ამოიცნეს, როგორც თავდამსხმელი. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი სხვა უტყუარ და ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა იძლევა დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენი პირის ვინაობის გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენის შესაძლებლობას.

5.9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ი. ე-ის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ფაქტი, საკასაციო პალატა მიმოიხილავს სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც რელევანტურია დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენი პირის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით.

5.10. სადავო გარემოების დადგენის მიზნით, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილ მტკიცებულებაზე – ნ-ის გამოკითხვის ოქმზე,

საიდანაც ირკვევა, რომ 2022 წლის 17 აპრილს, დაახლოებით, 16:30 საათზე, იგი მივიდა ქ. თ-ში მდებარე რესტორან „ლ-ი“, სადაც დახვდნენ მისი მეგობრები, მათ შორის – ნ. გ-ე. მათ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაჰყვეს სამ საათამდე დრო. გამოსვლისას, რესტორნის შესასვლელთან შეხვდა მეგობარი – ი. ე-ე, რომელსაც ახლდნენ ლ-ე, გ. კ-ე და მისთვის უცნობი გოგონა. ნ-ის განმარტებით, მათ მოიკითხეს ერთმანეთი, რის შემდეგაც იგი მალევე გავიდა ჭ-ის ქუჩაზე და იდგა გარეთ. დაახლოებით, 10-15 წუთში ნ. გ-ე და ი. ე-ე გამოვიდნენ „ლ-ას“ ტერიტორიიდან ჭ-ის ქუჩაზე, გადაკვეთეს გზა და ჩავიდნენ სასტუმრო „რ.“ ავტოსადგომზე. გამოსაკითხი პირის განმარტებით, მან გაიგონა, თუ როგორ ეუბნებოდა გზად მიმავალი ნ. გ-ე ი. ე-ეს, რომ გაჰყოლოდა ქვემოთ, ავტოსადგომზე, რაზეც ი. ე-ემ უპასუხა, თუ სადამდე უნდა ჩაჰყოლოდა. ისინი ჩავიდნენ ავტოსადგომის ტერიტორიაზე, სადაც გაჰყვნენ გ-ი, გ. კ-ე და ლ-ე. დაახლოებით, 2 წუთის შემდეგ დაინახა, რომ ი. ე-ე სწრაფი ნაბიჯით ამოვიდა ავტოსადგომიდან ჭ-ის ქუჩაზე და წავიდა მის ქუჩის მხარეს. მალევე, დაახლოებით 10-15 წამში, ავტოსადგომიდან სწრაფი ნაბიჯით ამოვიდა ნ. გ-ე და წავიდა მეტროს მიმართულებით. მისი განმარტებით, დანარჩენი პირებიც მალევე ამოვიდნენ ავტოსადგომის ტერიტორიიდან. ნ-ის გამოკითხვის ოქმის თანახმად, ნ. გ-ეს ეცვა ჯინსის შარვალი, ღია ფერის მაისური და მოყავისფრო პიჯაკი.

5.11. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ შემთხვევის ადგილიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერებს, რომლებშიც ასახულია შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენები. მათ შორის, აღბეჭდილია მოყავისფრო შემოსაცემელით, მოშავო წარწერების მქონე მოთეთრო მოკლემკლავიანი მაისურით, მუქი შარვალითა და მოთეთრო ფერის ძირის მქონე მუქი სპორტული ფეხსაცმელით შემოსილი პირის მიერ ი. ე-ის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ფაქტი.

5.12. საგულისხმოა, რომ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 8 ივლისის №... ვიდეო და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერებზე დადგენილებაში მითითებულ დროებში აღბეჭდილი მამაკაცი (ყავისფერი პიჯაკით, მუქი შარვლითა და თეთრი მაისურით), სავარაუდოდ, არის გამოსაკვლევად წარდგენილ ნ. ა-ის ძე გ-ის ფოტოსურათებზე აღბეჭდილი პირი.

5.13. ექსპერტმა ლ-ემ სასამართლოს წინაშე დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ გამოძიებისთვის საინტერესო პირი კამერის სიახლოვეს გადაადგილდება სათვალით და კადრში არ არის დაფიქსირებული მისი თვალ-ბუდის არეალი. შედარებისას არ გამოვლენილა ასახული ნაკვთების განსხვავებული ფორმა და

მახასიათებლები. აღნიშნული თანადამთხვევები ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის მეთოდის თანახმად, არ არის საკმარისი კატეგორიული დასკვნის გასაკეთებლად.

5.14. ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის არაკატეგორიული ხასიათის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, გაანალიზოს მხარეთა მიერ უდავო მტკიცებულებად ცნობილი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 26 დეკემბრის №... ვიდეო-ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად:

5.15. ვიდეოჩანაწერებზე ასახული მოვლენების აღწერის გაადვილების მიზნით, ჩანაწერებზე დაფიქსირებულ გამოძიებისთვის საინტერესო პირებს პირობითად მიენიჭათ შესაბამისი ნუმერაცია. კერძოდ: პირი №... – მამაკაცი, რომელსაც აცვია მოყავისფრო შემოსაცმელი, მოთეთრო მოკლემკლავიანი მაისური მოშავო წარწერებით, მუქი შარვალი, მუქი სპორტული ფეხსაცმელი მოთეთრო ძირითა და გაფორმებით; აქვს მუქი თმა; უკეთია მუქი სათვალე; მარცხენა ხელზე უკეთია საათის მაგვარი საგანი. პირი №2 – მუქი ქუდით წინა მხარეს მოთეთრო გაფორმებით; მუქი მოკლე შარვლით, მოთეთრო-მოციისფრო ზოლიანი წინდებით, მოლურჯო სპორტული ფეხსაცმლით, მოთეთრო ზოლებით; აცვია მუქი შემოსაცმელი, შიდა მხარეს – ღია მაისური; მარჯვენა ფეხზე ფიქსირდება მუქი შეფერილობის ლაქა. ექსპერტიზის დასკვნაში ასევე აღწერილი არიან პირი №3, პირი №4 და პირი №5.

5.16. ვიდეოჩანაწერის, სახელწოდებით „Camera ...“ გახსნისას კადრში ჩნდება საპარკინგე ტერიტორია და გაჩერებული ავტომობილები. ჩანაწერზე დაფიქსირებული დროის მაჩვენებლის მიხედვით, 04.17.2022 წ. 19:25:38 საათზე კადრის ზედა მარჯვენა ნაწილში ასახული კედლის მიღმა ტერიტორიიდან ჩნდება პირი №1. მას მარჯვენა ხელი წაღებული აქვს უკან და მოაქვს წინ, შემდეგ ხელები მიაქვს ერთმანეთთან, რა დროსაც, ფიქსირდება იარაღისმაგვარი საგანი. 04.17.2022 წ. 19:25:40 საათზე პირი №1 ასრულებს იარაღის გადატენისთვის დამახასიათებელ მოძრაობას, გადაადგილდება წინ და მარჯვენა ხელს, რომელშიც იარაღისმაგვარი საგანი უჭირავს, მიმართავს წინ, რა დროსაც აღნიშნული საგნის სიახლოვეს ფიქსირდება ღია შეფერილობის არეალი, ხოლო შემდეგ გადის კადრიდან.

5.17. ვიდეოჩანაწერის, სახელწოდებით – „Camera ...“ – გახსნისას კადრში ჩნდება საპარკინგე ტერიტორია და გაჩერებული ავტომობილები. ჩანაწერზე დაფიქსირებული დროის მაჩვენებლის მიხედვით, 04.17.2022 წ. 19:25:12 საათიდან კადრის ზედა მარცხენა ნაწილიდან შემოდის პირი №... 04.17.2022 წ. 19:25:25 საათზე მარჯვენა ხელი, რომელშიც გაურკვეველი საგანი უჭირავს, მიაქვს შემოსაცმლის შიდა,

მარცხენა ნაწილისაკენ და განაგრძობს მოძრაობას. აღნიშნულ მამაკაცს მოჰყვება №.., №.., №.. და №.. პირები. №.. პირი ჩერდება და თავს ატრიალებს. მას უახლოვდება პირი №.., რომელიც უკუსვლით გადაადგილდება. ბოძის მიღმა ტერიტორიიდან ჩნდებიან უკუსვლით მიმავალი პირი №.. და პირი №... 04.17.2022 წ. 19:25:46 საათზე პირი №.. ისვრის გაურკვეველ საგანს და კადრის მარცხენა ნაწილისაკენ გარბის. კადრის მარჯვენა ნაწილიდან შემოდის პირი №.., რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს მოშავო ფერის მოგრძო საგანი და იშვერს წინ. ჩანანერის დროით, 04.17.2022 წ. 19:25:47 საათზე ფიქსირდება გასროლისთვის დამახასიათებელი ნათება. პირი №.. გარბის პირი №..-ის მიმართულებით და სხვებიც უკან მიჰყვებიან.

5.18. ვიდეოჩანანერზე, სახელწოდებით – „Camera ...“ – დაფიქსირებული დროის მაჩვენებლის მიხედვით, 19:25:36 საათზე კადრში ფიქსირდება პირი №1, რომელიც გადაადგილდება კამერის განთავსების მდებარეობისაკენ. მას მარჯვენა ხელი მიაქვს შარვლის უკანა ნაწილისაკენ, რის შემდეგაც, გადის კადრიდან. ჩანანერზე დაფიქსირებული დროის მაჩვენებლის მიხედვით, 04.17.22 წ. 19:25:42 საათიდან კვლავ ჩნდება კადრში, გადაადგილდება კადრში აღბეჭდილი პირების მიმართულებით, რა დროსაც 19:25:44 საათიდან ჩანს, რომ მარჯვენა ხელში უჭირავს იარაღისმაგვარი საგანი, რომელიც მიმართული აქვს ძირს. პირი №1 ხელებს იშვერს წინ. კადრში მისგან მარცხენა მხარეს ფიქსირდება გასროლისთვის დამახასიათებელი ნაპერწკლების ნათება, რის შემდეგაც, ჩანს მოგრძო ფორმის, ღია ფერის საგნის ძირს ვარდნა.

5.19. ვიდეოჩანანერზე, სახელწოდებით – „L...“ – დაფიქსირებული დროის მაჩვენებლის მიხედვით, 04.17.22 წ. 19:23:00 საათიდან კადრში ჩანს პირი №.., რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს მოოთხკუთხედი ფორმის მანათობელი საგანი, გადაადგილდება კამერის განთავსების მიმართულებით. 04.17.22 წ. 19:23:12 საათზე იგი გადის კადრიდან, ხოლო პირი №.. დგება, გადაადგილდება იმავე მიმართულებით და 19:23:14 საათზე გადის კადრიდან. 19:23:14 საათზე დგება პირი №.., გადაადგილდება და 19:23:14 საათზე გადის კადრიდან. 04.17.22 წ. 19:23:26 საათიდან ის კვლავ შემოდის კადრში, მას მოჰყვება პირი №.. პირი, №.. პირთან ერთად. პირი №..-ს მარჯვენა ხელში უჭირავს მოოთხკუთხედი ფორმის მანათობელი საგანი. ისინი ჩერდებიან და ხელების მოძრაობით საუბრობენ, შემდეგ კი მიემართებიან კადრის მარჯვენა ნაწილისაკენ და გადიან კადრიდან.

5.20. დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილ ვიდეოჩანანერებზე მონტაჟის ნიშნები არ ფიქსირდება.

5.21. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული დასკვნის ფარგლებში, ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა არა მარტო საპარკინგე ტერიტორი-

ის, არამედ კაფე „ლ-ასა“ და მისი მიმდებარე ტერიტორიის ამსახველი კადრები. საყურადღებოა, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მამაკაცი, რომელსაც აცვია მოყავისფრო შემოსაცმელი, მოთეთრო მოკლემკლავიანი მაისური მოშავო წარწერებით, მუქი შარვალი, მუქი სპორტული ფეხსაცმელი მოთეთრო ძირითა და გაფორმებით; აქვს მუქი თმა; უკეთია მუქი სათვალე და მარცხენა ხელზე უკეთია საათის მაგვარი საგანი, ექსპერტის მიერ ყველა ვიდეოჩანაწერის აღწერისას მოხსენიებულია №.. პიროვნებად, რაც ნიშნავს იმას, რომ საპარკინგე ტერიტორიაზე მყოფი №.. პირი, რომელიც ახორციელებს გასროლას, არის ის პირი, რომელიც იმყოფებოდა კაფე „ლ-ას“ ტერიტორიაზე, სადაც იგი ჩნდება №2 პირთან (ი. ე-ე) ერთად. კერძოდ, ფიქსირდება როგორც მათი ერთი და იმავე მიმართულებით გადაადგილება, ასევე, კომუნიკაცია – ისინი ჩერდებიან, ხელების მოძრაობით საუბრობენ, შემდეგ კი გადიან კადრიდან.

5.22. აღსანიშნავია, რომ ვიდეოჩანაწერებში განვითარებული მოვლენები შეესაბამება მოწმეების: ა-ისა და ლ-ის ჩვენებების იმ ნაწილს, სადაც ისინი აღწერენ კაფე „ლ-ას“ ტერიტორიაზე ი. ე-ის უცნობ პირთან კომუნიკაციას. კერძოდ, ა-ის განმარტებით, კაფე „ლ-ი“ ყოფნისას, მათ მაგიდასთან ჩაიარა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ი. ე-ის მიმართულებით ჩაილაპარაკა რაღაც უხამსობა. ამის გამო, ი. ე-ე წამოდგა და ლაპარაკი დაუწყო ხსენებულ ახალგაზრდას. შემდეგ აღნიშნული უცნობი მამაკაცი გავიდა გასასვლელისკენ, რა დროსაც მას უკან გაჰყვნენ ი. ე-ე და ლ-ე. უცნობ მამაკაცს ამ დროს ეცვა თეთრი ფერის მაისური და ყავისფერი შემოსაცმელი. თავის მხრივ, ლ-ემაც დაადასტურა, რომ ი. ე-ე უკან გაჰყვა მისთვის უცნობ პიროვნებას. ამის შემდეგ, თავად ლ-ეც წავიდა ი. ე-ის მიმართულებით. ი. ე-ე და უცნობი პირი ჩავიდნენ სასტუმრო „რ.“ ავტოსადგომზე, სადაც თავადაც ჩაჰყვა. უცნობი პიროვნება სასტუმრო „რ.“ ავტოსადგომზე ჩასვლის შემდგომ მიუტრიალდა ი. ე-ეს, უთხრა, რომ ხელებს დაუხვრეტდა, ამოიღო იარაღი, გადატენა და ახლო მანძილიდან ისროლა ი. ე-ის მიმართულებით.

5.23. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ი. ე-ის ჩვენებას, სადაც იგი განმარტავს, რომ კაფე „ლ-ი“ ყოფნისას უცნობ მამაკაცთან კომუნიკაციის დასრულების შემდეგ, ქუჩაში გავიდა, სადაც შეხვდა სხვა უცნობი მამაკაცი, რომელსაც ავტოსადგომზე გაჰყვა, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია, რომ №.. პირი, რომელმაც გასროლა განახორციელა არის სწორედ ის პირი, რომელსაც კაფე „ლ-ას“ ტერიტორიაზე კომუნიკაცია ჰქონდა ი. ე-ესთან.

5.24. აღნიშნულის შემდეგ, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნაში №.. პირად მოხსენიებული

მამაკაცის ვინაობის დადგენა. კერძოდ, არის თუ არა ის ნ. გ-ე. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მონ-მე გ. კ-ის ჩვენების იმ ნაწილს, სადაც იგი განმარტავს (ადასტურებს გამოკითხვის ოქმში მითითებულ ინფორმაციას), რომ შემთხვევამდე ი. ე-ემ იმ პირს, რომელმაც შემდგომ იარაღიდან გაისროლა მიმართა – კიდევ რამდენი ხანი უნდა გამოგყვეო. ანალოგიური გარემოება დაა-დასტურა ნ-მა გამოკითხვის ოქმში (უდავო მტკიცებულება) და განმარ-ტა, რომ ი. ე-ე სწორედ ნ. გ-ესთან ერთად გამოვიდა კაფე „ლ-ას“ ტე-რიტორიიდან ჭ-ის ქუჩაზე, გადაკვეთეს გზა და ჩავიდნენ სასტუმრო „რ.“ ავტოსადგომზე. გზად მიმავალი ნ. გ-ე ი. ე-ეს ეუბნებოდა, რომ გაჰყოლოდა ქვემოთ, ავტოსადგომზე, რაზეც ი. ე-ემ მას უპასუხა, თუ სადამდე უნდა ჩაჰყოლოდა.

5.25. ამდენად, მართალია, გ. კ-ე (და არც სხვა მოწმეები) არ ადას-ტურებს, რომ ნ. გ-ემ გაისროლა ი. ე-ის მიმართულებით, თუმცა, ადას-ტურებს იმ ფაქტს, რომ ი. ე-ემ ავტოსადგომისკენ მიმავალ გზაზე იმ პირს, ვინც შემდგომ იარაღიდან გაისროლა მიმართა ზემოაღნიშნული ფრაზით. ნ-ი კი ადასტურებს, რომ ის პირი, ვისაც ხსენებული ფრაზით მიმართა ი. ე-ემ იყო სწორედ ნ. გ-ე. შესაბამისად, უტყუარად დას-ტურდება, რომ გ. კ-ის მიერ „მსროლელად“ მითითებული პირი და ნ-ის მიერ იდენტიფიცირებული ნ. გ-ე ერთი და იგივე პირია.

5.26. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ნ-ის განმარტებით, ნ. გ-ეს პირადად იცნობდა, რადგან იყო მისი მეგობარი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, გ. კ-ე ადასტუ-რებს ი. ე-ის მიერ „მსროლელის“ მიმართ წარმოთქმულ ზემოაღნიშნულ ფრაზას, ხოლო, მეორე მხრივ, ნ-იც ადასტურებს ი. ე-ის მიერ იმავე დროს, იმავე ფრაზით ნ. გ-სადმი მიმართვას, პირის იდენტიფიცირების მიზნებისათვის, სასამართლოსათვის მეტად სანდოა ნ-ის განმარტება (რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, გ. კ-ის ჩვენებასთან ერთობლიო-ბაში ადასტურებს დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობას), რადგან მან, პირადი ნაცნობობიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების დასახელებით შეძლო პიროვნების ზუსტი იდენტიფიცირება, ვიდრე სხვა თვითმხილველ მოწმეთა (გ. კ-ის, ი. ე-ის, ლ-ის) ჩვენებები, რომ თითქოს, ბრალდებულის სტატუსით სასამართლოში მყოფი ნ. გ-ე მათ-თვის სრულიად უცნობი იყო და არა ის პირი, ვინც გამოძიების ეტაპზე ამოიცნეს, როგორც თავდამსხმელი.

5.27. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ლ-ემ სასა-მართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა გამოკითხვის ოქმის ის ნაწილი, სადაც იგი აღწერს იმ პირის ჩაცმულობას, ვინც ცეცხლსასრო-ლი იარაღიდან გაისროლა ი. ე-ის მიმართულებით. კერძოდ, მოწმის განმარტებით, ხსენებულ პირს ეცვა მოყავისფრო პიჯაკი, თეთრი მაი-

სური, ლურჯი ჯინსის შარვალი, სპორტული ფეხსაცმელი. საგულისხმოა, რომ ნ-იც ანალოგიურად აღწერს ნ. გ-ის ჩაცმულობას. კერძოდ, მისი გამოკითხვის ოქმის თანახმად, ნ. გ-ეს ეცვა ჯინსი, ღია ფერის მაისური და მოყავისფრო პიჯაკი. გარდა ამისა, ნ-ის მიერ ნ. გ-ის სამოსის აღწერა სრულ შესაბამისობაშია შემთხვევის ადგილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ამსახველ ვიდეოჩანაწერებში აღბეჭდილ და ვიდეოექსპერტიზის დასკვნაში აღწერილ თავდამსხმელის ჩაცმულობასთან. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებათა თანხვედნა, ზემოაღნიშნულ სხვა დადასტურებულ გარემოებებთან ერთობლიობაში, ნათლად წარმოაჩენს ი. ე-ის მიმართ თავდამსხმელი პირისა და მსჯავრდებულ ნ. გ-ის იდენტურობას.

5.28. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს მოწმეების – ლ-ის, გ. კ-ისა და ა-ის ჩვენებების იმ ნაწილს (რაც ასევე აღწერილია საკასაციო საჩივარში), სადაც ისინი ყურადღებას ამახვილებენ ფოტოსურათით ამოცნობის დროს სავარაუდო პროცედურული დარღვევების შესახებ, რაც მათი განმარტებით, გამოიხატა ამოცნობის დაწყებამდე, გამომძიებლის მიერ მათთვის ფოტოსურათების ჩვენებაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მსჯელობისა და სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, პირის ამოცნობის ოქმები არ წარმოადგენს ნ. გ-ის მსჯავრდებისათვის გადამწყვეტ მტკიცებულებებს. შესაბამისად, მოწმეთა მიერ მითითებული პროცედურული დარღვევების დადასტურებულად მიჩნევისა და ამ საფუძველით, ამოცნობის ოქმების გაუზიარებლობის შემთხვევაშიც კი, საქმეში არსებულ უტყუარ, დამაჯერებელ და ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, სასამართლოსათვის გაქარწყლებულია ყოველგვარი ეჭვი ნ. გ-ის უდანაშაულობის შესახებ.

5.29. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს, რომ დაცვის მხარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, საკასაციო საჩივარში უთითებს ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ, თუმცა, შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი, აბსტრაქტული მსჯელობით, რაც ხსენებული გადაწყვეტილების არსის ციტირებაში გამოიხატება და ვერ ასაბუთებს, თუ რა სახით ეწინააღმდეგება გასაჩივრებული გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ საქმეში დადგენილ სტანდარტებს. საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია, კონკრეტულად, რომელი პოლიციელის ჩვენება მიაჩნია სადავოდ კასატორს, ამ ჩვენების რა შინაარსით გამოყენება ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს

ხსენებულ გადანყვეტილებას, რა გავლენას ახდენს მონმის ჩვენება სამართალწარმოების შედეგზე და მისი გათვალისწინების გარეშე რა შედეგის მიღწევა მიაჩნია დაცვის მხარეს მოსალოდნელად. საგულისხმოა, რომ განსახილველ საქმეში, მონმე პოლიციელები ადასტურებენ მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების კანონთან შესაბამისობას და მათი ჩვენებები არარელევანტურია პირის დამნაშავეობა/უდანაშაულობის სამტკიცებლად.

5.30. რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ტარებას, ვინაიდან დადასტურებულია, რომ ი. ე-ის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან ნ. გ-ემ გაისროლა, მისთვის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა მსჯავრად შერაცხვა სრულიად კანონიერია. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდების ამ ნაწილში დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის მტკიცებულებათა საკმარისობას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. გ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ტარება დადასტურებულია გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, უტყუარ და შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ:

5.31. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ სასტუმრო „რ.“ საპარკინგე სივრციდან ამოიღეს ერთი მასრა. საქმეზე გამოკვლეული ვიდეო ჩანაწერებით ირკვევა, რომ ხსენებული მასრა ნ. გ-ის იარაღიდან გასროლის შედეგად დავარდა ძირს, რაც ასევე აღნიშნულია ვიდეოექსპერტიზის დასკვნაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 21 აპრილის №.... ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ერთი მასრა არის ქარხნული წესით დამზადებული, 1930 წლის ნიმუშის, 7,62X25 მმ. კალიბრიანი ვაზნის, საბრძოლო მასალის შემადგენელი ნაწილი, განკუთვნილი ტოკარევის ტიპის TT, TT-C მოდელის პისტოლეტებისთვის და სხვა. მასრა გასროლილია 7,62მმ კალიბრანი იარაღიდან.

5.32. ამდენად, მითითებულ მტკიცებულებათა მხედველობაში მიღებით, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ნ. გ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთად, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენა.

5.33. რაც შეეხება ნ. გ-ისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთათვის სასჯელის დანიშვნისას სრულად შეაფასა კონკრეტული საქმის გარემოებები, ჩადენილი ქმედებების ხასიათი და სიმძიმე, მათი ჩადენის ხერხი, დამდგარი შედეგი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება – საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა იარაღის გამოყენებით, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე, 531-ე და 59-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, თითოეული მსჯავრდებულსა და დანაშაულის ჩადენისთვის და შემდგომ, საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. გ-ეს შეუფარდა კანონიერი და სამართლიანი, მუხლების სანქციის შესაბამისი სასჯელი, რომელიც აკმაყოფილებს სასჯელის პროპორციულობის მოთხოვნას, უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას და არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. საგულისხმოა, რომ დაცვის მხარეც არ უთითებს სასჯელის უსამართლობის დამადასტურებელ კონკრეტულ გარემოებებზე.

5.34. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ნ. გ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულ სასჯელთან მიმართებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გამოყენების შეუძლებლობის თაობაზე, კერძოდ:

5.35. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა), თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ხსენებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება დაზარალებულის თანხმობა, ნ. გ-ის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება და ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს

სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელი. საკასაციო სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ ნ. გ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილია 2024 წლის 1 ივლისამდე, რითაც დაკმაყოფილებულია პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა.

5.36. იმავედროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან ნ. გ-ეს ასევე ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, რომლებზეც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არ ვრცელდება ამნისტია, საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელის შემცირება გავლენას ვერ იქონიებს მისთვის საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით დასანიშნ საბოლოო სასჯელის ზომაზე.

5.37. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ასევე უნდა შეიცვალოს ნივთიერ მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტის ნაწილში. კერძოდ, ი. ე-ისაგან ამოღებული ტანსაცმელი, ქუდი და სპორტული ფეხსაცმელები უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 19 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ნ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

4. ნ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-

ვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

5. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. ნ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

7. ნ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

8. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას სხვა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ნ. გ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. ნ. გ-ეს სასჯელის ვადა აეთვალოს პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების მომენტიდან – 2023 წლის 14 დეკემბრიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2023 წლის 5 ოქტომბრიდან 2023 წლის 14 დეკემბრამდე;

10. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადანაცვდეს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

ერთი დეფორმირებული მოყვითალო საგანი, მასრა, ანანმენდები (ქიმიური და ბიოლოგიური), საკონტროლო ნიმუშთან ერთად – განადგურდეს;

ი. ე-ისაგან ამოღებული ტანსაცმელი და ქუდი, სპორტული ფეხსაცმელები – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დისკები და ფლუმ მეხსიერების ბარათი – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

11. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ

**პირის არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას
ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილსა და მორალურ
ტანჯვას აყენებს, ჩადენილი დამნაშავეისათვის წინასწარი
შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან მასზე
სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ**

**ბანაჩანი
საქართველოს სახელით**

№412აპ-25

25 სექტემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ც-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 7 მარტის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. მ. ბ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 11¹, 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით (შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, პირის არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილსა და მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან მასზე სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, მ. ბ-ი დაინიშნა მისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ძმის – თ. ბ-ის მხარდამჭერად. აღნიშნული დროიდან, მ. ბ-ი თ. ბ-შ, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეეძლო გადაადგილება, თავის მოვლა და კვება, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის

მოტივით (მ. ბ-ს აღარ სურდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მოვლა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი მისთვის წარმოადგენდა ზედმეტ ტვირთს) ეპყრობოდა არაადამიანურად. კერძოდ, ამყოფებდა საცხოვრებლად უვარგის ოთახში, სადაც ამ უკანასკნელს არ ჰქონდა სათანადო პირობები, იწვა ხის ფიცრებისგან შეკრულ საწოლზე, ყოველგვარი საგების გარეშე, ფეკალურ მასებში, არ ჰქონდა სათანადო მოვლა, რის გამოც, თ. ბ-ი განიცდიდა ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილსა და მორალურ ტანჯვას.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენით, მ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, ხოლო დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 2000 ლარი.

2.2. გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ბ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ნ. ც-ემ. დაცვის მხარემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მ. ბ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 7 მარტის განაჩენით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 7 მარტის განაჩენი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა მ. ბ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ნ. ც-ემ. დაცვის მხარემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. ადვოკატის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რადგან არ ეფუძნება ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ძირითად მტკიცებულებად მიიჩნია გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება მ. ბ-ის თ. ბ-ის მხარდამჭერად ცნობის შესახებ, აგრეთვე, სოციალური მუშაკის – ნ-ის ჩვენება, რომელმაც განმარტა,

რომ მ. ბ-ი ვალდებული იყო, მხარდაჭერის მიმღებისათვის სათანადო მზრუნველობა გაეწია. აღნიშნულის საპირისპიროდ, ადვოკატი მიმოიხილავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ერთმანეთისაგან მიჯნავს მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნებებს, მზრუნველისა და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობებს და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით მსჯავრდებულს დაეკისრა კონკრეტულ სფეროებში თ. ბ-ის მხარდაჭერის, და არა – მზრუნველობის ვალდებულება, რომელიც მოვლა-პატრონობასაც მოიცავს, გადაწყვეტილებაში მითითებული არ ყოფილა მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესახებ. კასატორის მტკიცებით, ასეთ ვითარებაში, უკანონო და დაუსაბუთებელია მსჯავრდებულისათვის მისი ძმის მიმართ ზრუნვის სამართლებრივი ვალდებულების დაკისრება. დაცვის მხარე ასევე ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ასაკზე, აგრეთვე, დაზარალებულის დაავადების თავისებურებაზე, რაც, ადვოკატის მტკიცებით, გამორიცხავს თ. ბ-ის მიერ სიცივისა და სიცხის შეგრძნებას, საკვების რაოდენობის კონტროლს, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ადგილის აღქმას. კასატორის განმარტებით, ფსიქოლოგიური ექსპერტიზისა და დაზარალებულის ჩვენების არარსებობის პირობებში, დადგენილი არ არის, მისი ფსიქიკური ჯანმრთელობიდან გამომდინარე, შეეძლო თუ არა დაზარალებულს ტანჯვის განცდა.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება მ. ბ-ის მიერ მისთვის მსჯავრდშერაცხილი დანაშაულის ჩადენა. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი მ. ბ-ის საქართველოს სსკ-ის 11¹, 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის მსჯავრდშერაცხილი ქმედების ჩადენას, კერძოდ:

5.3. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის

გადაწყვეტილებაზე, რომლითაც, მ. ბ-ი დაინიშნა თ. ბ-ის მხარდამჭერად შემდეგ სფეროებში: წვრილმანი გარიგების დადების სფერო; სამედიცინო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის სფერო; სოციალური მომსახურების სააგენტოდან პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვის სფერო; მედიკამენტების შეძენისა და მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის სფერო; სახელმწიფო გასაცემლის (პენსია, ფულადი საარსებო შემწეობა და სხვა) დანიშვნა/მიღებისა და განკარგვის სფერო, ამავე მიზნით საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობის სფერო; საბანკო ბარათის განახლების მიზნით საბანკო დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვის სფერო; გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ერთჯერადი დახმარების მიღების მიზნით განცხადებით მიმართვის სფერო. მხარდამჭერის ვადად განისაზღვრა 5 წელი და მ. ბ-მ მიენიჭა ზემოაღნიშნული უფლებების განხორციელების უფლებამოსილება მხარდამჭერის მიმღების ინტერესების შესაბამისად.

5.4. სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“ სოციალური მუშაკის – ნ-ის ჩვენებით, 2021 წელს, მონიტორინგის განხორციელების მიზნით, შესასრულებლად გადაეცა გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მ. ბ-ი მისი ძმის – თ. ბ-ის მხარდამჭერად იყო დანიშნული. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას გარკვეული სახის უფლება-მოვალეობები ეკისრებოდა, მათ შორის, მ-ი ვალდებული იყო, მხარდამჭერის მიმღებისთვის სათანადო მზრუნველობა გაენია, კერძოდ, დახმარებოდა მას საყოფაცხოვრებო საკითხებში, ჯანმრთელობასთან, კვებასთან და ჰიგიენასთან დაკავშირებით. ნ-ე ბენეფიციართან ორჯერ მივიდა. ვიზიტის მიზანს ბენეფიციარის შემოწმება წარმოადგენდა, კერძოდ, მას უნდა შეემოწმებინა, თუ როგორ ხორციელდებოდა ბენეფიციარზე დაწესებული მზრუნველობა. 2021 წელს, როდესაც იგი პირველად თ. ბ-ის საცხოვრებელ სახლში მივიდა, ბენეფიციარის ყოფითი მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, თუმცა, გარკვეული დეტალები – დამაფიქრებელი. მაგალითად, თ. ბ-ის საწოლის ქვეშაგები სუფთა არ იყო. ამის გამო, მ. ბ-მ მიეცა შენიშვნა, რაზეც მან უპასუხა, რომ როგორც შეეძლო, ისე უვლიდა ძმას. ნ-ემ მ. ბ-მ შესთავაზა, მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვა სფეროს გაფართოება, რაც თ. ბ-ის სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ გადაყვანას გულისხმობდა, კერძოდ, თ-ს შესაბამის დაწესებულებაში გადაიყვანდნენ – ნ-ემ მ. ბ-ი სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ ტერიტორიული ერთეულის შიდა ქართლის რეგიონული ცენტრის“ იურისტს – ლ. ხ-ეს შეახვედრა. ლ-მ დეტალურად აუხსნა მ. ბ-ს, რას ნიშნავდა სფეროს გაფართოება. თუმცა, აღნიშნული განცხადებით მ.

ბ-ს სოციალური სამსახურისთვის ან სასამართლოსთვის არ მიუმართავს. მას არ სურდა თ-ის თავშესაფარში გადაყვანა. ნ-ის განმარტებით, სოციალური მუშაკი ვალდებული იყო, ყოველ ექვს თვეში ერთხელ განეხორციელებინა ვიზიტი ბენეფიციართან, თუმცა, პანდემიის გამო, სამსახური დისტანციურად მუშაობდა და ბენეფიციართან ვიზიტებს ვერ ასრულებდნენ – 2022 წელს მან მორიგი ვიზიტი განახორციელა თ. ბ-თან, რა დროსაც, თ-ი ძალიან მძიმე მდგომარეობაში დახვდა. იგი რკინის საწოლზე შიშველი იწვა და ზეწარი ჰქონდა მიფარებული. საწოლზე დაფენილი თხელი ქვეშაგები მისი ფეკალური მასებით იყო დასვრილი, ხოლო საწოლის ქვეშ იყო გუბე, რაც, სავარაუდოდ, მისი შარდი უნდა ყოფილიყო. საშინელი სუნი იდგა. საკვები ნარჩენები საწოლზე და საწოლთან ახლოს ეყარა. თ-ი მის საუბარზე არ რეაგირებდა, იწვა და ხმას არ იღებდა. გადაადგილება უჭირდა. სახლში გათბობა არ იყო. მან მ. ბ-ს, რომელიც ძმასთან მოგვიანებით მოვიდა, ჰკითხა, თუ რატომ ამყოფებდა თ-ს ასეთ პირობებში. მ-მა უთხრა, რომ უჭირდა ძმის მოვლა-პატრონობა, თუმცა, როგორც შეეძლო, უვლიდა. მ-ი ძმის მიმართ აგრესიას არ გამოხატავდა. ამის შემდეგ, ნ-ემ პოლიციაში დარეკა და შეატყობინა აღნიშნული ფაქტის შესახებ.

5.5. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, თანდართული ფოტოსურათებითა და ვიდეოჩანაწერით დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს გ-ს რაიონის სოფელ კ. იგი წარმოადგენს თ. ბ-ის საცხოვრებელ სახლს. ეზოში დგას ორსართულიანი სახლი. საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე შესასვლელ ოთახში განთავსებულია რკინის საწოლი. მასზე სიგრძეზე დალაგებულია ფიცრები, რომელზეც განთავსებულია საკვების ნარჩენებით დასვრილი მატყლისებური მასები და ლეიბის ნარჩენები. აღნიშნულ ფიცრებზე სრულად შიშველ მდგომარეობაში იწვა თ. ბ-ი, რომელსაც გადაფარებული ჰქონდა ლურჯი, დასვრილი ზეწარი. თ-ს, ტანი სავარაუდოდ განავლით ჰქონდა დასვრილი, ხოლო საწოლის ქვეშ არსებული იატაკი იყო სველი. სავარაუდოდ, იყო შარდი.

5.6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელ – ა. ე-ის ჩვენებით დასტურდება, რომ 2022 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს შსს-ს გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილებაში შევიდა სოციალური მუშაკის – ნ-ის შეტყობინება, რომლის თანახმადაც, გორის რაიონის სოფელ კ, მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მამაკაცს უგულვებელყოფს მისი მზრუნველი/მეურვე, რომელიც არის მისი ძმა და ჰყავს არაადამიანურ პირობებში. შემთხვევის ადგილზე მისვლისას, დახვდა შეტყობინების ავტორი – ნ-ე, მ. ბ-ი და თ. ბ-ი. თ. ბ-ი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე არსებულ ოთახში იმყოფ-

ფეხოდან. საწოლზე, სადაც თ-ი იწვა დაგებული არ იყო ლეიბი. იგი საწოლში სრულიად შიშველი იწვა და ვერ მოძრაობდა. საწოლი ფეკალური მასებით იყო დასვრილი. ზენარი, რომელიც მას ჰქონდა მიფარებული, იყო გაყვითლებული. საწოლის ქვეშ იყო სისველე, რაც, სავარაუდოდ, შარდი უნდა ყოფილიყო. იდგა ცუდი სუნი. საწოლში და მის გარშემო საკვები ნარჩენები იყო მიმოფანტული. მოწმის განმარტებით, მ. ბ-მა მასთან საუბარის დროს განაცხადა, რომ იგი თ-ს ბოლო პერიოდში სათანადოდ ვერ უვლიდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირებმა: ექსპერტ კრიმინალისტიკა – ი-ემ და ინსპექტორ გამომძიებელმა – გ-ამ.

5.7. სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ იურისტის – ლ. ხ-ის ჩვენებით დასტურდება, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მ. ბ-ი ხუთი წლით დაინიშნა მისი ძმის – თ. ბ-ის მხარდამჭერად. სოციალური მუშაკი ყოველ ექვს თვეში ერთხელ მიდიოდა შესამოწმებლად. 2022 წელს, ნ-ის მიერ თ. ბ-ის საცხოვრებელ სახლში მორიგი მონიტორინგისას, გამოავლინდა მხარდამჭერის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი. ამის გამო, ნ-ე, ლ-სთან ერთად, შეხვდა მ. ბ-ს და უთხრა, რომ თუ მას ძმის მოვლა-პატრონობა უჭირდა, შეეძლო, მიემართა სასამართლოსათვის და სფეროს გაფართოება მოეთხოვა, რაც გულისხმობს იმას, რომ თ. ბ-ს ჩარიცხავდნენ შუამ პირთა პანსიონატში. მოწმის განმარტებით, მან დეტალურად აუხსნა, სად უნდა მისულიყო და რა სახის განცხადება უნდა დაენერა. თუმცა, მ. ბ-ს აღნიშნული დაწესებულებისთვის არ მიუმართავს. 2022 წლის სექტემბერში, ნ-ის მიერ თ. ბ-თან მორიგი ვიზიტი შედგა. თ. ბ-ის საცხოვრებელ სახლში მათ საშინელი ანტისანიტარია დახვდათ. მხარდამჭერის მიმღები იყო მოუვლელი და ფეკალურ მასებში ამოსვრილი. 2022 წლის 30 სექტემბერს იგი, ნ-ესთან ერთად, მივიდა თ. ბ-ის სახლში. სახლში ამ დროსაც საშინელი ანტისანიტარია იყო, იდგა მძაფრი სუნი, საწოლის ქვეშ, იატაკზე კვლავ შარდის გუბეები იყო და მხარდამჭერის მიმღები კვლავ მოუვლელი იწვა. 2022 წლის ოქტომბერში, მასთან სამსახურში მივიდნენ მ. ბ-ი და მისი შვილი – გ. ბ-ი, რომელთაც ახლდათ ადვოკატი – მ-ე. მათ კიდევ ერთხელ განემართათ სფეროს გაფართოების მნიშვნელობა, თუმცა, პრობლემის ასეთი გზით გადაწყვეტაზე თავს იკავებდნენ, რადგან არ სურდათ მხარდამჭერის მიმღების ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადასულიყო. რამდენიმე დღის შემდეგ, მ. ბ-ი კვლავ მივიდა და უთხრა, რომ სურდა აღნიშნული განცხადების სასამართლოში შეტანა. ლ. ხ-ემ შეადგინა განცხადება, რომლის თანახმად, მხარდამჭერი უნდა გათავისუფლებულიყო მოვალეობის არაჯე-

როვანი შესრულების გამო, თ. ბ-ი ჩარიცხულიყო სპეციალიზირებულ დანესებულებაში და მისი მხარდამჭერი ყოფილიყო ნ-ე. 2022 წლის 14 ოქტომბერს დაინიშნა სხდომა გორის რაიონულ სასამართლოში. სასამართლო განხილვის პერიოდში მ. ბ-ი დააკავეს. გ. ბ-ი უარს აცხადებდა თ. ბ-ის მოვლა-პატრონობაზე, რის შემდეგაც, თ-ი პანსიონატში გადაიყვანეს.

5.8. მოწმეთა ჩვენებები ასევე დადასტურებულია საქმეში არსებული მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის ზედამხედველობის ფორმებით, რომლებიც შედგა სხვადასხვა დროს ნ-ის მიერ და ასახავს 2021 წლის 26 მარტს, 2021 წლის 4 ოქტომბერს, 2022 წლის 20 მარტს, 2022 წლის 23 სექტემბერსა და 2022 წლის 30 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტების ფარგლებში ზედამხედველობის შედეგებს. ყველა ჯერზე აღნიშნულია, რომ არ არის დაკმაყოფილებული თ. ბ-ის ჰიგიენური მოთხოვნილებები. 2022 წლის 23 სექტემბრის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ზედამხედველობის შედეგად, დასკვნაში აღნიშნულია, რომ თ. ბ-ის საჭიროებები საკვებით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით დაუკმაყოფილებელია. ასევე, არ არის დაკმაყოფილებული მისი ჰიგიენური მოთხოვნილებები. მისი მდგომარეობა და საჭიროებები ოჯახში არ არის დაკმაყოფილებული. საცხოვრებელში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ადგილზე გამოძახებულ იქნა პოლიცია. მხარდამჭერს გაენიჭა სფეროს გაფართოების შესახებ კონსულტაცია.

5.9. მ. ბ-ის შვილის – გ. ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ თ. ბ-ი არის მისი ბიძა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მოვლა-პატრონობას საჭიროებდა. თ-ი სახელმწიფოსგან გარკვეული სახის დახმარებას იღებდა. ყველა სახის დახმარება თავად თ. ბ-ს ხმარდებოდა. თ-ს გარკვეული ქონებაც ჰქონდა, რომელიც მამისგან მემკვიდრეობით მიიღო. მისი განმარტებით, სოციალური მუშაკი თ-ის საცხოვრებელ სახლში მის შესამოწმებლად არასოდეს მისულა. პირიქით, სოციალური სამსახურის თანამშრომელი მას სთხოვდა, მ. ბ-ს ხელი მოეწერა დოკუმენტებზე, სადაც ეწერა, რომ ისინი პერიოდულად თ-ის შესამოწმებლად მის საცხოვრებელ სახლში მიდიოდნენ, რაზეც მას უარი არ უთქვამს. მ. ბ-ისთვის ძმის მოვლა-პატრონობა რთული იყო. დახმარებისთვის სოციალურ მუშაკსაც მიმართა და თავშესაფრის მოძებნაში დამხმარება სთხოვა. სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა მ-ს მისამართი უთხრეს, სადაც უნდა მისულიყო და განცხადება დაეწერა, თუმცა, აღნიშნული დანესებულება ყოველჯერზე დაკეტილი ხვდებოდა. სოციალური მუშაკი ნ-ე და იურისტი ლ. ხ-ე მ-ს ეუბნებოდნენ, რომ თავშესაფარში ადგილი არ იყო. მ. ბ-მა თავადაც სცადა თავშესაფრის მოძებნა, თუმცა ყველა დანესებულებიდან უარი მიიღო. თ. ბ-ის სახ-

ლში დაახლოებით ცხრა წლის განმავლობაში არ მისულა და არ უნახავს როგორ ცხოვრობდა იგი, თუმცა, იცოდა, რომ მამა უვლიდა და პატრონობდა. მ-ს მასთან ხშირად მიჰქონდა თ-ის ტანსაცმელი გასარეცხად. მ-ი მძასთან დილით და საღამოს მიდიოდა, საჭმელი მიჰქონდა და საცხოვრებელ სახლს უსუფთავებდა. თ-ი რთული მოსავლელი იყო, ტანსაცმელს იხდიდა და შიშველი დადიოდა, სანოლში ისაქმებდა და შემდეგ, ეზოში ჩადიოდა, დარბოდა, თავის ფეკალიებში ისვრებოდა.

5.10. თ-ის ჩვენებით, იგი თ. ბ-ის მეზობელია. თ-ი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. მ-ი მძასთან ყოველდღე, დილით და საღამოს მიდიოდა. მოწმე თ-ის სახლში არ შესულა და არ უნახავს, როგორ პირობებში ცხოვრობდა. თ-ი დაახლოებით ერთი წელია ეზოში გამოსული არ უნახავს. მ-ი ცდილობდა პანსიონატში ძმის მოთავსებას. თ-ი აგრესიას გამოხატავდა ხალხის მიმართ, ტანზე ტანსაცმელს იხევდა, შიშველი დადიოდა, ეზოში საკუთარ ფეკალიებს ყრიდა. მეზობლებიც შეწუხებული იყვნენ და მ-იც განიცდიდა ამ ამბავს. რაც შეეხება სახლის გათბობას, თ-ს შეშის ღუმელი ჰქონდა. მ-ი როდესაც მიდიოდა, ანთებდა.

5.11. თ-ის ჩვენებით, იგი თ. ბ-ის მეზობელია. თ-ი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. მას მ. ბ-ი უვლიდა. მ-ი იმავე სოფელში ცხოვრობდა. იგი მძასთან ყოველდღე თუ არა, ორ ან სამ დღეში ერთხელ მაინც მიდიოდა. ამ დროის განმავლობაში თ-ი სახლში მარტო იყო. რაც შეეხება თ-ის სახლში არსებულ ჰიგიენურ მდგომარეობას, არც თუ ისე სახარბიელო იყო. ბოლოს, როდესაც მან თ-ი ნახა, დასუსტებული იყო, დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო. თ-ს სახლში შეშის ღუმელი ჰქონდა, რომელსაც მ-ი ანთებდა.

5.12. მ. ბ-მა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განმარტა, რომ იგი მძასთან ყოველ დღე, დილით და საღამოს მიდიოდა და საკვები მიჰქონდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მას ძალიან გაუჭირდა ძმის მოვლა და გადაწყვიტა, დახმარებისთვის შესაბამისი დაწესებულებებისთვის მიემართა. მან თავდაპირველად ფსიქიატრიულ კლინიკებს მიმართა, სადაც უთხრეს, რომ ალნიშნულის თაობაზე მათთვის სოციალურ სამსახურს უნდა მიემართა. ამის შემდეგ, იგი სოციალურ სამსახურში მივიდა, სადაც განუმარტეს, რომ მისულიყო იურიდიული დახმარების ბიუროში და ისინი დაეხმარებოდნენ— მათ შესთავაზეს სფეროს გაფართოება. იგი რამდენჯერმე მივიდა ალნიშნულ მისამართზე, თუმცა, არავინ დახვდა.

5.13. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ თ. ბ-ი იმყოფებოდა საცხოვრებლად არასათანადო, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში, არ ჰქონდა სათანადო მოვლა, იწვა ხის ფიცრებისაგან

შეკრულ საწოლზე, ყოველგვარი საგების გარეშე, ფეკალურ მასებში. დაზარალებულის ამგვარ პირობებში ყოფნის ფაქტს დაცვის მხარეც არ ხდის სადავოდ.

5.14. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს არ გააჩნდა მისი ძმის მიმართ ზრუნვის სამართლებრივი ვალდებულება, რადგან სასამართლოს გადანყვეტილებით, მას დაეკისრა კონკრეტულ სფეროებში თ. ბ-ის მხარდაჭერის, და არა – მზრუნველობის ვალდებულება.

5.15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე-1277¹-ე მუხლები განსაზღვრავს მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნებებს, აგრეთვე, მათი გამოყენების საფუძვლებს.

5.16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვან ბავშვს, რომელიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩა მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდება მეურვეობა და მზრუნველობა აღსაზრდელად, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვნის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

5.17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლის შესაბამისად, მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი. შესაბამისად გამოიყენება მე-16 მუხლი. ხსენებული კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

5.18. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 1277¹-ე მუხლის შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებს უწესდება მხარდაჭერა და ენიშნება მხარდამჭერი. ხსენებული კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, მხარდაჭერის მიმღებში მოიაზრება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვასა და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

5.19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლი განსაზღვრავს მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მოვალეობებს. კერძოდ, ხსენებული მუხლის თანახმად, მეურვე/მზრუნველი ვალდებულია, იზრუნოს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის რჩენაზე, შეუქმნას მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყოს ის მოვლითა და მკურნალობით, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები, ხოლო მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადანყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში.

5.20. ხსენებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მეურვეობას, მზრუნველობასა და მხარდაჭერას ერთმანეთისაგან ამ ღონისძიებათა გამოყენების ადრესატები განასხვავებენ – რაც შეეხება მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მოვალეობათა შინაარსს, მართალია, ამ უკანასკნელს ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლი, თუმცა, მხარდამჭერის მოვალეობათა ფარგლების დადგენისას ასევე გასათვალისწინებელია იმ სფეროთა შინაარსი, სადაც მხარდაჭერის მიმღებს დაენიშნა მხარდაჭერა.

5.21. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადანყვეტილებაზე, რომლითაც, მ. ბ-ი დაინიშნა თ. ბ-ის მხარდამჭერად, მათ შორის, ისეთ სფეროშიც კი, როგორიცაა წვრილმანი გარიგების დადება, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მხარდაჭერის ფარგლებს. ასევე, სა-

გულისხმობა, რომ ამავე გადანყვეტილებით მ. ბ-ი წარმოადგენდა თ. ბ-ის მხარდამჭერს სახელმწიფო გასაცემლის (პენსია, ფულადი საარსებო შემწეობა და სხვა) დანიშვნა/მიღებისა და განკარგვის სფეროშიც, რაც გულისხმობს იმას, რომ სწორედ მ. ბ-ი იყო დაზარალებულის ფინანსური სახსრების განკარგვაზე პასუხისმგებელი პირი და მას ეს უფლებამოსილება უნდა განეხორციელებინა კეთილსინდისიერად, მხარდამჭერის მიმღების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც თ. ბ-ი იმყოფებოდა უმძიმეს ჰიგიენურ პირობებში, არ გააჩნდა ნორმალური, ღირსეული ცხოვრებისათვის სათანადო გარემო, სწორედ მ. ბ-ს ევალებოდა, იმგვარად განეკარგა მხარდამჭერის მიმღების ფინანსური სახსრები, რომ მისთვის ღირსეული ცხოვრების პირობები შეექმნა. მას ასევე შეეძლო, მოეთხოვა თ. ბ-ის სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ გადაყვანა, თუმცა, არაერთი განმარტების მიუხედავად, სათანადო ორგანოსთვის შესაბამისი განცხადებით არ მიუმართავს. ამდენად, ადვოკატის პოზიცია, თითქოს, მსჯავრდებულს არ ევალებოდა თ. ბ-ზე ზრუნვა და მისი მოვლა-პატრონობა, საფუძველს მოკლებულია. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ასევე უსაფუძვლოა დაცვის მხარის აპელირება მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მ. ბ-მა კარგად იცოდა ძმის – თ. ბ-ის მდგომარეობა და მისი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, არაფერი იღონა არსებული მდგომარეობის შესაცვლელად, მაშინ როდესაც, მას ეკისრებოდა ამგვარი ვალდებულება და ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა, რითაც თავიდან აიცილებდა შესაბამის მართლსაწინააღმდეგო შედეგს. საქმეში არსებული მტკიცებულებები – მოწმეთა ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი – ცხადყოფს, რომ მ. ბ-ი არა თუ ვერ ართმევდა თავს მხარდამჭერის მიმღები ძმის მოვლა-პატრონობას, არამედ განზრახ ჩააყენა დაზარალებული არაადამიანურ მდგომარეობაში. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ თ. ბ-ის მდგომარეობასა და ცხოვრების პირობებს, არანაირი კავშირი არ აქვს ნორმალურ ცხოვრების წესთან – საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მოპყრობის ხასიათსა და კონტექსტს, ხანგრძლივობას, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მიაჩნია, რომ თ. ბ-სათვის შექმნილი პირობები გარდაუვლად აღწევს სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვარს, რაც კვალიფიცირდება არაადამიანურ მოპყრობად.

5.22. რაც შეეხება დაზარალებულის მიერ ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილისა და მორალური ტანჯვის განცდას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. კერძოდ, ევრო-

სასამართლოს განმარტებით, საკითხის შეფასებისას შეუთავსებელია თუ არა მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან, ფსიქიკურად დაავადებულ პირთა შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი მოწყვლადობა და უუნარობა, ზოგ შემთხვევაში, სათანადოდ წარადგინონ პრეტენზია და მიუთითონ, როგორი გავლენა იქონია მათზე კონკრეტულმა მოპყრობამ (*Keenan v. The United Kingdom*, Application no. 27229/95, 3 April, 2001, § 111; *Rivière v. France*, Application no. 33834/03, 11 July, 2006, § 63). არაგონივრულია მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისგან მოველოდეთ, რომ დეტალურად ან თანმიმდევრულად აღწერს იმას, რაც მან განიცადა (*Aerts v. Belgium*, Application no. 61/1997/845/1051, 30 July, 1998, § 66). ევროსასამართლოს განმარტებით, არასრულფასოვნებისა და უძლურების მდგომარეობა, რომელიც დამახასიათებელია ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსებული პაციენტებისთვის, მოითხოვს გაზრდილ სიფხიზლეს კონვენციის დაცვის გადახედვისას. მიუხედავად ასეთი პაციენტების უუნარობისა, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, ისინი რჩებიან მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ (*Herczegfalvy v. Austria*, Application no. 10533/83, 24 September 1992, § 82).

5.23. მაშინ როდესაც განცდილი ფიზიკური თუ ფსიქიკური ტანჯვის ხარისხი წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას იმ საქმეებში, რომლებზეც სასამართლომ იმსჯელა მე-3 მუხლიდან გამომდინარე, არსებობს გარემოებები, როდესაც პიროვნების მიერ განცდილი ზემოქმედება შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი ფაქტორი. მაგალითად, თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომლის აუცილებლობაც არ გამომდინარეობს თავად დაკავებული პირის ქცევიდან, იწვევს ადამიანური ღირსების დამცირებას და წარმოადგენს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას (*Ribitsch v. Austria*, judgment of 4 December 1995, Series A no. 336, p. 26, § 38, *Tekin v. Turkey*, judgment of 9 June 1998, Reports 1998-IV, pp. 1517-18, § 53). ანალოგიურად, სულით ავადმყოფ პირთა მიმართ განხორციელებული მოპყრობა შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის ღირსების დამცირებას მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, შეუძლია, თუ არა აღნიშნულ პიროვნებას მიუთითოს იმ უარყოფით ფაქტორებზე, რომლებიც მოპყრობის შედეგად დადგა (*Keenan v. The United Kingdom*, Application no. 27229/95, 3 April, 2001, § 113).

5.24. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას, თითქოს, თ. ბ-ს არ გააჩნდა შეგრძნებები, მათ შორის, სიცივისა და სიცხის შეგრძნება, საკვების რაოდენობის კონტროლი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ადგილის აღქმა. სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ერთი მხრივ, არ დასტურდება დაზარალებულის უგონო მდგომარეობაში ყოფნა, ხოლო, მეორე მხრივ, დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებითაც დგინდება, რომ თ. ბ-ს ჰქონდა შიმშილისა და სიცივის შეგრძნება, იღებდა საკვებს და როდესაც მსჯავრდებული მიდიოდა, შეშის ლუმელს უნთებდა. შესაბამისად, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, რაც გამოიხატა იმაში, რომ საწოლს არ ჰქონდა ქვეშაგები, სიცივეში სრულიად შიშველი, საკუთარ შარდსა და ფეკალურ მასებში, მხოლოდ თხელი ზეწრით ინვა ფიცრებზე, სადაც ასევე ეყარა საკვების ნარჩენები, გარდაუვლად გამოიწვევდა დაზარალებულში ტკივილისა და ტანჯვის განცდას.

5.25. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. ბ-სათვის საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების – დანაშაულის ჩადენა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით – მსჯავრდებულსა და დაცვას.

5.26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მიზნებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობა გულისხმობს პირის არაკეთილგანწყობილ, მტრულ დამოკიდებულებას აღნიშნული ნიშნის მქონე ადამიანთა მიმართ, რა დროსაც, დანაშაულის ჩადენა მოტივირებულია ამ ნიშნით იდენტიფიცირებული პირის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებით. შესაბამისად, დაზარალებულის სწორედ ამ ნიშნისადმი კუთვნილება აღუძრავს პირს მის მიმართ დანაშაულის ჩადენის სურვილს და ასრულებს გადამწყვეტ როლს დანაშაულებრივი განზრახვის ფორმირებისას. დანაშაული ჩადენილია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, თუ ეს უკანასკნელი არის წამყვანი ფაქტორი დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებისას. დაზარალებულის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ქონა თავისთავად და იმთავითვე, ყოველთვის არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის არსებობას. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც პირის მდგომარეობა/სტატუსი (რაც, შესაძლოა, განაპირობებდეს პირის უმწეობასაც), ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ძირითადი მოტივი. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიიღებინოს, საქმეში არსებული მტკიცებულებების კრიტიკული და დეტალური შემოწმების შედეგად, დაადგინოს არის თუ არა დანაშაულის ჩადენა მოტივირებული დაზარალებულის შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. აღნიშნული

გარემოების დადგენის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას, შესაძლოა, მონმეთა ჩვენებები წარმოადგენდეს, რომელთა მეშვეობით, შეიძლება დადგინდეს მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაზარალებულის შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ, რაც შეიძლება, გამოიხატოს ქცევის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, შეურაცხმყოფელი, დამცინავი, დამამცირებელი, ზიზლისშემცველი მიმართვებით, ფრაზებით, ქმედებებითა თუ ჟესტიკულაციით. განსახილველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება დაზარალებულის ჩვენება, ხოლო სხვა მონმეთა ჩვენებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები ხსენებული დამამძიმებელი გარემოების დადგენის თვალსაზრისით არაინფორმატიულია. სისხლის სამართლის საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის უტყუარად არსებობის ფაქტს. შესაბამისად, მ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულებად აღიარებული კვალიფიკაციიდან უნდა ამოერიცხოს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე მითითება.

5.27. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული გარემოება გავლენას ვერ იქონიებს მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელზე. სასამართლო ითვალისწინებს, ჩადენილი ქმედების ხასიათს, სიმძიმეს, მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ამ დანაშაულისაგან ხელყოფის ობიექტს, დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების არარსებობას, სასჯელის მიზნებს და თანაზომიერად მიაჩნია მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელი, რაც შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. ბ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა პალატის 2025 წლის 7 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. ბ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, ხოლო დამატებით სასჯელად – ჯარიმა 2000 ლარი;

4. მ. ბ-მ საქართველოს სსკ-ის 11¹, 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებიდან ამოერიცხოს დანაშაულის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე მითითება;

5. მ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 5 ოქტომბრიდან 2022 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით და სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაპატიმრების მომენტიდან – 2024 წლის 18 სექტემბრიდან;

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. ბ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გაუქმებულია. გირაოს შემტანს – გ. ბ-ს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 5000 ლარი (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით);

7. ნივთიერი მტკიცებულება – შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ჩანაწერი, განთავსებული ერთ ლაზერულ დისკზე, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

8. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ეკონომიკური დანაშაული

**ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან
იმავე კოდექსის 178-ე და 120-ე მუხლებზე**

**განაჩენი
საქართველოს სახალით**

№272აპ-25

30 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რა-
იონული პროკურორატურის პროკურორ ნიკა ლათიბაშვილისა და მსჯავ-
რდებულ ი. პ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის კ-ს საკასაციო
საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ი. პ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-
მართლის კოდექსის (შემდგომში: საქართველოს სსკ-ის) 179-ე მუხლის
პირველი ნაწილით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივ-
თის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯან-
მრთელობისათვის საშიში ძალადობით) გათვალისწინებული დანაშაუ-
ლის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2024 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, თ... მიმდებარედ
გაჩერებულ „ტოიოტა პრიუსი“-ს ფირმის ავტომობილში (სახელმწიფო
ნომერი – ...), ი. პ-ი თავს დაესხა ა-ას მისი ხელჩანთისა და მობილური
ტელეფონის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, კერძოდ,
წაართვა 25 ლარად ღირებული ხელჩანთა მასში მოთავსებული 600 ლა-
რით, 280 ლარად ღირებული „რედმი ა20“-ს ფირმის მობილური ტელე-
ფონით და თანაქონი ჩაქუჩი რამდენჯერმე ჩაარტყა ა-ას სახის არეში.
მას შემდეგ, რაც ი. პ-ი გადავიდა ავტომანქანიდან, ა-ამ შეძლო ავტო-
მობილიდან გადასვლა და გაქცევა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ი. პ-მა ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით; მანვე ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგით:

2024 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, თ... მიმდებარედ გაჩერებულ „ტოიოტა პრიუსი“-ს ფირმის ავტომობილში (სახელმწიფო ნომერი – ...), ი. პ-მა ა-ას ხელიდან გამოგლიჯა და მისაკუთრა მისივე კუთვნილი ხელჩანთა, მასში მოთავსებული „რედმი ა20“ ფირმის მობილური ტელეფონით და 50 ლარით.

2024 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, თ... მიმდებარედ გაჩერებულ „ტოიოტა პრიუსი“-ს ფირმის ავტომობილში (სახელმწიფო ნომერი – ...), ი. პ-მა ა-ას ხელიდან გამოგლიჯა და მისაკუთრა მისივე კუთვნილი ხელჩანთა მასში მოთავსებული „რედმი ა20“ ფირმის მობილური ტელეფონით და 50 ლარით. ა-ას კუთვნილი ნივთებისა და ფულადი თანხის მისაკუთრების შემდეგ, განხორციელებული ძარცვის დაფარვისა და დაშინების მიზნით, რათა სამართალდამცავ ორგანოებში არ განეცხადებინა მომხდარის შესახებ, ი. პ-მა თანაქონი ჩაქუჩი რამდენჯერმე ჩაარტყა ა-ას სახისა და თავის არეში, რამაც მისი ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება გამოიწვია, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 აგვისტოს განაჩენით:

ი. პ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

ი. პ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული ნაკლებად მკაც-

რი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ი. პ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 აგვისტოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნიკა ლათიბაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ი. პ-ის ბრალადწარდგენილი კვალიფიკაციით დამნაშავედ ცნობა.

2.4. განაჩენი, ასევე გაასაჩივრა დაცვის მხარემ – მსჯავრდებულ ი. პ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა კ-ამ და მოითხოვა ი. პ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენით, ბრალდების და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 აგვისტოს განაჩენში ი. პ-ის მიმართ, შევიდა ცვლილება.

ი. პ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველ ნაწილსა და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

ი. პ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის და მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ი. პ-ი გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული რეალური სასჯელისაგან.

საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის და მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შეუმცირდა ერთი მეექვსედით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წელი და 11 თვე.

3.2. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკუ-

რორმა ნიკა ლათიბაშვილმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ი. პ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით დამნაშავედ ცნობა და მისთვის კანონიერი სასჯელის განსაზღვრა.

3.3. განაჩენი, ასევე გაასაჩივრა მსჯავრდებულ ი. პ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა კ-ამ, რომელმაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვა ი. პ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაცია.

4. კასატორთა არგუმენტები:

4.1. დაცვის მხარის პოზიციით, ი. პ-ი უნდა გამართლდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რადგან ბრალდების მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა ი. პ-ის მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას. სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება, დაზარალებულ ა-ას ჩვენება, რომელიც წინააღმდეგობრივი და არასანდოა. დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი და ი. პ-ის ამოცნობის ოქმი ყალბია. ამასთან, არ დადგენილა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის ის ფაქტი, თუ ვინ მიიყვანა კლინიკაში დაზარალებული. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილია, ი. პ-ის მიერ ა-ასთვის მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენების ფაქტი.

4.2. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ი. პ-ის ქმედებას, ვინაიდან საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურდა მის მიერ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმა, ჩადენილი ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით. ბრალდების მხარის პოზიციით სახეზეა ყაჩაღობის შემადგენელი ყველა ელემენტი: თავდასხმა, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით (ჩაქუჩის სახის და თავის არეში ჩარტყმა), სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი (ა-ას ჩანთის და მასში მოთავსებული ნივთების წართმევა და მათი დაბრუნების მოთხოვნაზე უარი). მისაკუთრების მიზანი გულისხმობს მფლობელობას, სარგებლობას და განკარგვას, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანია განკარგვის უფლება. დაუფლებითი დანაშაულის ამსრულებლის მიზანია მართლსაწინააღმდეგოდ და-

უფლებული ნივთი განკარგოს, როგორც საკუთარი და შესაბამისად, დაუფლება მისაკუთრების მიზნით დამთავრებულია მაშინ, როდესაც დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი; ნივთის ფიზიკურად დაუფლება არ ნიშნავს მისაკუთრების მიზნის პრაქტიკულ რეალიზაციას. მოცემულ შემთხვევაში, კი ი. პ-ი საბოლოოდ არ დაუფლებია ა-ას კუთვნილი ნივთებს, რის გამოც ძალადობა გამოიყენა მისი წინააღმდეგობის დათრგუნვის მიზნით.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეების საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შემდეგ საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. პ-მა ჩაიდინა ძარცვა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგით:

5.3. 2024 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, თ... მიმდებარედ გაჩერებულ „ტოიოტა პრიუსი“-ს ფირმის ავტომობილში (სახელმწიფო ნომერი – ...), ი. პ-მა ა-ას ხელიდან გამოგლიჯა და მისაკუთრა მისივე კუთვნილი ხელჩანთა, მასში მოთავსებული „რედმი ა20“ ფირმის მობილური ტელეფონით და 600 ლარით.

5.4. 2024 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, თ... მიმდებარედ გაჩერებულ „ტოიოტა პრიუსი“-ს ფირმის ავტომობილში (სახელმწიფო ნომერი – ...), ი. პ-მა ა-ას ხელიდან გამოგლიჯა და მისაკუთრა მისივე კუთვნილი ხელჩანთა მასში მოთავსებული „რედმი ა20“ ფირმის მობილური ტელეფონით და 600 ლარით. ა-ას კუთვნილი ნივთებისა და ფულადი თანხის მისაკუთრების შემდეგ, განხორციელებული ძარცვის დაფარვისა და დაშინების მიზნით, რათა ა-ას სამართალდამცავ ორგანოებში არ განეცხადებინა მომხდარის შესახებ, ი. პ-მა თანნაქონი ჩაქუჩი რამდენჯერმე ჩაარტყა მას სახისა და თავის არეში, რამაც მისი ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება გამოიწვია, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

5.5. სასამართლო ფაქტების დადგენისას ხელმძღვანელობს საქარ-

თველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით – საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში და მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში: საქართველოს სსსკ-ის) მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კი ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. ამდენად, წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აღწერა (როგორ გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის №230აპ-13 განაჩენი).

5.6. სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და ფაქტების სწორად დადგენა სასამართლოს პირდაპირი ვალდებულებაა, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ბრალდების უცვლელობის პრინციპი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ქმედების გადაკვალიფიცირება დაცვისთვის წინასწარ განჭვრეტადია, როდესაც ქმედება ბრალდების ორგანული შემადგენელი ელემენტია (დე სალვადორ ტორესი ესპანეთის წინააღმდეგ (*De Salvador Torres v. Spain*), განაცხადი no. 21525/93, ადამიანის უფლებათა ევროპული 49 სასამართლოს 1996 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 33; იუჰა ნუუტინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Juha Nuutinen v. Finland*), განაცხადი no. 45830/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 32).

5.7. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ი. პ.-ს ბრალი დაედო ყაჩაღობაში (თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით), რაც მაკვალიფიცირებელ ნიშნად არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან ზიანს. აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში ბრალდების შესახებ დადგენილებაში დეტალურადაა მითითებული დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის შესახებ,

რისი გათვალისწინებითაც ქმედების ძარცვით კვალიფიკაციისას საჭიროა მაკვალიფიცირებელი ნიშნის (მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანი) მითითება, რაც შეფასების გარეშე ვერ დარჩება, რადგან ბრალდების შემადგენელ ორგანულ ელემენტს წარმოადგენს.

5.8. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნას, რომ „საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში“, აგრეთვე – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ „კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს არ გამოიყენოს და უგულვებლყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს“ „შეჯიბრებითობის პრინციპი ... არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე; „შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება).

5.9. ამდენად, საკასაციო პალატა იმსჯელებს, როგორც დადგენილ კვალიფიკაციაზე, ასევე დაცვის და ბრალდების მხარეების საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე.

5.10. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული დაცვის მხარის პოზიცია, რომ დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები არის ურთიერთგამომრიცხავი, რის გამოც, ისინი არ უნდა გაეზიარებინა სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში, პალატას არ გააჩნია საფუძველი საეჭვოდ მიიჩნიოს მათი ჩვენებები, რადგან მსჯავრდებულის მიმართ არ ვლინდება რაიმე დაინტერესების არსებობა. ამასთან, შესაძლოა დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებში არის გარკვეული ხასიათის ცდომილებები, თუმცა არა იმ შინაარსის, რაც მათი ჩვენებების გაუზიარებლობის საფუძველი გახდებოდა. მათ მიერ მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანთან დაკავშირებით, არსებითად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს. საგულისხმოა, რომ საგამოძიებო

მოქმედებების ჩატარებიდან სასამართლოში ჩვენებების მიცემამდე გავიდა რამდენიმე თვე, რის გამოც, სრულიად შესაძლებელია მათ არ ახსოვდეთ გარკვეული დეტალები.

5.11. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ი. პ-ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში გამართლების შესახებ და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ამომწურავად არის მითითებული იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც სარწმუნოდ დადგინდა მისთვის მსჯავრდებურობის დადგენილი დანაშაულების ჩადენა, რომლის საპირისპიროს მტკიცება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული და უდავოდ ცნობილი ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, კერძოდ: დაზარალებულ ა-ას, მოწმეების: ვ-ის, ო-ის ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით, თ... მდებარე შპს „მ...“-დან გამოთხოვლი, ადმინისტრაციულ შენობაზე დამონტაჟებული გარე პერიმეტრის საკონტროლო ვიდეოკამერის ჩანაწერების დათვალიერების ოქმით, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის №... ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

5.12. მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულ ა-ას ჩვენებების საექვოდ მიჩნევის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან მან დანვრილებით, დეტალურად და დამაჯერებლად გადმოსცა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, საქმეში არ გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც სასამართლოს დაზარალებულის მიკერძოებასა და დაინტერესებაში დაარწმუნებდა. გარდა ამისა, მისი ჩვენება სრულად თანხვდება მოწმეთა ჩვენებებსა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

5.13. ა-ას ჩვენებით დადგენილია, რომ ექვსი წელია ცხოვრობს ს-ში და სექსმუშაკია. 2024 წლის 5 იანვარს, იმყოფებოდა თ... რაიონში. გვიან ღამით, უკვე 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, გაუჩერა თეთრი ფერის ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა დაახლოებით 50-55 წლის სათვალისანი, მელოტი მამაკაცი. აღნიშნულ მამაკაცს შეუთანხმდა 50 ლარის სანაცვლოდ სქესობრივი ურთიერთობის დამყარებაზე და ჩაუჯდა უკანა სავარძელზე. მამაკაცმა ავტომანქანა იქვე ახლოს გააჩერა, ე.წ. ახალ ავტოსამრეცხაოსთან, გადავიდა უკანა სავარძელზე და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ, ავტომანქანის მძღოლმა მას წაართვა თანაქონი მობილური ტელეფონი და ჩანთა, რომელშიც ედო 600 ლარი. მისივე გან-

მარტებით, ხელჩანთაში გადახდილი ჰქონდა 25 ლარი, ხოლო მობილური ტელეფონი შეძენილი ჰქონდა დაახლოებით 3 თვის წინ 280 ლარად. ტელეფონისა და ჩანთის წართმევის შემდეგ დაზარალებული ევაჯგურებოდა მამაკაცს, სთხოვდა კუთვნილი ნივთების დაბრუნებას, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ, ავტომანქანის მძღოლმა მას უთხრა, რომ მომხდარის შესახებ პოლიციისათვის არ განეცხადებინა, რასაც შიშის გამო დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, მამაკაცმა მისი სავარძლის გვერდით არსებული სივრციდან ამოიღო მცირე ზომის ჩაქუჩი, რომელიც 4-5 ან მეტჯერ დაარტყა თავის არეში, რა დროსაც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ტკივილი და ნამოუვიდა სისხლი. სისხლის მოსაწმენდად, ავტომანქანის მძღოლი გადავიდა ავტომანქანიდან და აპირებდა საბარგულიდან წყლის ამოღებას, რა დროსაც დაზარალებულმა იხელთა დრო, გადმოვიდა ავტომანქანიდან და გაიქცა. მას ფეხით გამოეკიდა ი. პ.-ი, რომელიც რუსულად უყვიროდა, რომ პოლიციაში არ განეცხადებინა მომხდარი ფაქტი. იგი ცდილობდა გამვლელი ავტომანქანების გაჩერებას, თუმცა მძღოლები არ აჩერებდნენ. საბოლოოდ, გაუჩერა ერთმა ტაქსმა, რომელმაც იგი უფასოდ მიიყვანა საავადმყოფოში, სადაც გაუწიეს სათანადო დახმარება. საავადმყოფოდან წამოსვლის შემდეგ მივიდა პოლიციაში, სადაც თარჯიმნისა და გარეშე პირის დახმარებით დაწერა განცხადება, მის მიმართ განხორციელებული დანაშაულის შესახებ. მისი მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები.

5.14. დაზარალებულ ა-ას მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამყარებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ა-ამ მიუთითა თ... მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ადგილზე და აღნიშნა, რომ სწორედ ამ ადგილას, 2024 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, ჩაუჯდა თეთრი ფერის „ტოიოტა პრიუსის“ მარკის ავტომანქანაში (სახ. ნომერი – ...) მისთვის უცნობ მამაკაცს. ამ ადგილზე განთავსებულია შენობა, რომელიც აღჭურვილია გარე პერიმეტრის საკონტროლო ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობით. ამის შემდეგ, ა-ამ მიუთითა რა ადგილას გადასცა ავტომანქანის მძღოლს ჩანთა, მასში მოთავსებული თანხითა და ტელეფონით, რის შემდეგაც ამ მამაკაცმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, ჩაარტყა მეტალის მცირე ზომის ჩაქუჩი თავის არეში.

5.15. საგამოძიებო ექსპერიმენტში მითითებული გარემოებები ასევე დასტურდება თ-ს მდებარე შპს „მ...“-დან გამოთხოვილი, ადმინისტრაციულ შენობაზე დამონტაჟებული გარე პერიმეტრის საკონტროლო ვიდეოკამერის ჩანაწერების დათვალიერების ოქმით. კერძოდ, 01-06-2024 01:04:04 საათზე, კადრში ჩნდება ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც ტანთ აცვია ღია ფერის ქურთუკი, თავზე ახურავს ღია ფე-

რის ქუდი, აცია მუქი ფერის შარვალი და ფეხზე აცვია ღია ფერის ფესაცმელი. აღნიშნულ პიროვნება ა-ას განმარტებით, გახლავთ თავად. 01-06-2024 01:04:25 საათზე, ვიდეოკამერის კადრში ჩნდება მოთეთრო ფერის „ტოიოტა პრიუსის“ მარკა/მოდელის ავტომანქანა, რომელიც ჩერდება და ა-ა ჯდება ავტომანქანის უკანა მარჯვენა კარიდან უკანა სავარძლის მარჯვენა მხარეს, ხურავს კარებს და ავტომანქანა მიემართება თ-ს მიმართულებით.

5.16. 2024 წლის 6 იანვარს, დათვალიერებული იქნა „ტოიოტა პრიუსის“ ავტომანქანა და დადგინდა, რომ ავტომანქანის უკანა მარჯვენა კარების გარე გამღებ სახელურს აღენიშნებოდა მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები; ასევე კარების გამღები სახელურის ზედაპირზე აღინიშნებოდა მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები; ანალოგიური ლაქები აღინიშნებოდა უკანა მარჯვენა კარის საფარის ზედაპირზე. ავტომანქანის უკანა სავარძლის შალითა იყო არეულ მდგომარეობაში. უკანა სავარძლის შალითას აღენიშნებოდა მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები.

5.17. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ პაკეტში, წარწერით: ...ანანმენდები (უკანა მარცხენა კარის გარე სახელურიდან, ...უკანა მარცხენა კარის შიდა სახელურიდან, ...საჭის ცენტრალური პანელიდან, ...საჭის რკალიდან და ...სიჩქარის გადამრთველის სახელურის ზედაპირიდან) არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილები შეერეულია, რომლის მაჟორული წილი ეკუთვნის ი. პ-ს. პაკეტში, წარწერით: ...მოწითალო ფერის ლაქის ანანმენდი მოთავსებულ ანანმენდებზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომელიც ეკუთვნის ა-ას. პაკეტებში, წარწერებით: ...ავტომანქანის უკანა სავარძლის დასაჯდომის შალითა, მოწითალო ფერის ლაქებით ამოღებული ავტომანქანის უკანა სავარძლის დასაჯდომის ზედაპირიდან და ...ავტომანქანის უკანა სავარძლის საზურგის შალითა, ამოღებული ავტომანქანის უკანა სავარძლის საზურგის ზედაპირიდან მოთავსებულ შალითებზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომელიც ეკუთვნის ა-ას. პაკეტში წარწერით: ...მოყვითალო ფერის სვიტერი, რომელიც ეკუთვნის ა-ას, მოთავსებულ სვიტერზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს. გენეტიკური პროფილი და ამავე სვიტერზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის ა-ას.

5.18. შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კინოლოგიის სამსახურის 2024 წლის 8 თებერვლის №... ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სისხლის სამართლის №... საქმეზე,

2024 წლის 6 იანვარს, ქ. თ... მიმდებარედ გაჩერებული ავტომანქანა „ტოიოტა პრიუსი“-დან (სახ. ნომრით ...) ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები ვარგისია პიროვნების იდენტიფიკაციისათვის და იდენტურია ბრალდებულ ი. პ-ისაგან (დაბადებული ... წელს, პ/ნ. ...) და დაზარალებულ ა-საგან (დაბადებული ... წელს, პასპორტის ნომერი ...) აღებული სუნის ნიმუშების.

5.19. ფოტოსურათით ამოცნობის ოქმის თანახმად, 2024 წლის 8 იანვარს, ა-ამ ამოსაცნობად წარდგენილი ოთხი ფოტოსურათიდან ამოიცნო №1 ფოტოზე გამოსახული პირი და განაცხადა, რომ 2024 წლის 6 იანვარს სწორედ აღნიშნულმა პირმა, გასტაცა მისივე კუთვნილი ხელჩანთა, მობილური ტელეფონი და ფული, ასევე მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

5.20. სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 5 თებერვლის №... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი შ.პ.ს. „გ“-ს სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი №...ის და ამავე კლინიკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ჩანაწერების მიხედვით, ა-ა აღნიშნულ კლინიკაში მოუთავსებით 06.01.2024წ. 03:25სთ-ზე. მას დაუდგინდა დიაგნოზი: სკალპის ღია ჭრილობა, ლოყისა და საფეთქელ-ქვედა ყბის არის ღია ჭრილობა. აღნიშნული დოკუმენტაციის მიხედვით, პაციენტს აღენიშნებოდა სისხლმდენი ჭრილობები შუბლისა და მარცხნივ ყვრიმალის არეში. 08.01.2024წ-ს, ა-ას პირადი შემონმებისას, სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები სისხლნაჟღენთის, ნაჭდევების, უსწორო კიდეებიანი ზედაპირული ჭრილობებისა და ქირურგიულად დამუშავებული – გაკერილი ჭრილობების სახით. დაზიანებები სისხლნაჟღენთის, ნაჭდევებისა და უსწორო კიდეებიანი ჭრილობების სახით – განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანებები გაკერილი-ქირურგიულად დამუშავებული ჭრილობების სახით იზოლირებულად აღებული მიეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. მიმყენებელი საგნის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციებში ჭრილობების მორფოლოგიური სურათი აღწერილი არ არის, ხოლო პირადი შემონმებისას ჭრილობები არის ქირურგიულად დამუშავებული – გაკერილი. დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ 06.01.2024 წ. თარიღს.

5.21. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, დაზარალებულ ა-ას მიერ აღწერილი ი. პ-ის მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც საქმეში

წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად საკმარისია დასკვნისათვის, რომ ი. პ-მა ჩაიდინა ჯანმრთელებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

5.22. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს პროკურორის მითითებას, რომ მსჯავრდებულმა ი. პ-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ვინაიდან საქმის განხილვის შედეგად არ გამოიკვეთა ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირების სავალდებულო ნიშანი – თავდასხმა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით.

5.23. საკასაციო პალატამ არაერთ გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია თავდასხმისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, ჩადენილი უნდა იყოს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ყაჩაღობის დროს პირი თავდასხმის გამოყენებით ზემოქმედებს დაზარალებულზე, რათა სხვის მოძრავ ნივთს დაუფლოს. რაც შეეხება ძარცვას, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის აშკარად, სხვა პირთათვის ხილულად ჩადენა და მას თავდასხმის ელემენტი არ გააჩნია.

5.24. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაზარალებულზე თავდასხმა წინ უძღოდეს ნივთის დაუფლების მომენტს. იმ პირობებში, კი როდესაც ი. პ-ის მიერ დაზარალებულის კუთვნილი ტელეფონის, ხელჩანთისა და ფულის დაუფლება მოხდა აშკარად, ხელიდან წართმევის გზით, რასაც წინ არ უსწრებდა ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირების მოთხოვნა – საფუძველსმოკლებულია.

5.25. სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია, რომ მართალია ი. პ-ი დაუფლებული იყო ა. მ-ს ნივთებს, თუმცა არ ჰქონდა მისი განკარგვის შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან თავად დაზარალებულის ჩვენებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა წაართვა ჩანთა და არ დაუბრუნა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ისინი იმყოფებოდნენ მსჯავრებულის მფლობელობაში არსებულ მანქანაში. რაც შეეხება დაზარალებულის ნივთების დაუფლების შემდეგ ი. პ-ის მიერ განხორციელებულ ქმედებას – აღნიშნული მიმართული იყო დაზარალებულის ნების დათრგუნვისკენ, რათა მას არ მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რაც სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მხედველობაში მი-

ლებით წარმოადგენს – სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას.

5.26. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დასჯადია ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. დაზარალებულის განმარტებით, ი. პ-ი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და მისი საკუთარი მისი კუთვნილი ხელჩანთა, მასში მოთავსებული „რედმი ა20“ ფირმის მობილური ტელეფონით და 600 ლარით. საკასაციო პალატის შეფასებით, ა. მ-ს ჩვენება არის დამაჯერებელი და თანმიმდევრული. მან სასამართლო სხდომაზე როგორც თავისუფალი თხრობისას, ისე მხარეთა შეკითხვებზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, ი. პ-ის მიერ დაუფლებული ნივთების თაობაზე, რაც სრულად შეესაბამება გამოძიების დროს მის განმარტებებს.

5.27. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენში და ი. პ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს სასამართლოს მიერ დანაშაულისა და დამნაშავის შეფასებას, სასჯელი კი არის კანონის რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე. შესაბამისად, სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.3. საკასაციო სასამართლო აფასებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის მოტივს, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათს და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს, პირად და ეკონომიკურ პირობებს და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვა-

ლისწინებით, მიაჩნია, რომ ი. პ-ს სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

6.4. ამასთან, ვინაიდან ი. პ-მა მსჯავრდებულად დასაშვებობა ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი.

6.5. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

6.6. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა დაზარალებულ ა-სთან კონსულტაციის ოქმი – „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის გამოყენების შესახებ, რომლის თანახმად, დაზარალებული თანახმაა მსჯავრდებულ ი. პ-ის მიმართ გავრცელდეს ზემოაღნიშნული გათვალისწინებული შეღავათები.

6.7. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ არ ეთანხმება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას მსჯავრდებულ ი. პ-ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ და მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან და მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ვინაიდან, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტისათვის ი. პ-ი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იყო მსჯავრდებული, ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას ი. პ-ი უნდა გაეთავისუფლებინა სასჯელისაგან ან და მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირებინა ან შეიცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით, „ამნისტიის შესახებ“ კანონის ფარგლებში.

6.8. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გამოძიების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ამნისტიის აქტი. კერძოდ, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, რაც გამოძიების ეტაპზე პროკურორის დისკრეციაა.

6.9. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი ამნისტიის აქტის საფუძველზე დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების ანდა მისთვის დანიშნული სასჯელის შემცირების ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საფუძველები და ეტაპები.

6.10. შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღებით, ი. პ-ი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელისაგან.

6.11. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

6.12. შესაბამისად, ი. პ-ს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ამავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტი-

ის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნიკა ლათიბაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ი. პ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის კ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 28 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ი. პ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილზე;

ი. პ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ი. პ-ი გათავისუფლდეს ამ მუხლით დანიშნული სასჯელისაგან;

საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 11 თვით;

5. ი. პ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 12 იანვრიდან;

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ი. პ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

7. საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადანაცვლეს შემდეგნაირად:

დაზარალებულ ა-საგან ამოღებული ტანსაცმელი – დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

„ტოიოტა პრიუსი“-ს მარკის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით –) და ავტომანქანიდან ამოღებული სავარძლის შალითები – დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

ი. პ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული: პასპორტი, მონეტები, საფულე, მასში მოთავსებული 50 ლარიანი კუპიურა, ბარათები, პირადობის

მონმობა, ავტომანქანის სარეგისტრაციო მონმობა, ბანკის ქვითრები, ფურცლები, ტელეფონის სილიკონის ჩასადები, სიმ ბარათი და „ჰუა-ვეი“-ს ფირმის მობილური ტელეფონი – დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

ავტომანქანის დათვალიერებისას ამოღებული: მიკრონაწილაკები, სუნის ნიმუშები, მონითალო ფერის ლაქები, ბიოლოგიური ნიმუშები; ა-საგან აღებული: სუნისა და ნერწყვის ნიმუშები; ი. პ-საგან აღებული: სუნისა და ნერწყვის ნიმუშები – განადგურდეს;

დისკები და ავტომანქანის იჯარის ხელშეკრულება – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№6აპ-25

9 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დავით მესტიურიშვილისა და მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

1.1. 2023 წლის 10 ივლისს, თ-ი, სოფელ ფ-ი, რ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარედ, ო. მ-ის საცხოვრებელ სახლთან, ო. მ-მა გ. გ-ე 600 ლარად გაასალა მის მიერ მანამდე უკანონოდ შეძენილი და შენახული, 0.955 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც იმავე დღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს.

1.2. 2023 წლის 21 ივლისს, თ-ი, სოფელ ფ-ი, რ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარედ, ო. მ-ის საცხოვრებელ სახლთან, ო. მ-მა გ. გ-ე 600 ლარად გაასალა მის მიერ მანამდე უკანონოდ შეძენილი და შენახული, 0.544 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც იმავე დღეს ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მაისის განაჩენით:

ო. მ-ი, დაბადებული ... წლის ... მაისს, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ

და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

ო. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

ო. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

ო. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა – 10 000 ლარი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 6 წლითა და ჯარიმა – 10000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური სარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები; ხოლო 10 წლით ჩამოერთვა: საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

ო. მ-ს სასჯელი აეთვალა დაკავებიდან – 2023 წლის 5 სექტემბრიდან.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

3.1. ო. მ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გ. გ-თან შეთანხმებით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საიდანაც შეთანხმების თანახმად, 600 ლარის პროპორციული წილი, 0,544 გრამი „ჰეროინი“, გადასცა გ. გ-ს 2023 წლის 21 ივლისს, თ-ი, სოფელ ფ-ი, რ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარედ საკუთარ საცხოვრებელ სახლთან. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებ-

მა ამოიღეს გ. გ-საგან.

3.2. სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით, უტყუარად ვერ დადასტურდა 2023 წლის 10 ივლისს, თ-ი, სოფელ ფ-ი, რ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარედ ო. მ-ის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალება 0,955 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ გასაღების ფაქტი გ. გ-ე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით:

მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დავით მესტვირიშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მაისის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ, ო. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

ო. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი ო. მ-ს შეუმცირდა 1/6-ით და საბოლოოდ, ო. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა – 10000 ლარი და საბოლოოდ, განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და ჯარიმა – 10000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური სარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები; ხოლო 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

ო. მ-ს სასჯელი აეთვალა დაკავებიდან – 2023 წლის 5 სექტემბრიდან.

5. კასატორი – პროკურორი დავით მესტირიშვილი – ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილებას, ო. მ-ის დამნაშავედ ცნობას ბრალდების ყველა ეპიზოდში და კანონით დადგენილი წესით მისთვის სამართლიანი, ადეკვატური სასჯელის განსაზღვრას;

5.1. საკასაციო საჩივრის მიხედვით, ორივე ინსტანციის სასამართლომ ცალმხრივად შეაფასა ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება, ასევე საგამოძიებო მოქმედებები, ექსპერტიზის დასკვნები და მოწმეთა ჩვენებები. საქმეში სხვა ალტერნატიული პირი, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი არ იკვეთება, შესაბამისად, ვინ უნდა ყოფილიყო გ. გ-ე ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი, თუ არა – ო. მ-ი.

5.2. პროკურორმა ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან მიმართებით, განმარტა, რომ ოპერატიული-ტექნიკური სააგენტოს ის თანამშრომელი, რომელიც მსგავს სიტუაციაში ჩამწერი მოწყობილობის ჩართვა-გამორთვას უზრუნველყოფს, ბრალდების მხარე ვერ დაკითხავდა, ვინაიდან, იგი საიდუმლო თანამშრომელია.

6. კასატორი – მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი დ. მ-ე – ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და ო. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას;

6.1. საკასაციო საჩივრის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ემყარება მხოლოდ ერთი მოწმის გ. გ-ის არასანდო და არაღამაჯერებელ ჩვენებას, ასევე ბრალდებულის საბოლოო სიტყვაში გაუღერებულ ინფორმაციას. ადვოკატი არ ეთანხმება საბოლოო სიტყვაში გაცხადებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაცვისა

და ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორ დავით მესტიერიშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება:

2. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ო. მ-მა დანაშაული ჩაიდინა 2023 წლის 10 ივლისსა და ამავე წლის 21 ივლისს (ერთმანეთის ანალოგიურად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებები). სააპელაციო სასამართლომ მათგან დამნაშავედ ო. მ-ი მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი) ცნო. თავის მხრივ, ბრალდების მხარე ითხოვს სრულად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო დაცვის მხარე კი – სრულად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

3. საკასაციო პალატა 2023 წლის 10 ივლისისა და 21 ივლისის ეპიზოდებს მიმოიხილავს ცალ-ცალკე და შეაფასებს, მოცემულ ეპიზოდებში წარმოდგენილი მტკიცებულებები რამდენად საკმარისია პირის გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით დამნაშავედ ცნობისათვის.

4. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება:

საკასაციო სასამართლო ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით ვერ ადასტურებს ო. მ-ის მიერ გ. გ-ე 2023 წლის 10 ივლისს 0,955 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა, შენახვასა და მის უკანონოდ გასაღებას; კერძოდ, მოცემულ ეპიზოდთან მიმართებით, გ. გ-მა მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ:

სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვამდე ერთი თვით ადრე, მან გაიცნო ბრალდებული ო. მ-ი, რომლისგანაც შეიძინა ნარკოტიკული საშუალება. გ. გ-მა 2023 წლის 19 ივნისს განცხადებით მიმართა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, რათა ემხილებინა ო. მ-ი. 2023 წლის 10 ივლისს, გ. გ-ი მოდულის შენობაში აღიჭურვა კამერით და ო. მ-ისგან შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შემდეგ გადასცა გამომძიებელს. მოწმის ჩვენებით, ნარკოტიკული სა-

შუალეზა გასაღდა პოლიციის თანამშრომლის გ. ჟ-ს თვალთახედვის არე-ში. 2023 წლის 10 ივლისს ბრალდებულსა და მოწმეს არ უსაუბრიათ, თუმცა გ. გ-მა სახეზე დაინახა იგი.

მოწმე გამომძიებლებმა – გ. ხ-მ და გ. კ-მ – სასამართლოში დაკითხვისას დაადასტურეს მათ მიერ ჩატარებული საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების სისწორე და კანონთან შესაბამისობა.

ამასთან, გამომძიებელმა გ. კ-მ დამატებით აღნიშნა, რომ 2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი მხოლოდ გ. გ-ის მიერ აღჭურვილმა კამერამ გადაიღო, ხოლო 2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი ოპერატიული სამსახურის მიერ დამონტაჟებულმა კამერამ გადაიღო უკეთესი რაკურსით.

დეტექტივმა გ. ჟ-მ დამატებით განმარტა, რომ 2023 წლის 10 ივლისსა და 21 ივლისს გ. გ-თან ერთად დანიშნულების ადგილას მივიდა და შემდეგ ვიზუალურად აკონტროლებდა. იგი უწყვეტად უყურებდა, თუ როგორ გადაწოდა თანხა ჭიშკრის გვერდით მყოფ პირს, ბლოკით აშენებულ ღობეზე, ხოლო მეორე მხრიდან კი გადმოაწოდეს ნარკოტიკული საშუალება. მოწმის ჩვენებით, ბლოკის ღობის მეორე მხარეს მდგომი ადამიანი მას არ დაუნახავს. ამის შემდეგ, მან ჩაისვა გ. გ-ი ავტომანქანაში, რ-ს გზატკეცილზე კი გამომძიებელმა ამოიღო აღნიშნული ნივთიერება.

ამოღების ოქმის თანახმად, 2023 წლის 10 ივლისს, გამომძიებელმა გ. კ-ა გ. გ-ისგან ამოიღო მოიასამნისფრო პოლიეთილენის თავმოწვარ პარკის ნაჭრებში მოთავსებული მუქი, გაურკვეველი ნივთიერება.

საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2023 წლის 13 ივლისის ექსპერტის №.../ქრ დასკვნით გაირკვა, რომ:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იასამნისფერი პოლიეთილენის მილღობილთავიან ნაჭერში ერთ ცალად დაფასოებული მოყავისფრო, ფხვნილისებური ნივთიერება, წონით ნოტიო მდგომარეობაში – 3,83 გრამი და წონით გამოშრობის შემდეგ – 2,52 გრამი, წარმოადგენს კუსტარულად მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობაა – 0,955 გრამი.

2023 წლის 10 ივლისს, 19:04:44 სთ-დან 19:05:41 სთ-მდე, თ-ი, სოფელ ფ-ი, მ. რ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, გ. გ-ის (პ...) და მეორე მხრივ, ო. მ-ის (პ...) მიმართ, ფარული საგამომძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალით დგინდება, რომ:

მამაკაცი /მ/ გადადის მანქანიდან, ხელში რაღაც უჭირავს. სირბილით უახლოვდება სახლის ჭიშკარს და ეძახის ვილაცას აზერბაიჯანულ ენაზე.

მ-„სად ხარ, სად?“ ეზოს მხრიდან ისმის ვილაც მამაკაცის /მ²/ სტვენის ხმა. მამაკაცი /მ/ გადაყოფს ხელს ღობეზე და იქ მყოფ, სავარაუ-

დოდ, მამაკაც /მ²-ს/ აწვდის რაღაცას. კადრში გარკვევით არ ჩანს ნივთის გადაცემის მომენტი.

მამაკაცი /მ/ გამოვლის უკან, ჯდება მანქანაში.

საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2023 წლის 9 ნოემბრის №... ექსპერტიზის დასკვნითი ნაწილი პირის იდენტიფიკაციის ნაწილი, შეეხება მხოლოდ ექსპერტიზაზე წარდგენილ №2 დისკზე არსებულ ვიდეოგრაფებს;

ამავე დასკვნის გამოკვლევით ნაწილში მითითებულია, რომ: 10.07.2023 წლის დისკს მიენიჭა №1; ხოლო, თავის მხრივ, №1 დისკის შინაარსთან მიმართებით, ანალოგიურად, გამოკვლევით ნაწილში აღნიშნულია, რომ მასში გამოძიებისათვის საინტერესო პიროვნების იერსახის გამოსახულება არ ფიქსირდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებულმა ო. მ-მა საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას განმარტა, რომ 2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდში ის არ მონაწილეობს.

პროკურორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში სხვა პიროვნება არ გამოკვეთილა და შესაბამისად, გამსაღებელი პირი ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა – ო. მ-ი.

საკასაციო სასამართლო, ბრალდების მოცემულ ეპიზოდში ვერ გაიზიარებს პროკურორის პოზიციას და სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ბრალდების დასადასტურებლად წარმოდგენილია მხოლოდ გ. გ-ის ჩვენება და საქმის სხვა მტკიცებულებები, პირდაპირი ფორმით არ მიუთითებს უშუალოდ ო. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას. როგორც აღინიშნა, ამ ეპიზოდში ფარული საგამოძიებო მოქმედებით არ ჩანს უშუალოდ ო. მ-ის მიერ გ. გ-სათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტი. 2023 წლის 10 ივლისის კრების ჩანაწერში ცალსახად აღნიშნულია, რომ კადრში გარკვევით არ ჩანს ნივთის გადაცემის მომენტი. ამასთან, მონ-მე გ. ჟ., რომელიც ვიზუალურად აკონტროლებდა ზემოაღნიშნულ დღეს განვითარებულ მოვლენებს, მიუთითებს, რომ მას ბლოკის ლობის მეორე მხარეს მდგომი პიროვნება არ დაუხანავს. შესაბამისად, წარმოდგენილი მტკიცებულებები ო. მ-ის ბრალეულობის ნაწილში არც აშკარაა და არც – თანხვედნილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი 2023 წლის 10 ივლისის ბრალდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან პროკურორს, ამ ეპიზოდთან მიმართებით, არ წარმოუდგენია მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა, დაადასტურებდა ო. მ-ის მი-

ერნარკოტიკული დანაშაულის ჩადენას.

5. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება:

ბრალდების 2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდში ო. მ-ი გამტყუნებულია მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, რომელთან დაკავშირებითაც, დაცვის მხარე ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ო. მ-ის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, რომელზეც ბრალდების მხარე ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების ზემოხსენებულ ეპიზოდში დაცვის მხარის საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. გ-მა მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ 2023 წლის 21 ივლისს იგი კვლავ აღიჭურვა ვიდეოკამერით და დეტექტივ გ. ჟ-სთან ერთად, მივიდა ფ-ი, რ-ს ქუჩაზე. მოწმემ დაიძახა: – „გრ გრ,“ ჭიშკრის ბლოკის ამონგრეული კედლიდან ბრალდებულს მიაწოდა 600 ლარი, ხოლო მან გამოაწოდა იასამნისფერ პაკეტში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც რ-ს გზატკეცილზე მისგან ამოიღო გამომძიებელმა გ. კ-მ. მოწმის ჩვენებით, ანალოგიურად, ნარკოტიკული საშუალება გასაღდა პოლიციის თანამშრომლის თვალთახედვის არეში. 2023 წლის 21 ივლისს გამომძიებელმა მოწმეს უთხრა, რომ 2021 წლის 21 ივლისის ეპიზოდი, გ-ს ტანზე დამაგრებული კამერის გარდა, ასევე გადაიღო ეზოსთან განთავსებულმა კამერამ.

ამოღების ოქმის თანახმად, 2023 წლის 21 ივლისს, გამომძიებელმა გ. კ-მ გ. გ-სგან ამოიღო მოიასამნისფრო პოლიეთილენის თავმომწვარი პარკის ნაჭერში მოთავსებული, მუქი, გაურკვეველი ნივთიერება.

საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2023 წლის 24 ივლისის ექსპერტიზის №... დასკვნით ირკვევა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იასამნისფერ პოლიეთილენის ნაჭერში შეხვეული ყავისფერი ნოტიო ნივთიერება, გამოშრობის შემდგომ, გამომშრალი ფხვნილის სახით, წონით – 2,83 გრამი შეიცავს კუსტარული ნესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, რაოდენობით – 0,544 გრამს.

დეტექტივმა გ. ჟ-მ განმარტა, რომ 2023 წლის 10 ივლისსა და 21 ივლისს გ. გ-ს ვიზუალურად აკონტროლებდა, კერძოდ, უწყვეტად უყურებდა თუ როგორ გადააწოდა თანხა ჭიშკრის გვერდით მყოფ პირს, ბლოკით აშენებულ ლობეზე, ხოლო მეორე მხრიდან გადმოაწოდეს

ნარკოტიკული საშუალება. მონმის ჩვენებით, ბლოკის ღობის მეორე მხარეს მდგომი პირი არ დაუნახავს. ნარკოტიკის გამოერთმევიდან ამოღებამდე გ. გ-ი მისი თვალთახედვის არეში იყო.

2023 წლის 21 ივლისს, 14:46:56 სთ-დან 16:12:12 სთ-მდე, თ-ი, სოფელ ფ-ი, შ. რ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, გ. გ-ისა და მეორე მხრივ, ო. მ-ის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალით იკვეთება, რომ:

სახლის ჭიშკართან ჩერდება „ტოიოტას“ მარკის ვერცხლისფერი ავტომანქანა, ნომრით: /.../. გადმოდის ახალგაზრდა, კეპიანი მამაკაცი /მ/, ავტომანქანა აგრძელებს მოძრაობას და იქვე ჩერდება. მამაკაცი /მ/ დგება ეზოს ჭიშკართან და ყვირის: – „გრ, გრ!“ შემდეგ უახლოვდება ავტომანქანას და ესაუბრება მძღოლს.

რამდენიმე წუთში ეზოში მორბის ახალგაზრდა, წვერიანი მამაკაცი /მ1/ ლურჯი შორტებით, მიდის კედელთან და ძვრება მასზე.

მამაკაცი /მ/, რომელიც დგას ქუჩის მხარეს, კედლის მეორე მხრიდან, აწვდის რაღაცას მამაკაცს /მ1/; შემდეგ მამაკაცი /მ1/ ასევე რაღაცას აწვდის მამაკაცს მ-ს. მამაკაცი /მ/ მიდის და ჯდება ავტომანქანაში.

მამაკაცი /მ1/ უახლოვდება ჭიშკარს, კეტავს ჭიშკარს და ეზოდან ადევნებს თვალს ავტომანქანას. შემდეგ ბრუნდება იქით, საიდანაც გამორბოდა.

ვიდეოჩანაწერში მამაკაცი /მ/ როდესაც გადმოდის ვერცხლისფერი ავტომობილიდან და დგება სახლის ეზოს ჭიშკართან, მას ხელში აქვს ქალაქის კუპიურები და ყვირის: – „გრ, გრ!“; ჩანაწერის მიხედვით, მამაკაცი /მ/ აწოდებს მამაკაცს /მ1-ს/ კუპიურებს. შემდეგ მამაკაცს /მ-ს/ ხელში უჭირავს პოლიეთილენის შეკვრა, რომელიც მას ასევე უჭირავს ავტომანქანაში დაბრუნებისას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ივნისის განჩინების ფარგლებში, რომლითაც პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქართველოს ოპერატიულ ტექნიკურ-სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებს ნება დაერთოთ: გ. გ-ისა და ო. მ-ის მიმართ ჩატარებინათ ფარული საგამოძიებო მოქმედება „ფარული ვიდეოჩანაწერა ან/და აუდიოჩანაწერა, ფოტოგადაღება“ 2023 წლის 21 ივნისიდან 2023 წლის 18 სექტემბრამდე.

ზემოაღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, როგორც აღი-ნიშნა ჩატარებულია 2023 წლის 21 ივლისს.

ამასთან, ფარული აუდიო/ვიდეოჩანწერის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების №478 ოქმის თანახმად ირკვევა, რომ ზემოხსენებული განჩინების საფუძველზე 2023 წლის 21 ივლისის 14:46:56 სთ-დან 2023 წლის 21 ივლისის 16:12:12 სთ-მდე, თ-ი, სოფელ ფ-ი, შ. რ-ს ქუჩაზე №...-ში და მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, გ. გ-სა და მეორე მხრივ, ო. მ-ის მიმართ ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება „ფარული ვიდეო და აუდიო ჩანწერა.“ ინფორმაცია ჩაიწერა ერთ „DVD-R“ დისკზე. მასალის დამუშავების შედეგად გაფორმდა კრებსი. ოქმში მითითებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს გამოყენებული ტექნიკა.

საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2023 წლის 9 ნოემბრის ექსპერტიზის №... დასკვნით ირკვევა: სს №... საქმესთან დაკავშირებით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დისკებზე არსებულ ვიდეოგრამებს არ აღენიშნება რედაქტირების ან მონტაჟის ნიშნები.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ №2 დისკზე არსებულ ვიდეოგრამებზე, სახელწოდებით: „2023-0721-144657.00300960“, „2023-0721-145158.00300960“, „2023-0721-145658.00300960“, „2023-0721-150159.00300960“ და „2023-0721-160712.00300960“ დაფიქსირებული გამოძიებისათვის საინტერესო პიროვნების იერსახის გამოსახულება, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისია.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ №2 დისკზე არსებული ვიდეოგრამებიდან სახელწოდებით: „2023-0721-144657.00300960“, „2023-0721-145158.00300960“, „2023-0721-145658.00300960“, „2023-0721-150159.00300960“ და „2023-0721-160712.00300960“ – ამოღებულ ფოტოგამოსახულებებსა და ჰაბიტოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში რიცხულ ო. მ-ის (პ...) ფოტოგამოსახულებაზე დაფიქსირებულია ერთი და იგივე პიროვნების იერსახის გამოსახულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებულმა ო. მ-მა საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას, 2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ის და გ. გ-ი ერთად ყიდულობდნენ და მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. ასევე, ბრალდებული და გ. გ-ი ერთმანეთს ეხმარებოდნენ ნარკოტიკული საშუალების ყიდვაში.

სააპელაციო სასამართლო გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც ო. მ-მა განმარტა, ის და გ. გ-ი ერთად ყიდულობდნენ და მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ხოლო გ. გ-მა კი განაცხადა, რომ ის ო. მ-ისაგან იძენდა ნარკოტიკს. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მათი განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ვრცლად იმსჯელა და მიიჩნია, რომ ის იზიარებდა 2023

ნლის 21 ივლისის ფარულ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ჩანაწერებს, თუმცა, მისი მოსაზრებით, ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში აღნიშნული მტკიცებულება დამატებითი სახის გარემოებას არ კვეთდა.

ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მოცემულ ეპიზოდში გარდა მონმის, გ. გ-ის პირდაპირი ჩვენებისა, სხვა მტკიცებულებებითაც, მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალით, დასტურდება ერთი მხრივ, გ. გ-ს მიერ თანხის გადაწოდების, ხოლო მეორე მხრივ, ო. მ-ის მიერ ნივთის გადაცემის ფაქტი. როგორც დეტექტივმა გ. ჟ-მ განმარტა, იგი ვიზუალური კონტროლისას უწყვეტად უყურებდა, თუ როგორ გადაწოდა გ. გ-მა პირს ჯერ თანხა ჭიშკრის გვერდით, ბლოკით აშენებულ ღობეზე, ხოლო მეორე მხრიდან კი მისცეს ნარკოტიკული საშუალება. გ. გ-მა მიუთითა, რომ ბლოკის ამონგრეული კედლიდან ბრალდებულს მიაწოდა 600 ლარი და მან გამოაწოდა იასამნისფერ პაკეტში მოთავსებული, ნარკოტიკული საშუალება, რომელიც რ-ს გზატკეცილზე გამომძიებელმა გ. კ-მ ამოიღო გ. გ-სგან. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადასტურებულია ამოღების ოქმით, ხოლო ექსპერტიზის დასკვნით კი ამოღებული ნივთიერების სახეობა და მისი რაოდენობა (რაც ზევით უკვე იქნა აღწერილი); გ. ჟ-მ აგრეთვე აღნიშნა, რომ ნარკოტიკის გამორთმევიდან, მის ამოღებამდე გ. გ-ი მისი თვალთახედვის არეში იყო.

შესაბამისად, მოცემულ ეპიზოდში უტყუარი ფორმით დასტურდება გ. გ-ის მიერ, კონკრეტული თანხის სანაცვლოდ, უშუალოდ ო. მ-საგან ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენის ფაქტი. საკასაციო სასამართლო დამატებით უთითებს, რომ საქმის მასალებით არ იკვეთება ის გარემოება, რომ ო. მ-ი და გ. გ-ი ერთობლივად მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს და რომ მოხმარებამდე ისინი ნარკოტიკის ნილებს პროპორციულად იყოფდნენ.

ამდენად, წარმოდგენილ ეპიზოდში საქმეზე არსებული, როგორც მონმეთა ჩვენებები, ისე – სხვა, მათ შორის, წერილობითი და ვიდეო მტკიცებულებები ერთმანეთთან თანხვედნილია და მათში ეჭვის შეტანის უტყუარი საფუძველი საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოთხოვნას ო. მ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე, ვინაიდან, ბრალდების მოცემული ეპიზოდი გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენას, შენახვას და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებას.

6. ო. მ-ის მიმართ დანიშნული სასჯელი:

სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზეც, რომლის მიხედვითაც, „აუცილებელია, სასჯელი ადეკვატურად შეესატყვისებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს. იმ პირობებში, როდესაც სასჯელის სიმკაცრე აშკარად აჭარბებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ეჭვქვეშ დგება დანესებული სასჯელისა და მისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული დამოკიდებულება. აშკარად მკაცრი და არაგონივრული სასჯელი ზედმეტად შორდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

განსახილველ შემთხვევაში, გამოკვეთილია განაჩენთა ერთობლიობა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით ო. მ-ი ნასამართლევი გაწივად დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე ვადით, 2025 წლის 1-ელ მაისამდე მოქმედი რედაქცია) არის სამართლიანი და აკმაყოფილებს სასჯელის დანიშვნის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, მოცემულ ნაწილში ო. მ-ის მიმართ მართებულად გავრცელდა საქართველოს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება (1/6-ით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია); როგორ აღინიშნა, ამ შემთხვევაში ო. მ-ი ნასამართლევი საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით, შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდა ამნისტიის კანონის მეორე მუხლის მოქმედება.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ვადით – 12-დან 17 წლამდე 2025 წლის 1-ელ მაისამდე მოქმედი რედაქცია); დანაშაულის რეციდივის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, ო. მ-ს უნდა მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 13 წლით.

რაიმე სხვა გარემოება, რომელიც მიუთითებდა პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან დამძიმებაზე, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში არ გამოკვეთილა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლი გამორიცხავს მოცემული კანონის გავრცელებას პირზე, რომელმაც საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა. შესაბამისად, ამ ნაწილში ო. მ-ის მიმართ დანიშნულ სასჯელზე, ამნისტიის გავრცელების თაობაზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს.

რაც შეეხება განაჩენთა ერთობლიობის ფაქტს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მომართვის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული ჯარიმა 10 000 ლარი (დამატებითი სახის სასჯელი) ო. მ-ს გადახდილი არ აქვს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ჯარიმა – 10 000 ლარი და საბოლოოდ, მას უნდა განესაზღვროს: თავისუფლების აღკვეთა 13 წლითა და ჯარიმა – 10 000 ლარი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული სასჯელით მიიღწევა საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის მიზნები.

7. ამასთან, ვინაიდან ო. მ-ს მსჯავრად შეერაცხა ნარკოტიკული დანაშაულის უკანონოდ გასაღება (დიდი ოდენობით), მას, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უნდა ჩამოერთვას ამავე კანონით დადგენილი უფლებები.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორ დავით მესტვირიშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდთან მიმართებით („ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების ჩამორთმევის შესაბამისი წესის გათვალისწინებით);

9. სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დავით მესტვირიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 31 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.1. ო. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 10 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში;

3.2. ო. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი, 2025 წლის 1-ელ მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.3. ო. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2023 წლის 21 ივლისის ეპიზოდი, 2025 წლის 1-ელ მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის

მე-4 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

3.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ო. მ-ს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა 10 000 ლარი და საბოლოოდ, ო. მ-ს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 13 წლითა და ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარი.

4. ო. მ-ს სასჯელის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან 2023 წლის 5 სექტემბრიდან.

5. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ო. მ-ს 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით: საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები; ხოლო 20 წლით: საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

6. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

ნარკოტიკული ნივთიერება, ნარკოტიკული ნივთიერების შესაფუთი მასალა, ნერწყვის ნიმუში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

ელექტრონული დისკები, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით; მობილური ტელეფონი და მართვის მოწმობა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან ნდობით აღჭურვილ პირს.

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

პირადი ნაწილი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

**გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-
ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის
ჩადენისათვის**

განაჩენი

საქართველოს სახალით

№62აპ-25

3 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვალერი გიორგაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ქ. ნ-ს ბრალად დაედო: განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. 2023 წლის 30 აპრილს, დაახლოებით, 00:30 საათზე, თ.... სოფელ ვ-ში მდებარე რესტორან „ლ-ის“ მიმდებარედ, ქ. ნ-მა მოკვლის განზრახვით, თანნაქონი დანის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენა ჭრილობები დ. ო-ს, მათ შორის: გულმკერდის არეში შემავალი ჭრილობა – მარცხნივ; მარცხენამხრივი ჰემოპნევმოთორაქსი; წელის არეში ღია ჭრილობა – მარცხნივ; მარჯვენა ბარძაყის ღია ჭრილობა. სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, გულმკერდის მარცხენა ნახევარში, უკანა აქსილარულ ხაზზე აღენიშნებოდა: ორი პარალელური, გულმკერდის ღრუში შემავალი ნაკვეთი ჭრილობა; მარცხნივ, წელის არეში ნაკვეთი ჭრილობა და მარჯვენა ბარძაყის ზედა მესამედის ლა-

ტერალორ ზედაპირზე – ნაკვეთი ჭრილობა. აქედან, დაზიანებები: გულმკერდის მარცხენა ნახევარში, ილლიის უკანა ხაზზე არსებული ორი, გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობის სახით, მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხს, ხოლო დაზიანებები: მარცხნივ წელის მიდამოსა და მარჯვენა ბარძაყის ზედა მესამედის ლატერალურ ზედაპირზე არსებული ჭრილობების სახით, მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით. მიღებული დაზიანებების გამო, დ. ო-ს, ქ-ში, ა... ყ...ის კლინიკაში ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო პროცედურები და შეუნარჩუნდა სიცოცხლე.

2. ქ. ნ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით.

3. თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ქ. ნ-ი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

4. თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 7 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ვალერი გიორგაშვილმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ქ. ნ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და – სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 7 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ვალერი გიორგაშვილმა, რომელიც ითხოვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ქ. ნ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით მისთვის ბრალადშერაცხილი დანაშაულის ჩადენისათვის და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით: მოწმეების – ა. მ-ის, ა. ხ-ისა და თ. ე-ის – გამოკითხვის ოქმებით; შემთხვევის ადგილიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერებით; სამედიცინო, ჰაბიტუსკოპიური, ბიოლოგიური, ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექპერტიზების დასკვნებით; ქ. ნ-ის სახლის ჩხრეკის ოქმითა და ამო-

ღებული დანით – უტყუარად დასტურდება მისი ბრალეულობა. სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა ქ. ნ-ის წინააღმდეგობრივი მონათხრობი, რომ სისხლიანი დანა იპოვა, მოეწონა და ამიტომ წაიღო შინ. ქ. ნ-ის ტანსაცმელზე აღმოჩენილ დაზარალებულის სისხლის კვალთან მიმართებით კი, მიიჩნია, რომ ჩხუბის გათვალისწინებით, უტყუარად არ დგინდებოდა, რა ვითარებაში დაისვარა ამოღებული ტანსაცმელი დ. ო-ის სისხლით, მაშინ, როდესაც გარდა მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით მიყენებული ჭრილობებისა, დაზარალებულს სხეულზე სხვა სახის დაზიანება არ გამოვლენია. ეს კი ადასტურებს, რომ დ. ო-ი სწორედ ქ. ნ-მა დაჭრა სწორედ მისი სახლიდან ამოღებული დანით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაზარალებულმა არ ითანამშრომლა გამოძიებასთან და არ მიაწოდა ინფორმაცია, არ ქმნის იმის უპირობო საფუძველს, რომ ქ. ნ-ი წარდგენილ ბრალდებაში გამართლდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვალერი გიორგაშვილის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია და არც მხარეები დავობენ იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულად ცნობილ დ. ო-ს სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, შემთხვევის დღეს, შპს „ა... ყ...ის კლინიკაში“, მიყვანისას, აღენიშნებოდა: გულმკერდის მარცხენა ნახევარში, უკანა აქსილარულ ხაზზე ორი პარალელური, გულმკერდის ღრუში შემავალი, ნაკვეთი ჭრილობა; მარცხნივ, წელის არეში ნაკვეთი ჭრილობა და მარჯვენა ბარძაყის ზედა მესამედის ლატერალურ ზედაპირზე ნაკვეთი ჭრილობა. აქედან, დაზიანებები: გულმკერდის მარცხენა ნახევარში, ილღიის უკანა ხაზზე არსებული, ორი გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობის სახით – მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხს, ხოლო დაზიანებები: მარცხნივ, წელის არესა და მარჯვენა ბარძაყის ზედა მესამედის ლატერალურ ზედაპირზე არსებული ჭრილობების სახით – მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით. სტაციონარში მოთავსებისას, დ. ო-ის სხეულზე გამოვლენილი სისხლმდენი

ჭრილობები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ თარიღს – 2023 წლის 30 აპრილს.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ დ. ო-ს სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის ჭრილობები 2023 წლის 30 აპრილს, დაახლოებით, 00:30 საათზე, თ.... სოფელ ვ-ში არსებულ რესტორან „ლ-ის“ მიმდებარედ, თანაქონი დანის გამოყენებით, მოკვლის განზრახვით, მიაყენა – ქ. ნ-მა; ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა კი მიიჩნიეს, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება წარდგენილი ბრალდების მტკიცების ტვირთი, სასამართლოში ვერ წარმოადგინა პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც ქ. ნ-ის ბრალეულობას დაადასტურებდა. შესაბამისად, ქ. ნ-ი, დ. ო-ის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

4. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ქ. ნ-ის უდანაშაულობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ მისი ბრალეულობა სარწმუნოდ მტკიცდება საქმეში წარმოდგენილი აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და რომლებიც ქმნიან უტყუარ და საკმარის საფუძველს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ფასდება სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დააწმენებდა პირის ბრალეულობაში.

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. მოცემულ შემთხვევაში, ქ. ნ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი სამხილეები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებებად გამოკვლევის გარეშე და პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭათ.

6. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ შესაძლებელია,

პირდაპირი მტკიცებულება, მათ შორის პირდაპირი ჩვენებაც, ასახავდეს მომხდარ ფაქტს, მაგრამ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ მის ერთ, თუმცა მნიშვნელოვან მონაკვეთს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება №626აპ-17 საქმეზე, პუნქტი 34). შესაბამისად, განსახილველ საქმესთან დაკავშირებითაც, მეტად მნიშვნელოვანია, ყველა იმ მოწმის ჩვენებისა თუ ჩვენების ნაწილის, ისევე, როგორც – მტკიცების საგანთან დაკავშირებული, ყველა სხვა სამხილის შეფასება, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს, მთლიანობაში აღადგინოს ბრალდშერაცხილი დანაშაულის სურათი და სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

7. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დ. ო-ს 2023 წლის 30 აპრილს, კლინიკაში მოთავსებისას, აღენიშნებოდა მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, სხეულის სხვადასხვა – მათ შორის: გულმკერდის უკანა, წელისა და ბარძაყის არეებში მიყენებული ჭრილობები, აქედან – გულმკერდის მარცხენა ნახევარში, ილლიის უკანა ხაზზე არსებული, გულმკერდის ღრუში შემავალი, ორი, სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება.

8. უდავოდ ცნობილი ჩხრეკის ოქმით დასტურდება, რომ გ-ის რაიონის სოფელ შ-ში მდებარე, ქ. ნ-ის საცხოვრებელ სახლში, 2023 წლის 30 აპრილს, დილით, 08:00-09:05 საათზე, ჩხრეკისას, სამართალდამცავებმა ქ. ნ-ის საძინებელი ოთახიდან ამოიღეს მისი ჯინსის შარვალი, მონიტალო, სისხლისმაგვარი ლაქებით; შარვლის წინა, მარჯვენა, ჯიბეში აღმოჩნდა ვერცხლისფერი საკეცი დანა, პირზე მონიტალო, სისხლისმაგვარი ლაქებით; ასევე – შავი პიჯაკი და ზურგის მხარეს გარღვეული, დაზიანებული თეთრი პერანგი, მონიტალო, სისხლისმაგვარი ლაქებით; ერთი წყვილი, შავი ფეხსაცმელი. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, ქ. ნ-მა, ჩხრეკაზე დასასწრებად მიიწვია მისთვის სანდო ორი პირი – გ. ბ. და ნ. ხ-ი, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში, ხელი მოაწერეს ჩხრეკის ოქმს და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

9. ქ. ნ-ის სახლის ჩხრეკაში მონაწილე გ. ბ-ს გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) ირკვევა, რომ 2023 წლის 30 აპრილს, დილით, დაუკავშირდნენ პოლიციის თანამშრომლები და უთხრეს, რომ მისი მამიდაშვილის – ნ. დ-ის – სახლში უნდა ჩატარებულიყო ჩხრეკა, რომელსაც შეეძლო, დასწრებოდა, როგორც გარეშე პირი. თავის მხრივ, იგი დაუკავშირდა ნ. ხ-ს და წაიყვანა ნ. დ-ის სახლში. გამომძიებლებმა ნ. დ-ის ვაჟს – ქ. ნ-ს შესთავაზეს, ნებაყოფლობით წარედგინა დანაშაულის იარაღი – დანა და ტანსაცმელი, რომელიც ეცვა 2023 წლის 29 აპრილს თ.... სოფელ ვ-ში, რესტორან „ღ-ში“ ყოფნისას. ქ. ნ-ის განმარტე-

ბით, იგი სახლში დანაშაულის იარაღს არ ინახავდა. დაიწყო ჩხრეკა და ქ. ნ-ის საძინებლიდან ამოიღეს მისი ტანსაცმელი, რომელიც, ქ. ნ-ის განმარტებით, ეცვა 2023 წლის 29 აპრილს, თ.... სოფელ ვ-ში, რესტორან „ლ-ში“ ყოფნისას. ქ. ნ-ის შარვალსა და პერანგს აღენიშნებოდა მოწითალო ლაქები. შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში აღმოჩნდა საკეცი დანა, რომელიც, ქ. ნ-ის განმარტებით, ეკუთვნოდა მას. ამოღებული ნივთები დაილუქა. ჩხრეკა ჩატარდა კანონის დაცვით და, ამ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით, არანაირი პრეტენზია არ გასჩენია.

10. ქ. ნ-ის სახლის ჩხრეკაში ასევე მონაწილე ნ. ხ-ის გამოკითხვის ოქმის (უდავო მტკიცებულება) მიხედვით, 2023 წლის 30 აპრილს, დილით, დაუკავშირდა გ. ბ. და სთხოვა, გაჰყოლოდა მისი მამიდაშვილის – ნ. დ-ის – სახლში, სადაც ჩხრეკისას საჭირო იყო გარეშე პირთა დასწრება. დაეთანხმა და მივიდნენ ნ. დ-ის სახლში. გამომძიებელმა ნ. დ-ის შვილს – ქ. ნ-ს – შესთავაზა, ნებაყოფლობით წარედგინა დანაშაულის იარაღი – დანა და ტანსაცმელი, რომელიც ეცვა 2023 წლის 29 აპრილს თ.... სოფელ ვ-ში, რესტორან „ლ-ში“ ყოფნისას. ქ. ნ-მა განუმარტა პოლიციელებს, რომ სახლში დანაშაულის იარაღს არ ინახავდა. დაიწყო ჩხრეკა. ქ. ნ-ის საძინებელში ნახეს მისი ტანსაცმელი, რომელიც ქ. ნ-ის განმარტებით, ეცვა 2023 წლის 29 აპრილს თ.... სოფელ ვ-ში, რესტორან „ლ-ში“ ყოფნისას. შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში აღმოჩნდა საკეცი დანა, რომელიც ქ. ნ-ის განმარტებით, ეკუთვნოდა მას. ამოღებული ნივთები დაილუქა. ჩხრეკა ჩატარდა კანონის დაცვით და, ამ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით, არანაირი პრეტენზია არ გასჩენია.

11. ქ. ნ-ის დედის – ნ. დ-ის გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) დგინდება, რომ 2023 წლის 30 აპრილს, დილით, მათ სახლში მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები, მოიკითხეს მისი ვაჟი და უთხრეს, რომ სახლი უნდა გაეჩხრიკათ. უპასუხა, რომ მის ვაჟს სახლში ეძინა. ქ. ნ-ს გამომძიებელმა გააცნო დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. გამომძიებლის თქმით, საჭირო იყო, ჩხრეკას ორი გარეშე პირი დასწრებოდა. დაუკავშირდნენ მის ბიძაშვილს – გ. ბ-ს, რომელიც ნ. ხ-თან ერთად მივიდა მათთან ჩხრეკაში მონაწილეობისათვის. გამომძიებელმა მის ვაჟს შესთავაზა, ნებაყოფლობით წარედგინა დანაშაულის იარაღი – დანა და ტანსაცმელი, რომელიც ეცვა 2023 წლის 29 აპრილს, რესტორან „ლ-ში“ ყოფნისას, რაზეც ქ. ნ-მა განაცხადა უარი. თქვა, რომ სახლში დანაშაულის იარაღს არ ინახავდა. დაიწყო ჩხრეკა. მისი ვაჟის საძინებლიდან ამოიღეს ტანსაცმელი, რომელიც ქ. ნ-ის განმარტებით, ეცვა რესტორან „ლ-ში“ ყოფნისას. ამოღებული შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში აღმოჩნდა საკეცი დანა, რომელიც მისი ვაჟის

განმარტებით, ეკუთვნოდა მას. ამოღებული ნივთები დაილუქა. ჩხრე-
კა ჩატარდა კანონის დაცვით და, ამ საგამოძიებო მოქმედებასთან
დაკავშირებით, არანაირი პრეტენზია არ გასჩენია.

12. ცივი იარაღის ექსპერტიზის №... დასკვნის (უდავო მტკიცებულე-
ბა) შესაბამისად, ქ. ნ-ის სახლის ჩხრეკისას, მისი შარვლის ჯიბიდან
ამოღებული საკეცი დანა დამზადებულია ქარხნული წესით, არის
მჩხვლეთავ-მჭრელი და მიეკუთვნება ცივი იარაღთა კატეგორიას.

13. ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №....
დასკვნით (უდავო მტკიცებულება) დასტურდება, რომ ქ. ნ-ის სახლის
ჩხრეკისას, მისი შარვლის ჯიბიდან ამოღებულ დანის ტარსა და პირზე,
ისევე, როგორც ქ. ნ-ის – მოთეთრო პერანგსა და ჯინსის შარვალზე,
რომლებიც მას ეცვა 2023 წლის 29 აპრილს, თ.... სოფელ ვ-ში, რესტო-
რან „ლ-ში“ ყოფნისას, აღმოჩენილია დ. ო-ის სისხლის კვალი.

14. ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექ-
სპერტიზის დასკვნის (უდავო მტკიცებულება) თანახმად, იმ ტანსაც-
მელს, რომელიც ქ. ნ-სა და დ. ო-ს ეცვათ შემთხვევის დღეს შემთხვე-
ვის ადგილზე ყოფნისას, კერძოდ, ქ. ნ-ის პიჯაკს, ჯინსის შარვალსა და
პერანგს აღენიშნებოდა მოშავო-მორუხო, არათანაბრად შეღებილი
ბამბის ბოჭკოები, საერთოგვარობრივი კუთვნილებით დ. ო-ის ჯინსის
შარვლის ქსოვილის შემადგენელ ბოჭკოებთან; დ. ო-ის პერანგს აღე-
ნიშნებოდა მოლურჯო-შავი ფერის ბამბისა და მოყავისფრო პოლიეს-
ტერის ბოჭკოები, საერთოგვარობრივი კუთვნილებით ქ. ნ-ის მოშავო
პიჯაკის ქსოვილში შემავალ, შესაბამის ბოჭკოებთან და ასევე – მკვეთ-
რი, მოლურჯო, არათანაბრად შეღებილი, ბამბის ბოჭკოები, საერთოგ-
ვარობრივი კუთვნილებით ქ. ნ-ის ჯინსის შარვლის ქსოვილში შემავალ,
შესაბამის ბოჭკოებთან; დ. ო-ის ჯინსის შარვალს აღენიშნებოდა მო-
ლურჯო-შავი ბამბის ბოჭკოები, საერთოგვარობრივი კუთვნილებით ქ.
ნ-ის მოშავო პიჯაკის ქსოვილში შემავალ, შესაბამის ბოჭკოებსა და ასე-
ვე – მკვეთრი, მოლურჯო, არათანაბრად შეღებილი, ბამბის ბოჭკოები,
საერთოგვარობრივი კუთვნილებით ქ. ნ-ის მოლურჯო ჯინსის შარვლის
ქსოვილში შემავალ შესაბამის ბოჭკოებთან.

15. ჰაბოტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის
დასკვნით (უდავო მტკიცებულება) დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე
წარდგენილ დისკზე, არსებულ საქალაქდებო სახელწოდებით – „ა...
ბ...ი“ – ჩანერილ ფოტოგამოსახულებაზე დაფიქსირებული პირის იერ-
სახის გამოსახულება (ფოტო №41) იდენტურია რესტორან „ლ-ის“ 2023
წლის 30 აპრილის გარე პერიმეტრის ჩანაწერების ვიდეოგრამებიდან
ამოღებულ ფოტოგამოსახულებებზე (ფოტო №23-№26, №29, №31,
№33) დაფიქსირებული, პირობითად, №1 პირის გამოსახულების; ექ-
სპერტიზაზე წარდგენილ დისკზე არსებულ საქალაქდებო სახელწოდე-

ბით – ა... მ...“ – ჩანერილ ფოტოგამოსახულებაზე დაფიქსირებული პირის იერსახის გამოსახულება (ფოტო №42) იდენტიურია რესტორან „ღ-ის“ 2023 წლის 30 აპრილის გარე პერიმეტრის ჩანაწერების ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოგამოსახულებებზე (ფოტო №23, №26, №29-№33) დაფიქსირებული, პირობითად, №2 პირის გამოსახულების; ექსპერტიზაზე წარდგენილ დისკზე არსებულ საქალალდეში სახელწოდებით – „კ... კ...“ – ჩანერილ ფოტოგამოსახულებაზე დაფიქსირებული პირის იერსახის გამოსახულება (ფოტო №45) იდენტიურია რესტორან „ღ-ის“ 2023 წლის 30 აპრილის გარე პერიმეტრის ჩანაწერების ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოგამოსახულებებზე (ფოტო №25, №30-№33) დაფიქსირებული, პირობითად, №5 პირის გამოსახულების; საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ჰაბიტოსკოპიურ მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამოღებული, ქ. ნ-ის (პ/ნ) სახელზე შევსებულ, ელექტრონულ საინფორმაციო ბარათზე (ფოტო №46) არსებულ გამოსახულებაზე დაფიქსირებული პირის იერსახის გამოსახულებები იდენტიურია რესტორან „ღ-ის“ 2023 წლის 30 აპრილის გარე პერიმეტრის ჩანაწერების ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოგამოსახულებებზე (ფოტო №25-28) დაფიქსირებული, პირობითად, №6 პირის გამოსახულებისა.

16. ზემოაღნიშნული ჰაბიტოსკოპიური ექსპერტის დასკვნის კვალდაკვალ, რომლითაც უტყუარად დგინდება შემთხვევის ადგილის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ფიგურანტების ვინაობა, განსაკუთრებით საინტერესოა 2023 წლის 30 აპრილის ჩანაწერის შინაარსი, რომელზეც ასახულია თ.... სოფელ ვ-ში არსებული, რესტორან „ღ-ის“ გარე პერიმეტრი, სადაც, ნათლად ჩანს, რომ ქორწილის სტუმრებს შორის, რამდენჯერმე დაიძაბა ურთიერთობა, მათ შორის, იყო შელაპარაკება, განევ-გამოწევა და შეხლა-შემოხლა. ბოლოს, 00:28:28 საათზე, ჩანაწერის უკიდურეს მარჯვენა კუთხეში ჩანს, როგორ იწყება რესტორნის მიმდებარედ ხელჩართული ჩხუბი, რომელშიც გამოკვეთილია ბევრი მალა აღმართული და საჩხუბრად მოქმედი ხელი. ამკარაა მხარეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება, თუმცა მოვლენების ეპიცენტრი კამერისგან იმდენად შორსაა, რომ შეუძლებელია გარჩევა, კონკრეტულად, ვინ ვის ეჩხუბება. ჩანაწერის 00:29:53 საათზე, კადრში ჩანს დ. ო-ი, რომელიც ჩხუბის ადგილიდან სწრაფად გამორბის კამერის მიმართულებით. მას უკან მოსდევნ: დ. ბ-ი, ქ. ნ-ი, კ. კ-ი და ა. ბ-ი. მათგან პირველს – დ. ბ-მ – უტრიალდება დ. ო-ი, საბრძოლო ილეთით აგდება ძირს და შეუჩერებლად განაგრძობს სირბილს. დ. ო-მ ფეხდაფეხ მისდევს ქ. ნ-ი, რომელიც მიახლოებისას უკნიდან უქნევს მალა აღმართულ ხელს. ამ დროს ქ. ნ-ს ხელში უჭირავს საგანი, რომელიც სინათლეზე ელავს და ისინი სირბილითვე გადიან კადრიდან. მათ უკან მიჰყვები-

ან დანარჩენები.

17. ბრალდებულმა ქ. ნ-მა სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ დ. ო-ი მას არ დაუჭრია. 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში, რომლის ბოლოს მომხდარ ჩხუბში ისიც მონაწილეობდა. ქორწილში დანა თან არ ჰქონია. სულ მცირე, 10 კაცი იქნებოდა დაპირისპირებული, თუმცა მონინალმდეგეები ვინ იყვნენ, არ იცის. დ. ო-ს არ იცნობს და, შესაბამისად, არ იცის, მონაწილეობდა თუ არა ისიც ჩხუბში. ჩხუბი, დაახლოებით, 10-15 წუთს გაგრძელდა. ამ დროს ძირს დაეცა და სცემდნენ. შეეშინდა და თავის დასაღწევად გაიქცა გზის გაღალმა. მისგან ამოღებული დანა, რომელზეც დაზარალებულის სისხლი აღმოჩნდა, რესტორნის მიმდებარედ იპოვნა, მოეწონა და სახლში წაიღო, თავის ეზოში გარეცხა და ჯიბეში შეინახა. მის ტანისამოსზე დაზარალებულის ტანსაცმლის ბოჭკოები, შესაძლოა, ჩხუბის დროს გადასულიყო.

18. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქ. ნ-ის მტკიცებას, რომ შემთხვევის დღეს დაზარალებული დ. ო-ი არ დაუჭრია, ქორწილში ჩხუბისაგან თავის დასაღწევად გარბოდა, ხოლო დანა, რომელზეც დაზარალებულის სისხლი აღმოჩნდა, ძირს დაგდებული იპოვნა, მოეწონა და სახლში წაიღო, რამეთუ, ერთი მხრივ, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერით, რომელსაც ამ სამხილის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეფასების დროს, ძალიან მაღალი ფასი აქვს, თვალნათლივ დგინდება, რომ ქორწილის მიწურულს დაწყებული ხელჩართული ჩხუბის კვალდაკვალ, ქ. ნ-ი არათუ შეშინებული გარბის ჩხუბისაგან თავის დასაღწევად, როგორც ამას თავად ამტკიცებს, არამედ – თავანწყვეტილი, ფეხდაფეხ მისდევს სწორედ ჩხუბიდან გამოქცეულ დ. ო-შ, რომელსაც უკნიდან უქნევს ხელს, რომელშიც აშკარად უჭირავს რაღაც საგანი, რომელიც სინათლეზე ელავს; მეორე მხრივ, ქ. ნ-ის დანასთან დაკავშირებული მონათხრობი, აშკარად ეწინააღმდეგება მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკაში, მისივე მოწვევით მონაწილე პირების – გ. ბ.სა და ნ. ხ-ის, ისევე, როგორც – დედამისის – ნ. დ-ის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებულ ინფორმაციას, რომ ქ. ნ-ის თქმით, ჯინსის შარვლის ჯიბიდან, რომელიც ეცვა შემთხვევის დროს, აღმოჩენილი სისხლიანი დანა მას ეკუთვნოდა.

19. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, შემთხვევის ადგილის ამსახველი ვიდეოჩანაწერებით თვალნათლივ დასტურდება, ჩხუბიდან გამოქცეულ დაზარალებულ დ. ო-შ, ფეხდაფეხ, როგორ მისდევს შეიარაღებული ქ. ნ-ი, რომელიც ეწევა დაზარალებულს და უკნიდან უქნევს იარაღიან ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, დადგენილია, რომ ამ შემთხვევის შედეგად, დაზარალებულ ნ. ო-ს აღენიშნებოდა მჩხვლეთავ-მჭრელი საგნით, სხეულის სხვადასხვა – მათ შორის: გულმკერდის უკანა, წელისა და ბარძაყის – არეებში მიყე-

ნებული ჭრილობები; გამომდინარე იქიდან, რომ შემთხვევიდან მალევე, გამთენიას, ქ. ნ-ის სახლის ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ტანსაცმელი და დანა, რომელთა კუთვნილებასაც იმთავითვე არ უარყოფდა ქ. ნ-ი და რომლებზეც აღმოჩენილია დაზარალებულის სისხლის კვალი, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ დ. ო-სათვის მიყენებული დაზიანებები მიზეზობრივად დაკავშირებულია ქ. ნ-ის ქმედებებთან.

20. ამავედროულად, იმის გამორკვევისას, თუ ვინ და რატომ მიაყენა შემთხვევის დღეს დაზიანებები დ. ო-ს, მეტად საყურადღებოა ასევე იმ პირთა განმარტებები, რომლებიც შემთხვევის დღეს პირადად შეესწრნენ კონფლიქტის სხვადასხვა ეპიზოდებს, შემთხვევიდან მალევე ნახეს დაჭრილი დაზარალებული და თავად მოისმინეს, რას განმარტავდა იგი მომხდართან დაკავშირებით, კერძოდ:

21. მოწმე ა. მ-ის გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) ირკვევა, რომ 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში – თ.... სოფელ ვ-ში არსებულ რესტორან „ლ-ში“. დაახლოებით, 00:15 საათი იქნებოდა, სახლში წასვლა დააპირა. ნასვამი იყო, დაურეკა ბიძაშვილის შვილს – ა. ხ-ს – და სთხოვა, სახლში წაეყვანა. როდესაც რესტორნიდან გარეთ გავიდა, დაინახა, ახალგაზრდა ბიჭები შელაპარაკდნენ, მაგრამ ვინაიდან ვერცერთი იცნო, გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო და შორიახლოს გაჩერდა. ბიჭების საუბარი მალევე გადაიზარდა ჩხუბში. ამ დროს იცნო მხოლოდ მისი თანასოფელი – დ. ო-ი, რომელიც გაიქცა და უკან გაეკიდა ოთხი პირი. თავადაც წავიდა მათკენ. სირბილი არ შეეძლო და სიარულით გაჰყვა, თუმცა დ. ო-ი ველარ დაინახა და თავის ავტომანქანასთან შეჩერდა. 2 წუთში მასთან წელი ნაბიჯით მივიდა დ. ო-ი, რომელიც იყო წელში მოხრილი, მუცლის არეში იდებდა ხელს და იძახდა, რომ იყო დაჭრილი, თუმცა არ უთქვამს, ვინ მიაყენა დაზიანებები. დ. ო-ს უთხრა ავტომანქანაში ჩამჯდარიყო, რათა საავადმყოფოში წაეყვანა. ამ დროს მივიდა ა. ხ-ი, რომელსაც ახლდა მეგობარი – თ. ე-ი. მათ უთხრა, რომ დ. ო-ი იყო დაჭრილი და საავადმყოფოში გადაყვანა ესაჭიროებოდა. საჭესთან ა. ხ-ი დაჯდა და დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანა. თავად არ გაჰყოლია, დარჩა რესტორანთან.

22. მოწმე ა. ხ-ის გამოკითხვის ოქმით დგინდება, რომ 2023 წლის 29 აპრილს, დაახლოებით, 00:00 საათზე, დაურეკა მისმა ბიძამ – ა. მ-მა, რომელიც იყო ქორწილში, ნასვამი და სთხოვა, შინ წაეყვანა. თ. ე-თან ერთად ავტომანქანით მივიდა თ.... სოფელ ვ-ში არსებულ რესტორან „ლ-სთან“, სადაც ბიძამისის ავტომანქანაში დახვდა მისი თანასოფელი – დ. ო-ი, რომელსაც პერანგი ჰქონდა სისხლიანი და თქვა, რომ იყო დაჭრილი. ბიძამისს მაშინვე გამოართვა მანქანის გასაღები და თ. ე-ის თანხმობით წაიყვანა იგი ქ-ში არსებულ „ა... ყ...ის სახელობის კლინიკა-

ში“. გზაში დ. ო-ი ამბობდა, რომ ქორწილის დასრულების შემდეგ, სტუმრები შელაპარაკდნენ. მისი თქმით, სხვებთან ერთად ისიც იდგა და როდესაც სიტუაციიდან გასარიდებლად შებრუნდა, მას უკან გაეკიდა ქ. ნ-ი, რამდენჯერმე დაარტყა დანა და დაჭრა. დ. ო-ის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, ისევ ბიძამისს მიაკითხა, რომელმაც გზაში უამბო, რომ ქორწილში კონფლიქტისას დაჭრილი დ. ო-ი ჩაისვა ავტომანქანაში.

23. მოწმე თ. ე-ის გამოკითხვის ოქმით დასტურდება, რომ 2023 წლის 29 აპილს, დაახლოებით, 00:00 საათზე, მის მეგობარს – ა. ხ-შ, დაურეკა ბიძამისმა – ა. მ-მა და სთხოვა, რესტორნიდან წაეყვანა. ისინი მივიდნენ თ.... სოფელ ვ-ში არსებულ რესტორან „ღ-შთან“ და ნახეს, რომ ა. მ-ის ავტომანქანაში იჯდა მათი თანასოფელი – დ. ო-ი, რომელსაც პერანგი ჰქონდა სულ სისხლიანი და ამბობდა, რომ იყო დაჭრილი. დ. ო-ი ა. მ-ის ავტომანქანით წაიყვანეს ქ-ში არსებულ „ა... ყ...ის სახელობის კლინიკაში“. გზაში დ. ო-ი ამბობდა, რომ ქორწილის დასრულების შემდეგ, სტუმრები შელაპარაკდნენ. თავადაც იქ იყო და გამობრუნებისას, როდესაც ცდილობდა სიტუაციიდან გარიდებას, გამოეკიდა ქ. ნ-ი, რამდენჯერმე დაარტყა დანა და დაჭრა.

24. მოწმე მ. ჩ-ას გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) ირკვევა, რომ იგი არის ქ-ში არსებული, „ა... ყ...ის სახელობის კლინიკის“ ზოგადი ქირურგი. 2023 წლის 30 აპრილს, სხეულის სხვადასხვა არეებში მრავლობითი ჭრილობებით, კლინიკაში შეიყვანეს დ. ო-ი, რომლის თქმით, დაზიანებები, რამდენიმე წუთით ადრე ჰქონდა მიღებული, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მომხდარი ჩხუბის დროს, თუმცა კონკრეტული პირი ან გარემოება არ დაუსახელებია. დ. ო-ს აღენიშნებოდა ჭრილობები გულმკერდის, წელისა და ბარძაყის არეებში. მიიჩნიეს, რომ დაზიანებები მიყენებული იყო რაიმე მჩხვლეტავი, ბასრი საგნით. წელისა და ბარძაყის არეში გამოკვეთილი ჭრილობები არ ყოფილა შემავალი, არ აზიანებდა შინაგან ორგანოებს და არ ითვლებოდა სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებებად, ხოლო გულმკერდის ღრუში შემავალი – იყო სიცოცხლისათვის საშიში და რომ არა დროული ქირურგიული ჩარევა და სწორი დიაგნოზი, შესაძლოა პაციენტის მდგომარეობა დასრულებულიყო გარდაცვალებით.

25. მოწმე ა. ბ-ის გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) ირკვევა, რომ 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში – თ.... სოფელ ვ-ში მდებარე რესტორან „ღ-ში“. ქორწილი თითქმის დასრულებული იყო, როდესაც, დაახლოებით, 00:00 საათზე, რესტორნის მიმდებარედ, დაინახა მისი მეგობრები, მათ შორის იყო ქ. ნ-იც, რომლებიც საუბრობდნენ. ამბობდნენ, რომ უკონფლიქტოდ, ყოველგვარი გართულებისა და ჩხუბის გარეშე უნდა დაშლილიყვნენ. მალევე, რესტორნის დასავლე-

თით გაისმა ჩხუბის ხმა და ყველანი იქით გაიქცნენ. ადგილზე ნახა, რომ ჩხუბობდა მისთვის უცნობი 10-15 პირი, ერთმანეთს აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. მათ შორის ვერავინ ამოიცნო, თუმცა მაინც დაინწყო გაშველება. ამ დროს დაინახა, რომ მოჩხუბრებს გამოეყო დ. ო-ი, რომელსაც უკან გაეკიდნენ ქ. ნ-ი, დ. ბ-ი და კ. კ-ი. თავადაც გაჰყვა მათ, რათა რაიმე არ დაეშავებინათ ერთმანეთისათვის, თუმცა ჩამორჩა. ისინი აღარ უნახავს და არ იცის, სად წავიდნენ.

26. მონმე გ. კ-ის გამოკითხვის ოქმის (უდავო მტკიცებულება) მიხედვით, 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში – თ.... სოფელ გ-ში არსებულ რესტორან „ღ-ში“. ქორწილის დასასრულს რესტორნის მიმდებარედ ნახა, გ. ე-ი და ი. ვ-ი, როგორ ესაუბრებოდნენ მისთვის უცნობ ბიჭებს, ეუბნებოდნენ, რომ სუფრა მშვიდობიანად უნდა დასრულებულიყო, კონფლიქტი არ უნდა მომხდარიყო. ერთ პირს თავადაც უთხრა, რომ ქორწილი ერთხელ ჰქონდა ადამიანს ცხოვრებაში და ყველაფერი მშვიდად უნდა დაესრულებინათ, ხელი გადახვია და გაიყვანა, რადგან იგი აღელვებული იყო და უნდოდა, დაემშვიდებინა. საუბრის დასასრულს წავიდა რესტორნის შესასვლელისკენ, სადაც მეუღლე უცდიდა. ამ დროს დაინყო ჩხუბი. რამდენიმე ადამიანი ჩხუბობდა. მათ გარშემო ხალხი იყო შეკრებილი და ვერ არჩევდა, ვინ იყვენ, რადგან არცერთს იცნობდა. დ. ო-ი ჩხუბის ადგილზე არ დაუნახავს და არ იცის, რა ვითარებაში დაჭრეს. მეორე დილით გაიგო, რომ იგი დაუჭრიათ, თუმცა მასთან არ უსაუბრია, რადგან იყო საავადმყოფოში. დაჭრის ამბავი გაიგო დაზარალებულ დ. ო-ის ძმისგან, რომელმაც საზღვარგარეთიდან დაურეკა და უთხრა, რომ მისი ძმა ვინმე ქ-ს დაუჭრია.

27. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტული მტკიცებულების შეფასებისას სასამართლოს გააჩნია გონივრული მოლოდინი, რომ მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი და ამ მტკიცებულებების ბუნებიდან გამომდინარე, არც უნდა ჰქონდეს იმაზე მეტის დადგენის მოლოდინი, ვიდრე ეს თავად მტკიცებულებების შინაარსიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, სასამართლომ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამიჯნა, რომელი ჩვენება ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენდა პირდაპირსა და რომელი – ირიბს და მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი სამხილეები ერთობლივად ქმნის დანაშაულის სურათის აღდგენის შესაძლებლობას და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ქ. ნ-ის ბრალეულობაზე, საწინააღმდეგოს მტკიცება კი არ გამომდინარეობს სასამართლოში წარმოდგენილი აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან.

28. დანაშაულის მოტივის დადგენისას, სასამართლო ითვალისწინ

ნებს, რომ შემთხვევის დღეს, მხარეებს შორის დაპირისპირება რამდენიმე ეპიზოდად განვითარდა და, მათ შორის, ქ. ნ-ის მეგობრებმა, რომელთა ჩვენებებსაც სასამართლო ქვემოთ მიმოიხილავს, დაადასტურეს, რომ მომხდარი კონფლიქტის შედეგად იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და სურდა სიტუაციის გამორკვევა, კერძოდ:

29. მონმე ს. ბ-ის გამოკითხვის ოქმის (უდავო მტკიცებულება) მიხედვით, 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში, თ.... სოფელ ვ-ში, რესტორან „ლ-ში“. დაშლისას, რესტორნის ავტოსადგომზე ნახა ქ. ნ-ი და უთხრა, რომ შინ უნდა წასულიყვნენ, მან კი უპასუხა, რომ ვილაცამ შეურაცხყოფა მიაყენა და გაარკვედა, რატომ მოექცნენ ასე. დაჰპირდა, რომ არ იჩხუბებდნენ და მალე წავიდოდნენ სახლში. რამდენიმე ბიჭი, მათ შორის, ა. მ-ი და თ. წ-ი გავიდნენ მოშორებით და ესაუბრებოდნენ მისთვის უცნობ ბიჭებს. ის და მ. კ-ი იდგნენ მოშორებით, როდესაც მათ უკან გაიარა სამმა ბიჭმა. მათ შორის, დ. ო-ი ეუბნებოდა დანარჩენებს: რაც მოგხვდებათ ხელში, დაუშვითო. ამ დროს, შ. კ-ი მივიდა ქ. ნ-თან და გაიყვანა. რამდენიმე წუთში, დარბაზში შესასვლელი კარის მხრიდან შემოესმა ყვირილი. ის და მ. კ-ი მაშინვე იქით გაიქცნენ და დაინახა ქ. ნ-ი, რომელიც უცნობ ბიჭს ესაუბრებოდა, ეკითხებოდა, რატომ აყენებდა შეურაცხყოფას. ამ ბიჭმა ქ. ნ-ს სახეში დაარტა ხელი და სხვებმაც დაუწყეს ცემა. ქ. ნ-ი ძირს დაეცა. დაცემულს რამდენიმე ბიჭი ურტყამდა ხელებსა და ფეხებს. მიიღბინეს ა. მ-მა და თ. წ-მა, სცადეს ქ. ნ-ის დახმარება, თუმცა მონიანალმდეგეები იყვნენ შედარებით ბევრი და ვერ შეძლეს გაშვება. სხვა ადამიანებიც ჩაერთნენ, ზოგი ცდილობდა გაშვებას, შეძლებისდაგვარად, ის და მ. კ-იც იჭერდნენ ხალხს. სიტუაცია როცა დამშვიდდა, ველარ ხედავდა, სად იყო ქ. ნ-ი. მალე ვითარება ისევ დაიძაბა და როდესაც ყველაფერი საბოლოოდ განიმუხტა, მანქანით წავიდნენ სახლებში. წასვლამდე გაიგო ქალის ყვირილი, ბიჭია ცუდად და დროზე გამოიძახეთ სასწრაფოო. მეორე დღეს მ. კ-ისგან შეიტყო, რომ დ. ო-ი ქ. ნ-ს დაუჭრია. მას არ დაუნახავს, როდის დაჭრა ქ. ნ-მა დ. ო-ი, რადგან რამდენიმე ათეული ადამიანი იყო შეკრებილი, ცდილობდა მათ გაშვებას და არ დაუნახავს, ჩხუბის ადგილიდან დ. ო-ი და ქ. ნ-ი გაიქცნენ თუ არა. არც ქ. ნ-ის ან ჩხუბში მონაწილე სხვა პირის ხელში დაუნახავს დანა ან რაიმე საგანი. როდესაც ჩხუბის დროს დაინახა ქ. ნ-ი, იგი თავს იცავდა, ნაქცეულს რამდენიმე ბიჭი ურტყამდა ხელებსა და ფეხებს, თუმცა არ დაუნახავს, როდის წამოდგა. როდესაც მეორედ დაიწყო ჩხუბი, ქ. ნ-ი კვლავ ნააქციეს და იგი მ. კ-ის დახმარებით წამოდგა.

30. მონმე მ. კ-ის გამოკითხვის ოქმის (უდავო მტკიცებულება) თანახმად, 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში, თ.... სოფელ ვ-ში, რესტორან „ლ-ში“. დაახლოებით, 00:00 საათისთვის გადაწყვიტეს სახლებში

ნასვლა. რესტორნიდან გამოვიდა მისი ძმის მეგობართან – ქ. ნ–თან – ერთად, რომელმაც უთხრა, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს და უნდოდა იმ ბიჭებთან დალაპარაკება. დაჰპირდა, რომ არ იჩხუბებდა, მხოლოდ ისაუბრებდნენ. ქ. ნ-ი ა. მ-სა და თ. ნ-თან ერთად წავიდა, დაახლოებით, ხუთ ბიჭთან სალაპარაკოდ, რომლებსაც თავად არ იცნობდა. ის და ს. ბ-ი იდგნენ რამდენიმე მეტრში, თუმცა მათი საუბარი არ ესმოდათ. ამ დროს უკან გაუარათ სამმა ბიჭმა, რომელთაგან დ. ო-ი დანარჩენებს ეუბნებოდა: რაც ხელში მოგხვდებათ, „დაუშვითო“. ჰკითხა: ვისთვის, რა უნდა „დაეშვათ?“ დამცინავად უპასუხეს: არა, დაიკო, წვიმამ დაუშვაო. შ. კ-ი მივიდა ქ. ნ–თან, გამოიყვანა ბიჭების გარემოცვიდან და წაიყვანა ავტომანქანისკენ. როდესაც ქ. ნ-ის მიუახლოვდა, დაინახა, რომ იგი, დაახლოებით, ხუთ უცნობ ბიჭს ესაუბრებოდა, რომლებსაც ეუბნებოდა: ძმაო, ჩემი სახელი ადამიანურად გითხარი და მასე რატომ მელაპარაკებო. ხელი წაავლო და გვერდით გაიყვანა. უცნობი ბიჭებიც გაჰყვნენ. ქ. ნ-ს დაუწყეს ლანძღვა-გინება და ფიზიკური შეურაცხყოფა, რომელიც ნაიქცა, დანარჩენებმა კი განაგრძეს მისი ცემა, არ ეშვებოდნენ. თავად ცდილობდა ბიჭების გაშვებლას. მიიღბინეს ა. მ-მა და თ. ნ-მა, რომლებიც ცდილობდნენ ქ. ნ-ის დახმარებას, რათა აღარ ეცემათ, თუმცა ვინაიდან მას რამდენიმე ბიჭი ერთად სცემდა, გაშვებება რთული იყო. როცა კონფლიქტი შედარებით დაწყნარდა ქ. ნ-ი, სად იყო, აღარ დაუნახავს. ჩხუბის დროს ქ. ნ-ი ხელში აიყვანა ერთ-ერთმა და ძირს დაავდო, რის გამოც, სუნთქვა შეეკრა და ა. მ-მა წაიყვანა, ავტომანქანაში ჩასვა და ქ-ის მიმართულებით წავიდნენ. სანამ თავადაც ავტომანქანაში ჩაჯდებოდა, გაიგო, ქალი ყვიროდა, ბიჭია დაჭრილიო. როგორც მოგვიანებით გაიგო, დ. ო-ი იყო დაზიანებული, თუმცა ვინ დაჭრა იგი, არ იცის. არც ქ. ნ-ის და არც სხვა მოჩხუბრის ხელში დანა ან სხვა საგანი არ დაუნახავს. ჩხუბის დროს ქ. ნ-ი თავს იცავდა, რადგან ნაქცეულს რამდენიმე ბიჭი ურტყამდა ფეხებსა და ხელებს. მაშინ არ დაუნახავს, როდის წამოდგა, თუმცა როდესაც მეორედ დაიწყო ჩხუბი და ქ. ნ-ი კვლავ ნააქციეს, ის დაეხმარა წამოდგომაში.

31. მოწმე დ. მ-ის გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) ირკვევა, 2023 წლის 29 აპრილს იყო ქორწილში, თ.... სფელ ვ-ში, რესტორან „ლ-ში“. დაახლოებით, 00:00 საათზე, როდესაც სუფრა თითქმის დასრულდა, რესტორნიდან გამოსულმა, გარეთ დაინახა, მთავარ შესასვლელთან ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი უცნობები ერთმანეთში საუბრობდნენ. რესტორნის დასავლეთით შენიშნა მეგობრები, მათ შორის, ქ. ნ-ი და მათკენ წავიდა. ბიჭები ამბობდნენ, რომ უკონფლიქტოდ უნდა დაშლილიყვნენ და არ იყო საჭირო სიტუაციის გამწვავება. მათ შორის რამდენჯერმე დაიძაბა ვითარება, მაგრამ რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. ბიჭების ნაწილი დარჩა, ხოლო ნა-

ნილმა გადაინაცვლა რესტორნის მთავარი შესასვლელისკენ. ის, სხვა გოგონებთან ერთად ადგილზე დარჩა. რამდენიმე წუთში რესტორნის მთავარი შესასვლელიდან შემოესმათ ჩხუბის ხმა და ყვირილი. დაუყოვნებლივ იქით წავიდნენ. დაახლოებით, 10 პირი ჩხუბობდა. ა. მ-ი ძირს ეგდო და მისთვის უცნობი პირები აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ხალხი ცდილობდა მათ გაშველებას. დაინახა, რესტორნის დასავლეთით როგორ გარბოდა უცნობი მამაკაცი, რომელსაც უკან მისდევდნენ მისი თანასოფლელები – ქ. ნ-ი, კ. კ-ი და დ. ბ-ი, რომელიც ძირს დაეცა. ამ დროს არ დაუნახავს, ჰქონდა თუ არა ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი. თავად იყო ძალიან შეშინებული და აღელვებული, ხმამალლა მოუწოდებდა, დამშვიდებულიყვნენ და ინსტინქტურად წავიდა ქ. ნ-ისა და დ. ბ-ის მიმართულებით. მხოლოდ ის ახსოვს, რომ შეხვდნენ უკან მომავალი დ. ბ-ი, ქ. ნ-ი და კ. კ-ი. მათ ჰკითხა, რამე ხომ არ სჭირდათ და კვლავ დამშვიდებისკენ მოუწოდა, მაგრამ მას არ გასაუბრებინან, სწრაფი ნაბიჯებით გაემართნენ რესტორნის მთავარი შესასვლელისკენ.

32. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის (უდავო მტკიცებულება) თანახმად, ქ. ნ-ს მარჯვენა მტევნისა და მარჯვენა მუხლის სახსრის არეში აღენიშნებოდა ნაჭდევები. დაზიანებები განვითარებული მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ თარიღს – 2023 წლის 30 აპრილს.

33. დაზარალებულმა დ. ო-მა გამოძიების დროს, გამოკითხვისას აღნიშნა: „ – არ დავუჭრივარ არავის, არ ვთვლი თავს დაზარალებულად და არ ვჩივი არაფერზე“, რაც, საკასაციო სასამართლოს მითითებით, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება საქმეში წარმოდგენილი არაერთი უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებით, სარწმუნოდ დადგენილ ფაქტს, ამავდროულად, მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ საფუძველსაც, გამომდინარე იქიდანაც, რომ დაზიანებები მას, ერთი მხრივ, მიყენებული აქვს სწორედ ქ. ნ-ის კუთვნილი დანით, რომელიც შემთხვევის შემდეგაც თან ჰქონდა ამ უკანასკნელს და, დანაშაულის ჩადენიდან მალევე, ამოღებულია მისი ტანსაცმლიდან, რომელიც ეცვა შემთხვევის დღეს, შემთხვევის ადგილზე ყოფნის დროს, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზგასასმელია, რომ მრავლობით დაზიანებათაგან, რომლებიც გამოვლენილია დაზარალებულის სხეულზე, მათ შორის, ორი, გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობა მიყენებულია გულმკერდის უკანა ზედაპირზე, რაც ცხადია, არასანდოსა და არადამაჯერებელს ხდის დ. ო-ის მტკიცებას, რომ დაზიანებები მისთვის არავის მიუყენებია.

34. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – მონმეთა ჩვენებები, რომლებიც კონფლიქტის სხვადასხვა მონაკვეთის შემსრენი არიან, ისევე, როგორც დაპირისპირების ერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი, ეპიზოდის ამსახველი ვიდეოჩანაწერი და მტკიცების საგანთან დაკავშირებული ექსპერტიზების დასკვნები – ერთობლივად იძლევიან იმის სარწმუნოდ დადგენის შესაძლებლობას, რომ შემთხვევის დღეს ქ. ნ-სა და დ. ო-ს შორის უბრალო შეხლა-შემოხლას კი არ ჰქონდა ადგილი, როგორც ამაზე დაცვის მხარე მიანიშნებდა და რასაც შესაძლოა გამოენჯია ქ. ნ-თან დანაშაულის კვალის აღმოჩენა, არამედ – კონფლიქტის დროს, შეურაცხყოფილი ქ. ნ-ი მიზანმიმართულად, იარაღმომარჯვებული დაედევნა ჩხუბიდან გამოქცეულ დ. ო-ს და მიაყენა მას დანით არაერთი, მათ შორის, სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. დაზარალებული კი მხოლოდ დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. ნ-ის ქმედებაში გამოკვეთილია მისთვის ბრალდშერაცხილი დანაშაულის – დ. ო-ის განზრახ მკვლელობის მცდელობის – შემადგენლობა, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

35. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც უნდა დაედოს მსჯავრი ქ. ნ-ს, ისჯება – ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

36. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს,

ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია.

37. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისებრივად და არსებითად გაცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ, ვერ შეუწყობს ხელს ვერც სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებას და ვერც საზოგადოების წევრების ჰარმონიულ თანაარსებობას, შედეგად, ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). ამავდროულად, სასჯელთან დაკავშირებული კონსტიტუციური შეზღუდვის არსი არის პროპორციული სასჯელის დაკისრება მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავეის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), დამნაშავეის პერსონალური მახასიათებლები და საქმის კონკრეტული გარემოებები იმისთვის, რათა განისაზღვროს, როგორი სასჯელი იქნება შესაბამისი პირის რეაბილიტაციისა და საზოგადოების დაცვისთვის ამ კონკრეტული დამნაშავეის შეკავების გზით. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეასრულებს სასჯელი თავის მიზნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-97).

38. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების გათვალისწინებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების იმპერატიული მოთხოვნებიდან გამომდინარე (დანაშაულის იარაღის გამოყენებით ჩადენის დროს, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას), მიიჩნევს, რომ ქ. ნ-ს უნდა განესაზღვროს ჩადენილი დანაშაულის სანქციით გათვალისწინებული, კანონიერი და სამართლიანი სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც, დამატებით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების 4 წლით შეზღუდვასთან ერთობლივად, სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

39. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია: როდესაც საკითხი ეხება ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების განხორციელებას, მთლიანი სამართალწარმოება, მათ შორის სასამართლო განხილვა, უნდა აკმაყოფილებდეს პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნებს, კანონის ძალით იქნეს დაცული ადამიანთა სიცოცხლე. მაშინ, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ ყოველი ბრალდების საქმე დამთავრდეს პირის მსჯავრდებით ან კონკრეტული სასჯელის დანიშვნით, ეროვნული სასამართლოები არ უნდა იყვნენ განწყობილი იმისთვის, რომ დაუშვან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაუსჯელად დატოვება. სასამართლოს ამოცანაა, შესაბამისად, შემოიფარგლება იმის განხილვით, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასამართლოებმა თავიანთი გადწყვეტილებების მიღებისას კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სათანადო ყურადღება გამოიჩინეს და რომ სასამართლოს, როგორც შემაკავებლის როლი და ამ როლის ის მნიშვნელობა, რაც მას ეკისრება სიცოცხლის უფლების დარღვევების პრევენციაში, არ შერყეულა (იხ.: მაგალითად: *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, no. 25091/07, §242, *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, no. 50375/07, § 84).

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვალერი გიორგაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და, მის ნაცვლად, დადგინდეს გამამტყუნებელი განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვალერი გიორგაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი;

3. ქ. ნ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3. ქ. ნ-ს – 4 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები: იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ტარების ან/და გამოყენების უფლებები;

5. ქ. ნ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი აეთვალოს, განაჩენის აღსრულების მიზნით, მისი დაკავების მომენტიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 30 აპრილიდან 2023 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით;

6. ქ. ნ-ს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა აეთვალოს ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან;

7. ნივთმტკიცებათა ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

დანა, სისხლის, ნერწყვისა და ხელის კვლების ნიმუშები და ანაწმენდები – განადგურდეს;

დ. ო-ისა და ქ. ნ-ის ტანსაცმელი – დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს;

„სუბარუს“ მარკის ავტომობილი (სახელმწიფო ნომრით (.....), დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს;

საქმეზე დართული დისკები – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განაჩენი ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულების
გამართლება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3
ნაწილის „დ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-4
ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნარდგენილ ბრალდებაში**

**განაჩენი
საქართველოს სახელმით**

№38აპ-25

15 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ მარიამ ეუაშვილის, ასევე გამართლებულ ლ. კ-ს
და მსჯავრდებულების – ი. ბ-ს, ე. ჯ-სა და ი. კ-ს ინტერესების დამცვე-
ლი ადვოკატის – ვ. ვ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო
სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით:

1.1. ი. ბ-ს (პირადი ნომერი: 1..), ე. ჯ-ს (პირადი ნომერი: 6...), ი. კ-ს
(პირადი ნომერი: 1...), – მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგ-
ში:

1.1.1. 2024 წლის 31 იანვარს, დაახლოებით 19:40 საათზე, გ-ს სოფელ
კ-ში მდებარე მაღაზიის წინ შეეკრებილნი იყვნენ ლ. კ., ი. კ.ი. ბ. და ე. ჯ.
რომლებიც იგინებოდნენ უმისამართოდ. ამავე მაღაზიასთან კანონიერ
მფლობელობაში არსებული „MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის
ავტომანქანით (სახ. ნომრით: V.) გაჩერებული იყო ბ. ბ. რომელმაც შეხე-
და ბიჭებს, რათა გაეგო, ვის აგინებდნენ. აღნიშნულის გამო ე. ჯ. მიუ-
ახლოვდა ბ. ბ-ს და თავის თანმხლებ პირებთან – ი. კ-სა და ი. ბ-სთან
ერთად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ფიზიკურად იძალადა
მასზე. კერძოდ, ე. ჯ.მ, ი. ბ-მ და ი. კ-მ სახის არეში დაარტყეს მუშტები
ბ. ბ-ს, რის შემდეგაც დატოვეს შემთხვევის ადგილი. დაახლოებით 10
წუთში კვლავ ერთად დაბრუნდნენ უკან, რა დროსაც ე. ჯ.მ კვის გა-
მოყენებით დააზიანა ბ. ბ-ს კანონიერ მფლობელობაში არსებული
„MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის ავტომანქანა (სახ. ნომრით: V.),
რის შემდეგაც ე. ჯ-მ, ი. კ-მ და ი. ბ-მ კვლავ იძალადეს ფიზიკურად ბ. ბ-

ზე, კერძოდ, ზურგისა და მუცლის არეში რამდენჯერმე დაარტყეს ფეხი, ასევე ი. ბ-მ ს. ო-ს უკბინა თითის არეში, რითაც გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა და უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი.

1.1.2. აღნიშნული ქმედებით ი. ბ-მ, ე. ჯ-მ და ი. კ-მა ჩაიდინეს ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით;

1.2. 2024 წლის 31 იანვარს, დაახლოებით 19:45 საათზე, გ-ს სოფელ კ-ში მდებარე მაღაზიის მიმდებარედ ე. ჯ-მ ფიზიკურად იძალადა ბ. ბ-ზე, კერძოდ, მუშტები რამდენჯერმე დაარტყა სახის არეში, რის შემდეგაც აშკარად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ბ. ბ-ს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფ „MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით: V.), რითაც შპს „ი-ს“ მიადგა 18 772 ლარისა და 60 თეთრის, დიდი ოდენობით ქოზებრივი ზიანი;

1.2.1. აღნიშნული ქმედებით ე. ჯ-მ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, დიდი ოდენობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.3. ლ. კ.ს – (პირადი ნომერი: 3..), – მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

1.3.1 2024 წლის 31 იანვარს, დაახლოებით 19:40 საათზე, გ-ს სოფელ კ-ში მდებარე მაღაზიის წინ ი. კ-მ, ი. ბ-მ და ე. ჯ-მ გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა და ფიზიკურად იძალადეს ბ. ბ-ზე. ასევე, ე. ჯ. ძალადობის გამოყენებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლა „MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით: V.). მიუხედავად იმისა, რომ ლ. კ. იყო ფაქტის შემსწრე, აშველებდა ფიზიკურ დაპირისპირებაში მონაწილე პირებს და იცოდა რომ ჩადენილი იყო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები, ხულიგნობა და ძარცვა, იგი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა და მომხდარი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა.

1.3.2. აღნიშნული ქმედებით ლ. კ-მ ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 27 ივნისის განაჩენით:

2.1. ლ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და გამართლდა;

2.1.1. ლ. კ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

2.1.2. ლ. კ.-ს საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, განემარტა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

2.2. ი. კ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

2.2.1. ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით;

2.2.2. ი. კ.-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 1 თებერვლიდან;

2.3. ბ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

2.3.1. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

2.3.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ბ.-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლის გამოსაცდელი ვადით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბ.-სათვის ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 1 წლით, ნაწილობრივ დაემატა თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯე-

ლის – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით – ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ი. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6 თვით;

2.3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე, ი. ბ-სათვის ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული დამატებითი მოუხდელი სასჯელის – ჯარიმა 12 412 ლარი – ნაწილი, ჯარიმა – 8000 ლარი;

2.3.4. ი. ბ-ს, საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 6 თვით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 8000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

2.3.5. ი. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 6 თებერვლიდან;

2.4. ე. ჯ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდებიდან (საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან) ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი;

2.4.1. ე. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

2.4.2. ე. ჯ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე;

2.4.3. ე. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

2.4.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ე. ჯ-ს მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა მთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ე. ჯ.ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

2.4.5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით ე. ჯ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წლით

თავისუფლების აღკვეთა, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; ასევე გაუქმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მე-2 ადგილობრივი საბჭოს – №.. გადაწყვეტილებით პირობით ვადამდე გათავისუფლების შედეგად მოუხდელი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 თვითა და 15 დღით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ე. წ.-ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 5 წლით, ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მე-2 ადგილობრივი საბჭოს – №.. გადაწყვეტილებით პირობით ვადამდე გათავისუფლების შედეგად მოუხდელი სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 2 თვითა და 15 დღით – ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ე. წ.ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

2.4.6. ე. წ.-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 6 თებერვლიდან;

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

3.1. რუსთავის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა მარიამ ეუაშვილმა მოითხოვა: ი. კ.-ს და ი. ბ.-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით, ე. წ.-ს – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ლ. კ.-ს – საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დამნაშავედ ცნობა. ასევე, უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრა;

3.2. გამართლებულ ლ. კ.ს და მსჯავრდებულების – ი. კ.-ს, ი. ბ.-ს და ე. წ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გ. მ-მ მოითხოვა: ი. კ.-ს და ი. ბ.-ს სრულად, ხოლო ე. წ.-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილში, ასევე საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტებში გამართლება. ასევე, ე. წ.-ს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ცვლილება შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 27 ივნისის განაჩენში;

4.1. ლ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში;

4.1.1. ლ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, განემარტა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

4.2. ი. კ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

4.2.1. ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით;

4.2.2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ი. კ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

4.3. ი. ბ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

4.3.1. ი. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

4.3.2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ი. ბ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

4.3.3. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ი. ბ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლის გამოსაცდელი ვადით – და ი. ბ-ს მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით და დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 8000 ლარი;

4.3.4. ი. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2024

ნლის 6 თებერვლიდან;

4.4. ე. ჯ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდებიდან საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი;

4.4.1. ე. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

4.4.1.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ე. ჯ-ს ერთი მეექვსედით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და მოსახდელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

4.4.2. ე. ჯ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე;

4.4.2.1. ე. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

4.4.2.2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ე. ჯ.ს ერთი მეექვსედით შეუმცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და მოსახდელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 4 თვით;

4.4.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ე. ჯ-ს მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

4.4.4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ე. ჯ. გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1'-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

4.4.5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით ე. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლის გამოსაცდელი ვადით, ასევე გაუქმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს – №... გადაწყვეტილებით პირობით ვადამდე გათავისუფლების შედეგად მოუხდელი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 თვითა და 15 დღით;

4.4.6. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ე. ჯ.ს ერთი მეექვსედით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 2 თვითა და 15 დღით და მოსახდელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 10 თვითა და 2 დღით;

4.4.7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ე. ჯ-ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 4 წლითა და 2 თვით, ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით შემცირებული მოუხდელი სასჯელიდან – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 10 თვითა და 2 დღით – ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 7 თვითა და 17 დღით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ე. ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 9 თვითა და 17 დღით;

4.4.8. ე. ჯ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 6 თებერვლიდან.

5. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

5.1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი მარიამ ეუ-აშვილი ითხოვს ი. კ-ს და ი. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით, ე. ჯ-ს – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობას და უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრას, ხოლო ლ. კ-ს – საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დამნაშავედ ცნობას;

5.2. გამართლებულ ლ. კ-ს და მსჯავრდებულების ი. ბ-ს, ე. ჯ-სა და ი. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი – ვ. ვ. ითხოვს მსჯავრდებულების – ი. კ-ს და ი. ბ-ს სრულად გამართლებას, ხოლო ე. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით უდანაშაულოდ ცნობას, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მის მიმართ მსუბუქი სასჯელის გამოყენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადანყევტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადანყევტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece (No.2)* no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ, პროკურორი – მარიამ ეუაშვილი – ითხოვს მსჯავრდებულებისა და გამართლებულის ბრალადწარდგენილი კვალიფიკაციით დამნაშავედ ცნობას, ადვოკატი – ვ. ვ. – ითხოვს ი. კ-ს და ი. ბ-ს სრულად გამართლებას, ხოლო ე. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით უდანაშაულოდ ცნობას, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მისთვის მსუბუქი სასჯელის განსაზღვრას.

2.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი წარმოადგინა – გამართლებულ ლ. კ-ს და მსჯავრდებულების – ი. ბ-ს, ე. ჯ-სა და ი. კ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ვ. ვ-მ, თუმცა საჩივრის მოთხოვნა სრულად მიემართება მხოლოდ ი. კ-ს, ი. ბ-ს და ე. ჯ-ს, იმავდროულად, დაცვის მხარის მიერ ასევე, არ არის წარმოდგენილი გამართლებულ ლ. კ-ს მიმართ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი.

3. საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის

შესწავლის შედეგად, რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორის – მარიამ ეუაშვილის და გამართლებულ ლ. კ-სა და მსჯავრდებულების ი. ბ-ს, ე. ჯ-სა და ი. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. ვ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება ე. ჯ-ს მიმართ. კერძოდ, ე. ჯ. უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, რომელიც გასაჩივრებული განაჩენით გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდებისა და დაცვის მხარის მოთხოვნებს და ითვალისწინებს, რომ მხარეებმა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართეს იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივრებშია ჩამოყალიბებული. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განაჩენში მიუთითა იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებმაც ლ. კ-ს გამართლება, ი. ბ-სა და ი. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირება, ხოლო ე. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდებიდან საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) ამორიცხვა და მსჯავრდშერაცხილი დანაშაულების ჩადენაში შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა განაპირობა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადანყვევტილებას კვალიფიკაციის ნაწილში, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდება ლ. კ-ს, ი. კ-ს, ი. ბ-სა და ე. ჯ-ს მიერ ბრალადშერაცხილი ქმედებების ჩადენა.

5. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულის ჩადენამდე დროის ხანგრძლივი პერიოდი, მთავარია შეთანხმება არსებობდეს ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე, რაც უნდა დადასტურდეს საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით. შეთანხმება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც სიტყვიერი, ასევე არავერბალური ფორმითაც, კერძოდ, გამოიხატოს ჟესტებით და მიმიკებით (იხ. საქართველოს უზენაესი

სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის №618აპ-15 განაჩენი).

5.1. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, დაზარალებულების – ბ. ბ-სა და ს. ო-ს ჩვენებებით დასტურდება, რომ მსჯავრდებულები – ი. ბ., ე. ჯ. და ი. კ. ერთობლივად ახორციელებდნენ ხულიგნობის ობიექტურ შემადგენლობას, თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მსჯავრდებულებს შორის იმდაგვარი კომუნიკაცია (ვერბალური/არავერბალური), რაც დაადასტურებდა მათ წინასწარ შეთანხმებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. შემთხვევის ადგილზე მსჯავრდებულების მხოლოდ ყოფნა, სხვა ობიექტური მტკიცებულებების გარეშე, რომლებიც დაადასტურებდნენ, რაიმე ფორმით, მსჯავრდებულების წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად მოქმედებას, არ არის საკმარისი ქმედების, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციისათვის, ვინაიდან აღნიშნული ქვეპუნქტი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისთვის. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია. საკასაციო საჩივარში მითითებული ვარაუდი კი არ შეიძლება დაედოს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

5.2. არ არსებობს თუნდაც ერთი პირდაპირი ან/და გარემოებითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ე. ჯ-ს მიერ ხულიგნობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისა და ქვის გამოყენებით ავტომატური დაზიანებისას, არსებობდა რაიმე სახის შეთანხმება სხვა – ი. ბ-ს ან/და ი. კ-თან – მსჯავრდებულებთან და, რომ ი. კ-ს და ი. ბ-ს შეცნობილი ჰქონდათ ეს გარემოება და წინასწარ იყვნენ შეთანხმებული ამგვარ მოქმედებაზე.

5.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ არის საკმარისი ი. ბ-სა და ი. კ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით მსჯავრდებისათვის და მათ მიერ ჩადენილი ქმედება სწორად იქნა დაკვალიფიცირებული – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით. ასევე – არასაკმარისია მტკიცებულებები ე. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდებისათვის, რის გამოც მის მიერ ჩადენილი ქმედება სწორად იქნა დაკვალიფიცირებული – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

6. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ბრალდების

მხარის მტკიცებას ლ. კ.-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე და ითვალისწინებს, რომ:

6.1. პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების თანახმად, მსჯავრდებულების მიერ ხულიგნობა ჩადენილი იქნა 2024 წლის 31 იანვრის დაახლოებით 19:40 საათზე.

6.2. შეტყობინების თანახმად, ინციდენტის თაობაზე, ინიციატორ – ს. ო.-ს ზარი სსიპ „112-ში“ შევიდა 2024 წლის 31 იანვრის 19:53 საათზე;

6.3. დაზარალებულმა ს. ო.-მ განმარტა, რომ მის მეუღლესთან – ბ. ბ.-მსჯავრდებულების ჩხუბისა და გაშველებისას, ე. ჯ. ჩაჯდა ბ. ბ.-ს სამსახურებრივ ავტომანქანაში და დატოვა შემთხვევის ადგილი. თავად ჯერ ავტომანქანას გადაუდგა წინ (ლ. კ. სთხოვდა გამოსულიყო), შემდეგ, კი დარეკა პოლიციაში. შეტყობინების დატოვებისას ყვიროდა, შესაბამისად, მისი ხმა, სავარაუდოდ, ყველას, მათ შორის, მის გვერდზე 5-10 მეტრში მყოფ ლ. კ.-საც ესმოდა, რომელიც თავის მხრივ ყვიროდა: „მანქანა დააბრუნე, რა სისულელეს აკეთებ“. 10-15 წუთში ავტომანქანა დააბრუნეს, რის შემდეგაც მანქანიდან გადმოსვლისთანავე ე. ჯ.-მ ქვა ისროლა ბ. ბ.-ს მიმართულებით, რასაც მათ შორის მოჰყვა ჩხუბი.

6.4. მოწმე ა. ჯ.-მა განმარტა, რომ დაახლოებით 20:00-21:00 საათზე დაუძახა დისშვილმა – ბ. ბ.-მა და უთხრა, რომ ჩხუბი მოუვიდა და ავტომანქანა წაართვეს. შემთხვევის ადგილას მისვლისას ავტომანქანა ადგილზე დახვდათ. რამდენიმე წუთში კვლავ მოხდა ხელჩართული ჩხუბი და ცდილობდა ჩხუბის მონაწილეები გაეშველებინა ს. ო.-სთან და ლ. კ.-თან ერთად. საბოლოოდ, კონფლიქტი ამოიწურა გაშველებით. დაახლოებით 10 წუთში შემთხვევის ადგილას პოლიცია მივიდა.

6.5. ამდენად, იმ დაშვების პირობებშიც, რომ ლ. კ.-ს არ ჰქონდა გავიანილი/შეცნობილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისთანავე, დაახლოებით 13 წუთში, დაზარალებულმა შეატყობინა – შემთხვევის ადგილიდან ყვირილით დარეკა – პოლიციას, მოწმეთა, მათ შორის, ა. ჯ.-ს ჩვენებით დასტურდება, რომ ჩხუბის გაშველებაში მონაწილეობდა ლ. კ., ხოლო აღნიშნულიდან 10 წუთში ადგილზე გამოცხადდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემსწრე ლ. კ.-მა დანაშაულის შესახებ არ შეატყობინა შესაბამის ორგანოს.

6.6. კასატორი ბრალდების მხარის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულ ს. ო.-ს ჩვენება – პოლიციაში შეტყობინების დატოვებისას ისე ხმამაღლა ყვიროდა, რომ მისი ხმა სავარაუდოდ ყვე-

ლას, მათ შორის, მის გვერდზე 5-10 მეტრში მყოფ ლ. კ-საც ესმოდა – არის მოწმის შეფასება, რომელიც სასამართლომ არ უნდა მიიღოს მხედველობაში, რადგან განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს და არა ვარაუდებს. საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ეთანხმება კასატორ ბრალდების მხარეს (ს.ო. ჩვენებაში უთითებს, თავის ვარაუდზე – რომ ლ. კ-საც სავარაუდოდ უნდა გაეგო) და იმავდროულად, კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

6.6.1. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც, გონივრულ ეჭვს მიღმა, ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე, გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობა საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

7. რაც შეეხება ბრალდების მხარის მოთხოვნას ე. ჯ-ს საქართველოს სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების თაობაზე, ასევე გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას ბრალდშერაცხილი აღნიშნული დანაშაულის საქართველოს სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

7.1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით სახელმწიფო ბრალდება ე. ჯ-ს ედავება შემდეგს:

7.1.1. 2024 წლის 31 იანვარს, დაახლოებით 19:40 საათზე, გ-ს სოფელ კ-ში მდებარე მაღაზიის წინ შეკრებილნი იყვნენ ლ. კ., ი. კ.ი. ბ. და ე. ჯ. რომლებიც იგინებოდნენ უმისამართოდ. ამავე მაღაზიასთან კანონიერ მფლობელობაში არსებული „MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის ავტომანქანით (სახ. ნომრით: V.) გაჩერებული იყო ბ. ბ. რომელმაც შეხედა ბიჭებს, რათა გაეგო, ვის აგინებდნენ. აღნიშნულის გამო ე. ჯ. მიუახლოვდა ბ. ბ-ს და თავის თანმხლებ პირებთან – ი. კ-თან და ი. ბ-სთან

ერთად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ფიზიკურად იძალადა მასზე. კერძოდ, ე. ჯ-მ, ი. ბ-მ და ი. კ-მ სახის არეში დაარტყეს მუშტები ბ. ბ-ს, რის შემდეგაც დატოვეს შემთხვევის ადგილი. დაახლოებით 10 წუთში კვლავ ერთად დაბრუნდნენ უკან, რა დროსაც ე. ჯ-მ ქვის გამოყენებით დააზიანა ბ. ბ-ს კანონიერ მფლობელობაში არსებული „MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის ავტომანქანა (სახ. ნომრით: V.), რის შემდეგაც ე. ჯ-მ, ი. კ-მა და ი. ბ-მ კვლავ იძალადეს ფიზიკურად ბ. ბ-ზე, კერძოდ, ზურგისა და მუცლის არეში რამდენჯერმე დაარტყეს ფეხი, ასევე ი. ბ-მ ს. ო-ს უკბინა თითის არეში, რითაც გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა და უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი.

7.1.1.1. აღნიშნული ქმედებით ე. ჯ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;

7.1.2. 2024 წლის 31 იანვარს, დაახლოებით 19:45 საათზე, გ-ს სოფელ კ-ში მდებარე მაღაზიის მიმდებარედ, ე. ჯ-მ ფიზიკურად იძალადა ბ. ბ-ზე, კერძოდ, მუშტები რამდენჯერმე დაარტყა სახის არეში, რის შემდეგაც აშკარად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ბ. ბ-ს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფ „MERSEDES-BENZ SPRINTER-ის“ ფირმის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით: V.), რითაც შპს „ი-ს“ მიადგა 18 772 ლარისა და 60 თეთრის, დიდი ოდენობით ქოზებრივი ზიანი;

7.1.2.1. აღნიშნული ქმედებით ე. ჯ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

7.2. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. ამდენად, წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აღწერა (როგორ გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი აქტები: 2014 წლის 24 ივნისის №230აპ-13 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.1.2.; 2022 წლის 12 სექტემბრის

№781აპ-22 განჩინება; 2022 წლის 7 სექტემბრის №748აპ-22 განჩინება).

7.3. საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა, ხოლო მე-12 და 166-ე მუხლების თანახმად – სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №230აპ-13) და შეზღუდულია ბრალის ფორმულირებით.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით: ბრალდების მხარე ე. ჯ-ს ქვის გამოყენებით ბ. ბ-ს კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომანქანის დაზიანებას ედავება არა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, არამედ – საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში (ჩადენილი ქმედების – ქვით ნივთის დაზიანება – აღწერა მოცემულია ხულიგნობით წარდგენილი ბრალდების ნაწილში და აღნიშნულზე მითითებას არ შეიცავს ძარცვის შესახებ ბრალდება; ამასთან, ხულიგნობის ჩადენას ედავება სხვა საგნის – ქვის – გამოყენებით).

7.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულ განაჩენს ე. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირების თაობაზე, ვინაიდან ბრალდების მხარე საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტების ფარგლებში ედავება არა ავტომანქანის ქვით დაზიანებას, არამედ – ავტომანქანის აშკარად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, ვინაიდან კვალიფიკაციის ცვლილებით სააპელაციო სასამართლო გასცდა წარდგენილ ბრალდებას.

8. რაც შეეხება ბრალდების მხარის მოთხოვნას ე. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების თაობაზე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, ბ. ბ-ს, ს. ო-ს, ა. ჯ-ს ჩვენებებით, დასტურდება, რომ ე. ჯ-მ ბ. ბ-ს სამსახურებრივი ავტომობილი დაახლოებით 5-15 წუთში

დააბრუნა ადგილზე, ამასთან, დაზარალებულების განმარტებით, მათთვის უცნობია ავტომობილის წაყვანის ან/და მოყვანის მიზეზი, წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის, კონკრეტულად ჰქონდა თუ არა ე. წ.-ს მხრიდან ბრალადშერაცხული დანაშაულის ჩადენას ადგილი. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ე. წ.-ს ქმედებაში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – ძარცვის – ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმ ნაწილში, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასევე არ დასტურდება ე. წ.-ს მიერ ძარცვის ჩადენის ფაქტი.

8.1. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეეარცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

8.2. კასატორი დაცვის მხარე ეთანხმება ე. წ.-ს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებას, მაგრამ, სასამართლო ითვალისწინებს, რომ „შეჯიბრებითობის პრინციპი ...არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, II-21). კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს არ გამოიყენოს და უგულვებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამოირიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს (იხ.: იქვე, II-20).

8.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე. წ.-ს საქართველოს სსკ-

ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (რომელიც გასაჩივრებული განაჩენით გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე) უნდა გამართლდეს.

9. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას, რომ დაზარალებულების მიერ მიცემული ჩვენებები ტყუილი/ცილისწამებაა და ითვალისწინებს, რომ სამართალწარმოების მიმდინარეობისას არ გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობასა და სარწმუნოობას საეჭვოს გახდიდა; დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია მოწმეთა დაინტერესების დამადასტურებელი რაიმე ობიექტური მტკიცებულება; ასევე, საქმის გარემოებებიდან არ იკვეთება დაცვის მხარის პოზიციის საფუძვლიანობა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ი. კ-ს და ი. ბ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ე. ჯ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას მათი უდანაშაულობის შესახებ.

10. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე და დაცვის მხარეს ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, როგორც წარმოდგენილი მტკიცებულების გამოკვლევის, ასევე მტკიცებულების დამოუკიდებლად ან სასამართლოს მეშვეობით მოპოვებისა და წარმოდგენის უფლება (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი აქტები: 2021 წლის 8 იანვრის №951აპ-20, 2021 წლის 4 იანვრის №3925აპ-20, 2020 წლის 17 ივლისის №30აპ-20 განჩინებები და 2021 წლის 9 ივლისის №669აპ-20 განაჩენი). სასამართლო ითვალისწინებს, რომ შეჯიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს „სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. მხარეები წყვეტენ, რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, II-15). მოცემულ შემთხვევაში, კასატორ დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია – საკასაციო საჩივარში არ მიუთითებია – კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის რომელიმე პოზიციას/ვერსიას, არ არის

წარმოდგენილი არც ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის, მისთვის სადავო იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ე. ჯ-ს სუნის ნიმუშზე ჩატარებულ საექსპერტო კვლევას. ასევე, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ დაცვის მხარეს შეეზღუდა დაცვის მხარისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების ან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა.

11. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

11.1. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებულ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის – განაჩენს ი. ბ-ს მსჯავრდების და სასჯელის, ასევე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სასჯელისაგან გათავისუფლების ნაწილში. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ი. ბ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრის გაუქმებასთან ერთად, არ იქნა მითითებული საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი წესით სასჯელის დანიშვნის წესის თაობაზე, რაც ქმნის ბუნდოვანებას, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენის აღნიშნული ნაწილი უნდა დაზუსტდეს. კერძოდ:

11.1.1. ი. ბ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

11.1.2. ი. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

11.1.3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ი. ბ. გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სასჯელის მოხდისაგან;

11.1.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13

ოქტომბრის განაჩენით ი. ბ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წლით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი;

11.1.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ (რომლის მოხდისგანაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ი. ბ. გათავისუფლდა) სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, ასევე ჯარიმა 8000 ლარი, – და განაჩენთა ერთობლიობით, ი. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით და ჯარიმა – 8000 ლარი;

11.1.6. ი. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 6 თებერვლიდან.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის განაჩენში ე. ჯ-ს მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ე. ჯ. უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, რომელიც გასაჩივრებული განაჩენით გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. ასევე, დაზუსტდეს ი. ბ-ს მიმართ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურორატურის პროკურორის – მარიამ ეუაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. გამართლდეს ლ. კ-სა და მსჯავრდებულების ი. ბ-ს, ე. ჯ-სა და ი. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. ვ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის განაჩენში ე. ჯ-ს მიმართ:

3.1. ე. ჯ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

3.2. ე. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდებიდან ამოირიცხოს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი;

3.2.1. ე. ჯ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 2 თვით;

3.3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ე. ჯ. გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სასჯელის მოხდისაგან;

3.3.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ე. ჯ-ს ერთი მეექვსედით შეუმცირდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დანიშნული პირობითი მსჯავრი 2 წელი და გამოსაცდელი ვადა 2 წელი, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს – №.. გადაწყვეტილებით პირობით ვადამდე გათავისუფლების შედეგად მოუხდელი სასჯელი – პირობითი მსჯავრი 2 თვე და 15 დღე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 10 თვითა და 2 დღით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი, 10 თვე და 2 დღე;

3.3.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს

მეორე ადგილობრივი საბჭოს – №.. გადაწყვეტილებით განსაზღვრული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, შემცირებული სასჯელი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ე. წ.-ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 4 წლითა და 2 თვით, ნაწილობრივ დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განაჩენით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს – №.. გადაწყვეტილებით განსაზღვრული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის შემცირებული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, 10 თვითა და 2 დღით – მოუხდელი ნაწილიდან, ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 7 თვითა და 17 დღით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ე. წ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 9 თვითა და 17 დღით;

3.4.1. ე. წ.-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 6 თებერვლიდან.

3.5. ი. ბ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

3.5.1. ი. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

3.5.2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ი. ბ. გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სასჯელის მოხდისაგან;

3.5.3. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ი. ბ.-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წლით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი;

3.5.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ (რომლის მოხდისაგანაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ი. ბ. გათავისუფლდა) სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022

წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, ასევე ჯარიმა 8000 ლარი და განაჩენთა ერთობლიობით, ი. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით და ჯარიმა 8000 ლარი;

3.6. ი. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2024 წლის 6 თებერვლიდან.

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge